საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

# საქართველო და მსოფლიო

www.geworld.ge

№17 (252)

14 - 20 მაისი, 2014

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

## ანაკლიაში პორტის აშენება აუცილებელია!

14

## ვიდრე საბოლოოდ გამოვკონჩიტდებით...

4



ერთი მუჭა ქართველი გეებისა და მათი «ლობისტი» პოლიტიკოსების უკან, როგორც დავრწმუნდით, დგას მძლავრი საერთაშორისო ძალა აშშ-ის მეთაურობით

## ვაშინგტონი ზედამხედველად ანკარას გვიტოვებს?

ივანიშვილი საქართველოს ფაქტობრივი მმართველია — „ქართული ჯამახირიის“ ლიდერი, თუმცა ბიძინას და ერთმანეთთან მოქიშპე მისი ქვეშევრდომების მოქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, ქართული სახელმწიფოს პერსპექტივა კიდევ უფრო ბუნდოვანია და... სახიფათოც!

2



ირაკლი ალასანიას მცდელობა, ჩაანაცვლოს სააკაშვილი ვაშინგტონის კარზე და ობამას ნაჩუქარი «ხალათი» მოიზომოს, ქვეყანას შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს!

ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკელების მითითებით ერთხმად, ასთოთხმეტი ნულის წინააღმდეგ აირჩია სოდომია — ეს მისი მორალური არჩევანი და ზნეობრივი სახეა! ეს 114 დეპუტატის ზნეობრივი არჩევანია და აღარ გვინდა ფარისევლობა — გეოგრაფია აქ არაფერ შუაშია...



რეზო ჩხეიძე:

## აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი ის საზიზღარი აგრესორია!

11

«ბოდიში და, ვინ ჩემი ფეხებია უსუფაშვილი ან ალასანია?! დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც ენ-დი-აია, ოდესმე სიმართლეს გამოაქვეყნებენ, ძალიან ცდება. ავტორიტეტში კი პატრიარქს ნურავინ გაეჯიბრება, ის ათასი თავით მაღლა დგას ყველაზე!»

## რომ არა პატრიარქის ინიციატივა, 17 მაისი გადაიქცეოდა გეებსა და ლესბოსელებზე ნადირობის დღედ!



ნებისმიერი მასშტაბური შეტევა ეკლესიაზე ხელისუფლებისთვის მართვის სადავეების დაკარგვით და გარანტირებული კრახით დასრულდება

9

## რა დგას პატრიარქის ინიციატივის უკან?

# 17 მაისს, 13 საათზე, ერი და ბერი რუსთაველის გამზირზე!

2

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა კი ივანიშვილი საქართველოს ფაქტობრივი მმართველია — „ქართული ჯამაჰირიის“ ლიდერი, თუმცა მისი და მისი ერთმანეთთან მოქიშპე ქვეშევრდომების მოქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, ქართული სახელმწიფოს პერსპექტივა კიდევ უფრო ბუნდოვანია და... სახიფათოც!**

# ვაშინგტონი ზედამხედველად ანკარას გვიტოვებს?

**პოლიტიკაში ახლადფეხშემოდგმულ ბიძინა ივანიშვილს პირველივე პრესკონფერენციაზე, 2011 წლის 1 ნოემბერს ვკითხე, თუ როგორ აპირებდა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, რუსეთის, თურქეთის, ევროპისა და აშშ-ის ინტერესების დაბალანსებას. მიპასუხა, რომ ამ საკითხებზე პროფესიონალები იმუშავებდნენ და ყველაფერი დაბალანსდებოდა. მას შემდეგ თითქმის 3 წელი გავიდა, ბიძინა ივანიშვილი (იგულისხმება „ქართული ოცნება“), უკვე წელიწადნახევარია, რაც ხელისუფლებაშია და დაბალანსების ნიშნები ჯერ არ გამოკვეთილა. ეს არც არის გასაკვირი. სააკაშვილის მემკვიდრეობა სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს, თუმცა ახალ (რაღა ახალ, მაგრამ მაინც) ხელისუფლებაში იმდენი „მიშისტია“ (წმინდა იდეოლოგიური თვალსაზრისით), რომ ძნელი წარმოსადგენი არ არის სირთულეები, რომელთა დაძლევაც ფილიგრანულ სიზუსტეს მოითხოვს.**

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გლობალური პოლიტიკის ჭრილში განხილვა დიდ დროსა და ადგილს წაგვართმევს, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანას, სამწუხაროდ, არავინ არაფერს ეკითხება, როცა დიდი სახელმწიფოების მეთაურები საუბრობენ... ჩვენზე! ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ **ქართველი „აზრის გიგანტები“, რომელთა სიმცირეს არც ხელისუფლება უჩივის, არც ოპოზიცია და არც „ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებული ბანდიტური დაჯგუფება, ერთხმად აღიარებენ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე დაშვებულ არაერთ შეცდომას, უპირველესად კი — არათანმიმდევრულობას.** მიუხედავად მედიისა და საზოგადოების არაერთი მცდელობისა, როგორმე დაებრუნებინა ისინი „ქართულ წიაღში“ და საქართველოს ინტერესები დაეცვათ, უკვე წლებია, ოკეანის წყლით იკლავენ წყურვილს.

სამწუხაროა, რომ **ქართველ პოლიტიკოსთაგან ძალიან ცოტა ან თითქმის არავინ ფიქრობს ქართულად და მათი რიტორიკა პატრონების მიმართ ერთგულების დამტკიცების მცდელობებს ვერ გასცდა. აი, სწორედ აქ იკარგება „ქართული კვალი“ და ამით სარგებლობენ ჩვენი ახლო მეზობლები თუ შორეული „მეგობრები“.** ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი ინტერესები აქვს — დიდს დიდი და პატარას კიდევ უფრო მასშტაბური; გადარჩენისთვის ბრძოლაში პატარას უფრო მეტი სიფრთხილე მართებს. თანამედროვე პოლიტიკა კი კიდევ უფრო დაუნდობელი გახდა და ერთპოლუსიანობის დასასრულმა სახელმწიფოთა ინტერესებს შორის დიდი წინააღმდეგობები წარმოშვა. ახლა ხშირად მოისმენთ საუბრებს მესამე მსოფლიო ომის შესაძლო დაწყების თაობაზე, თუმცა ეს ომი უკვე დაწყებულია, უბრალოდ, 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებმა საომარი საშუალებები დახვეწა.

მართალი გითხრათ, „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, თვითონ „მეოცნებეებისგან“ განსხვავებით, ეჭვი არასოდეს შემპარვია და ბიძინა ივანიშვილის ამ წერილში ნახსენები პასუხიც დამაიმედებლად მომეჩვენა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **საქართველომ ვერ დაძლია „სტრატეგიული ყმობის“ სინდრომი.** არ ვარ შეთქმულების თეორიების დიდი მოყვარული და ადამიანებზე გადაჭარბებული წარმოდგენების ასაკიდანაც უკვე გამოვედი, ამიტომ **ამ ტიპის საუბრები — „ჩვენ ვერ ვხვდებით, თორემ რაღაც აქვს ჩაფიქრებული და ყველაფერს ხმამაღლა ხომ არ იტყვის“ — ჩემთვის მიუღებელია. ასეთი რამის დასაჯერებლად, სულ მცირე, ამ „რაღაცის“ შემსრულებლებია საჭირო, დღევანდელ ხელისუფლებაში კი** (სააკაშვილის ჭირვეული და უზნეო ბავშვების მთავრობაზე აღარაფერს ვამბობ) **ნამდვილად ვერ ვხედავ დიდ სტრატეგოსებსა და ტაქტიკოსებს.** ზოგადად, ქვეყნის ხელისუფლებაში სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები უნდა მოდიოდნენ, ჩვენთან კი (უკვე მერამდენედ) კომფორტზე შეყვარებული ადამიანები („ჭამე, ნოდარები“) შეგვრჩნენ ხელთ.

**ირაკლი ალსანიას მცდელობა, ჩაანაცვლოს სააკაშვილი ვაშინგტონის კარზე და ობამას ნაჩუქარი «ხალათი» მოიზომოს, ქვეყანას შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს!**



**გამორიცხული არ არის (უფრო შესაძლებელია), რუსეთმა და თურქეთმა ამჯერადაც მიაღწიონ შეთანხმებას და საქართველოში ორივემ დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესი. მაგრამ ჩვენ რა? ჩვენ რას მივიღებთ, ქვეყანა გაერთიანდება? უფრო — პირიქით**

ასე ხელაღებით ვერ დავდებთ ბრალს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას, თუმცა დარწმუნებული ვარ, შარლ დე გოლთან მის შედარებასაც ვერ მომიწონებთ (მომავალში რას იზამს, ღმერთმა იცის). **ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, საერთაშორისო ფორუმის ერთ-ერთ პანელზე — „ერთიანი და თავისუფალი ევროპის ხედვის დაცვა“ — ალასანიამ განაცხადა, რომ დასავლეთმა უნდა შესთავაზოს ნატოს წევრობა ასპირანტ ქვეყნებს და განათავსოს იქ თავდაცვითი საშუალებები, განსაკუთრებით კი, საქართველოში.** მისი თქმით, **საქართველოში უნდა განთავსდეს საჰაერო თავდაცვითი საშუალებები და რუსეთი მიხვდება, რომ ისინი სერიოზულად უდგებიან საკითხს.** „ქართველი მანერჰაიმის“ ამ განცხადებას ადეკვატურს ნამდვილად ვერ ვუწოდებ საქართველოში და მის ირგვლივ, თუ გნებავთ, მთლიანად რეგიონში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით. **ალასანიას ეს სურვილი ვაშინგტონის სცენარში კარგად ჯდება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას გამოიწვევს რუსეთის წინააღმდეგ „სამხრეთის ფრონტის“ გახსნის მცდელობა საქართველოში. ანდა, რა დიდი წარმოდგენა უნდა, ეს უკვე ვნახეთ სულ ახლახან.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის მინისტრს განცხადება არ შეუთანხმებია უმაღლეს მთავარსარდალთან — ქვეყნის პრეზიდენტთან, ხოლო როდესაც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ამასთან დაკავშირებით საოცარი ქართულით განაცხადა, **„არსებობს უშიშროების საბჭო, კონსტიტუციური ორგანო, სადაც უნდა იქნეს ასეთი საკითხები განხილული და იქიდან გამომდინარე უნდა იქნას კომენტარები გაკეთებული ამასთან დაკავშირებით“**-ო, მას სუბორდინაციის ქართული სინამდვილისთვისაც კი მოულოდნელი დარღვე- ▶

# საპროტესტო მოწოდება

# 17 მაისს, 13 საათზე, ერი და ბერი რუსთაველის გამზირზე!

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, საქართველოს სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები, მოვუწოდებთ ჩვენი და სხვა გვარების წარმომადგენლებს, სრულიად საქართველოს მოქალაქეებს, 17 მაისს, დღის პირველ საათზე, შევიკრიბოთ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტისა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე და მოვთხოვოთ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, დაუყოვნებლად შეასრულონ ერისა და ბერის მოთხოვნები:

1. ამოღებულ იქნას ანტიდისკრიმინაციული კანონიდან მამათმავლობის დამკანონებელი ცნებები:
   ა) სექსუალური ორიენტაცია;
   ბ) გენდერული იდენტობა.

2. მიღებულ იქნას სპეციალური კანონი, რომელიც აკრძალავს საქართველოში მამათმავლობის (ე.წ. ლგბტ) პირდაპირ თუ ირიბ პროპაგანდას (გეიაღლუმებით, ტელევიზიით, პრესით, ინტერნეტით, სარეკლამო ატრიბუტიკის გამოყენებით და ნებისმიერი სხვა საშუალებით თუ ფორმით).

ლევან ფრუიძე (სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე)
ელდარ შენგელაია
რეზო ჩხეიძე
მამა-შვილი შიო
და ლევან ვასაძეები
გურამ დოჩანაშვილი
ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონი
დიმიტრი ლორთქიფანიძე
ია ბაგრატიონი
მღვდელი
ბასილი იაშალაშვილი
ლევან ჩაჩუა
გუჯა ბურდული
ომარ მხეიძე
ლევან სალუქვაძე
ირაკლი ბაგრატიონი
გურამ ფალავანდიშვილი
მიხეილ ანდღულაძე
მღვდელი გურამ გამცემლიძე
ნიკოლოზ ანთაძე
ავთანდილ უნგიაძე
ვანო ნაკაიძე
მარინე რჩეულიშვილი
საბა გორდეზიანი
ზვიად ტომარაძე
გიორგი ბადურაშვილი
შოთა ზედგენიძე
ივანე ბჟალავა
ირინა აბრამაშვილი
ქრისტინე არონია
ია რჩეულიშვილი
დავით ბაირამაშვილი
რამაზ მწყერაშვილი
მარინე მაზნიაშილი
მანანა ადიკაშილი
ქეთევან მამულაშვილი
ია კოტრიკაძე
ლია კირკიტაძე
ვერა ბაწაძე
ელენე ბაქრაძე
მიხეილ ანდღულაძე
ტარიელ ტაბატაძე
დავით ოქროპირიძე
ნინო სვანიძე
გულიმზე ფარჯიანი
ინგა გელხეიძე
ნინო ლუხუტაშვილი
აზა გორგიშელი
ირმა იაშვილი
ეკა აბუცაძე
ქრისტინე ალავიძე
უშანგი ტრამაკიძე
მერი გორგიშვილი
ზურაბ ლალიაშვილი
ვლადიმერ წამალაშვილი
ოთარ მწყერაშვილი
კობა ბარათაშვილი
ნინო მწყერაშვილი
იოსებ ლოლუა
ივანე მარჯანიძე
დარეჯან ცერცვაძე
ნანა ხუციშვილი
ნინო კალანდაძე
ნანა უთალიშვილი
ელიზავეტა ზაქუტაშილი
ლელა ბადრიშვილი
ნოდარ სონღულაშვილი
ვლადიმერ ვაშაყმაძე
ჯაბა წულაძე
ლევან მეტრეველი
გოგა ღოღობერიძე
ირაკლი გიორგაძე
გიორგი ბორაშვილი
დავით ლორთქიფანიძე
თინათინ ვარდანაშვილი
ლაშა მაისურაძე
ნიკოლოზ გეგეშიძე
ბაკურ ხარაბიძე
გიორგი ნადარაია
კონსტანტინე ჯგულია
მამუკა ასლამაზაშვილი
თამარ ჯეჯელავა
თამარ დარექანაშვილი
ნათია თუშიშვილი
შორენა სუხიშვილი
დავით ორმოცაძე
მიხეილ ციცქიშვილი
გიორგი ლაზარიაშვილი
რუსუდან ახვლედიანი
თორნიკე თუთბერიძე

**სულ 300-მდე ხელმოწერა. ხელმოწერები გრძელდება**

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძალიან ბევრი პროექტი ჩავარდება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს წახალისებულია. ფინანსური საპნის ბუშტების გაბერვა რომ შველოდეს ეკონომიკას, ეს დიდი ხნის აპრობირებული ტექნიკაა და შედეგიც ექნებოდა, მაგრამ ასე არ არის“.**

◀ვით უპასუხა მინისტრის მოადგილემ — ვარლამ ავალიანმა: **„თავდაცვის მინისტრი არის ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის წევრი და, შესაბამისად, ის აჟღერებს იმ პოზიციას და ატარებს იმ კურსს, რომელსაც საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი ატარებს“.**

ამ მოკლე და პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის, ალბათ, გასაგებ (ჩემთვის კი აბსოლუტურად მიუღებელ და საშინლად გაუმართავ) კომენტარში ორჯერ არის ხაზგასმული ირაკლი ღარიბაშვილის პერსონა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ **ვიცემინისტრ ავალიანისთვის პრეზიდენტი მარგველაშვილი არც პრეზიდენტია და არც უმაღლესი მთავარსარდალი. წარმოუდგენელია, რომ მას ასეთი „უხამსი“ კომენტარი მინისტრ ალასანიასთან შეუთანხმებლად გაეკეთებინა. ის კი, თავის მხრივ, პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის ხელდასხმით უგულვებელყოფს უმაღლეს მთავარსარდალს.**

**ვინმე მეტყვის, რომ პრეზიდენტის ჩაწიხვლა უფრო მაღლიდან, ანუ ბიძინა ივანიშვილისგან არ არის სანქცირებული?** ასეთ ვითარებაში კი პრაქტიკულად შეუძლებელია სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა. **როგორც ჩანს, ჩვენ დღესაც „ტუტუცი ბავშვების“ მთავრობა გვყავს** (არსებობს გამონაკლისიც) **და პრეზიდენტის ივანიშვილისადმი დაუმორჩილებლობას სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა შეეწირება.** თვით ის ფაქტი, რომ საყოველთაოდ გაცხადდა უმაღლეს მთავარსარდალთან ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის შეუთანხმებლობა, არამხოლოდ ქვეყნის შიგნით ულახავს სახელს საქართველოს პრეზიდენტს, არამედ საზღვარგარეთაც. და როდესაც ვიღაცას (ნეტავ, ვის?) უჩნდება სურვილი, ამ ფორმით ყველას დაანახოს, თუ „ვინ არის ამ სახლში უფროსი“, სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება.

თუმცა, ეს მაინც მოგვარდება — მარგველაშვილი ადრე თუ გვიან გამოვა საპრეზიდენტო ეიფორიიდან, ივანიშვილის კეთილგანწყობასაც დაიბრუნებს და მის კომპეტენციასაც ალარავინ (მითუმეტეს, ავალიანი) გადააბიჯებს, ხოლო **თავდაცვის მინისტრის სურვილის ასრულების შემთხვევაში საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეები კი არ შემცირდება, არამედ მნიშვნელოვნად გაიზრდება და ისეთ გამოცდილ და გამოწვრთნილ პოლკოვნიკს, როგორიც ირაკლი ალასანიაა, გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რა შედეგს მოგვიტანს ნატოს თავდაცვითი საშუალებების აქ განთავსების მცდელობაც კი.**

რასაკვირველია, საქართველომ უნდა იზრუნოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უკრაინის გამოცდილებას („ეკონომიკურ და ფინანსურ სანქციებთან ერთად უნდა მოხდეს სამხედრო შემაკავებელი საშუალებების განთავსება რუსეთის საზღვრებთან და დავეხმაროთ უკრაინას მთავარი მიზნის მიღწევაში,“ — ესეც ირაკლი ალასანიას სიტყვებია), ჩვენ მეტი სიფრთხილე გვმართებს. ასეთ დროს ცივი გონებით მოქმედება საჭირო და არა მხატვრულ კითხვაში დაოსტატება, ძალიან რომ ცდილობენ ალასანიას ფანები და, მათთვის სამწუხაროდ, ესეც არ გამოსდით. **ირაკლი ალსანიას მცდელობა კი, ჩაანაცვლოს სააკაშვილი ვაშინგტონის კარზე და ობამას ნაჩუქარი „ხალათი“ მოიზომოს, ქვეყანას შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს!**

თავი დავანებოთ შიდასახელისუფლო ინტრიგებს და დავსვათ ძალიან მარტივი შეკითხვა: **ვისი, ნატოს წევრი რომელი ქვეყნის „თავდაცვითი საშუალებები“ უნდა განთავსდეს საქართველოში?** ნატოს წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე ახლოს თურქეთია და, ბუნებრივია, მას ამ პირველობას ვერავინ წაართმევს. **აშშ-ის მიმართ ქართველთა განხიბლვამ და გაუცხოებამ ახალი პოლიტიკური რეალობა შექმნა და ახლა ვაშინგტონი ზედამხედველად ანკარას გვიტოვებს, რისთვისაც პრეზიდენტებმა — შევარდნაძემ და, განსაკუთრებით, სააკაშვილმა სერიოზული საფუძვლები შექმნეს.** დღევანდელი ხელისუფლება ძალიან ცდილობს, ჯამბაზის ოსტატობით გაიაროს მისი ცოდნისა და გამოცდილებისთვის შეუსაბამოდ მაღლა გაბმულ მავთულზე, მაგრამ ხელის წამომკვრელების ნაკლებობას არც შიგნით უჩივის და საგარეო საფრთხეების წინაშე კი ძალიან უსუსურად გამოიყურება.

**დიდი ხანია, თურქეთს სტრატეგიული ინტერესები აქვს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და, ბუნებრივია, სიამოვნებით გაგვიწევს ზედამხედველობას.** აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ დავუთოღლუ არის ავტორი ცნობილი წიგნისა „სტრატეგიული სიღრმე“, რომელსაც სათაურიც საგანგებოდ აქვს შერჩეული და მომძლავრებული თურქეთის სამოქმედო პროგრამაცაა. თურქეთისთვის ძველი დიდების დაბრუნების გზა კი კავკასიაზე — საქართველოზე გადის, რადგან თავის დროზე რუსეთმა სწორედ კავკასიისთვის ბრძოლებში დამარცხებით ჩაასვენა ოსმალეთის მზე შავ ზღვაში.

მართალია, მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ როგორც მაშინ, **გამორიცხული არ არის** (უფრო შესაძლებელია), **რუსეთმა და თურქეთმა ამჯერადაც მიაღწიონ შეთანხმებას და საქართველოში ორივემ დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესი. მაგრამ ჩვენ რა? ჩვენ რას მივიღებთ, ქვეყანა გაერთიანდება? უფრო — პირიქით.**

აი, ამიტომ მაინტერესებდა ბიძინა ივანიშვილის აზრი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში რუსეთის, თურქეთის, ევროპისა და აშშ-ის ინტერესების დაბალანსების თაობაზე. მაშინ რაც მიპასუხა, უკვე იცით, ახლა კი **ივანიშვილი საქართველოს ფაქტობრივი მმართველია — „ქართული ჯამაჰირიის“ ლიდერი, თუმცა მისი და მისი ერთმანეთთან მოქიშპე ქვეშევრდომების მოქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, ქართული სახელმწიფოს პერსპექტივა კიდევ უფრო ბუნდოვანია და... სახიფათოც!**

**ბონდო მძინარაშვილი**

# ინვესტორებო ყველა ქვეყნისა, სადა ხართ?

**ექსპერტი პაატა შეშელიძე** ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებას აფასებს:



— 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ **საქართველოს ეკონომიკაში, მის ორგანიზებასა და სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია.** მიმდინარე წლის პირველი მონაკვეთის ეკონომკური ზრდა თითქოს უფრო მაღალია, მაგრამ მაღალია სხვა მაჩვენებლებიც: ინფლაცია, ლარის გაუფასურება, თუმცა ამ საკითხზე **მარეგულირებელი სამსახურის მაჩვენებლები არ ასახავს რეალობას. მისი მაჩვენებლები ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე არარეალურია.** შარშან ბიუჯეტმა ვერ შეძლო ვალდებულებების გასტუმრება. იყო მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც შემდგომ აისახა ინფლაციაზე; ანუ **მიმოქცევაში შემოიტანეს დამატებით ლარი, დააფინანსეს აღებული ვალდებულებები, რომელმაც გამოიწვია ლარის დევალვაცია და შემდგომ ეროვნული ბანკი იძულებული შეიქნა, ეს პროცესი შეეჩერებინა. ამისთვის კი სარეზერვო ფონდიდან დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარი დახარჯა, რომელიც საქართველოსთვის საკმაოდ დიდი თანხაა.** მოკლედ, **მთავრობა აფართოებდა თავისი ჩარევის ასპარეზს ეკონომიკაში, ზღუდავდა კერძო სექტორს, რის გამოც ძალიან შემცირდა კერძო სექტორის აქტივობა და ადგილობრივი ინვესტიციები.** მაგალითად, აჭარაში ბოლო წლის განმავლობაში არაფერი გაუყიდიათ, ორი წლის განმავლობაში პრივატიზება არ მომხდარა. ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ აჭარიდან მომაწოდეს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რეგიონებშიც, სადაც ამ მიმართულებით აქტივობა არ შეინიშნება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აღსანიშნავი: საქართველოში ფართომასშტაბიანი სახელმწიფო ინვესტიციები განხორციელდა სხვადასხვა სექტორში. **დაფინანსდა სექტორები, რომელთა პროდუქციაზეც მოთხოვნა არ არის. ამის შედეგი, ადრე თუ გვიან, იქნება ის, რომ ძალიან ბევრი პროექტი, რომლებიც ახლა თითქოს აქტივობის პროცესშია, არ დასრულდება წარმატებით** და ძალიან ბევრს მოუწევს გაკოტრების რეჟიმში მუშაობა. **ძალიან ბევრი პროექტი ჩავარდება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს წახალისებულია.** ეს წახალისებაც დროებითია. **ფინანსური საპნის ბუშტების გაბერვა რომ შველოდეს ეკონომიკას, ეს დიდი ხნის აპრობირებული ტექნიკაა და შედეგიც ექნებოდა, მაგრამ ასე არ არის.**

**«ეკონომიკის სამინიტროს პირველი პირები ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან, სხვანაირად აფასებენ მიმდინარე პროცესებს და გეგმაზომიერად აწარმოებენ მცდარ პოლიტიკას, რაც, მათი აზრით, არ არის მცდარი»**

**— ამ საფრთხეებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვერ ხედავს?**

— რომ ხედავდეს, სხვანაირად მოიქცეოდა. **ეკონომიკის სამინიტროს პირველი პირები ზედმეტად თავდაჯერებულები არიან, სხვანაირად აფასებენ მიმდინარე პროცესებს და გეგმაზომიერად აწარმოებენ მცდარ პოლიტიკას, რაც, მათი აზრით, არ არის მცდარი.** რაც მთავარია, პერმანენტული არასწორი მესიჯები, რომლებიც მოწოდებულია მთავრობის მხრიდან, კიდევ უფრო საჭოჭმანო მდგომარეობაში აგდებს ქვეყანას. მაგალითად, უკვე მერამდენედ წამოაყენეს ინიციატივა საპარტნიორო ფონდის შესახებ, რომელიც დაეხმარება ქვეყანას. ზუსტად ორი წელია, რაც ამ საკითხზე მიდის წყლის ნაყვა. **დავფიქრდეთ ელემენტარულ საკითხზე — თუ ვინმეს სერიოზული ინვესტიციის ჩადება უნდოდა, ვინ უშლიდა ხელს?** გარდა ამისა, როდესაც ასეთი ფონდის გახსნას აანონსებენ, კერძო **ინვესტორს უჩნდება შეკითხვა — თუ მართლა შეიქმნება ფონდი, რომლიდანაც შეღავათიან ფასებში შევძლებ იაფი კრედიტის გამოტანას, რაღა დღეს ავიღო ბანკიდან დიდ პროცენტში სესხი?** ამიტომ ზის და ელოდება ამ ფონდის ჩამოყალიბებას; ანუ ის **პროექტები, რომლებიც შეიძლებოდა 2 წლის წინ დაწყებულიყო და განხორციელებულიყო, გადაიდო, რადგან ეს ბიზნესმენები მოლოდინის რეჟიმში არიან და იმედი აქვთ შეღავათიანი დაფინანსების, თანაინვესტირების და ა.შ.** აქედან გამომდინარე, **მთავრობის ეს დაპირებაც არასწორი იყო, რადგან, თუ რამეს ჰპირდები, მყისიერად უნდა გააკეთო.** ადამიანს ორი წლის განმავლობაში დაპირებებით კვებავდე და ათასნაირად ატყუებდე, არ შეიძლება. **მთავრობას წარმოდგენა არ აქვს, რა დანაშაულს სჩადის ქვეყნის წინაშე,** ასევე არ აქვს წარმოდგენა, რა შედეგები მოჰყვება ამ ყველაფერს, **ერთადერთი, რაც მათი მუშაობიდან ჩანს, არის ის, რომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში, რაც აუცილებლად კრახით დასრულდება. სხვაგვარად შეუძლებელია.**

**— იქნებ ამ ყველაფერს ხელოვნურად აკეთებს ეკონომიკის სამინისტრო?**

— არა. **ეკონომიკის სამინისტროს პირველ პირებს ჰგონიათ, რომ სწორად იქცევიან, მაგრამ მათი ლოგიკა მცდარია,** თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებენ. ისინი ამას შეუგნებლად აკეთებენ. **არ იციან, ვერ ხვდებიან, რისი მომტანია მათ მიერ არჩეული გზა — სწამთ ის, რაც არ არის სწორი.** არადა, ამ ადამიანებთან დიალოგი შეუძლებელია — თეთრზე ამტკიცებენ, რომ შავია.

**— როგორ უნდა მოვიზიდოთ ქვეყანაში ინვესტიციები?**

— პირველ რიგში, **ინვესტორს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მას აკონტროლებენ. არადა, ინვესტორების კოტროლი დღევანდელი მთავრობის გამოკვეთილი პოლიტიკაა.** მთავრობის მიდგომა ასეთია: ინვესტიცია კარგია, თუ ესა თუ ის საინვესტიციო პროექტი ჩვენთან ერთად ხორციელდება. არადა, **ინვესტიცია არის კერძო სექტორის საქმე და მთავრობა ამ ყველაფერში ხელს არ უნდა აფათურებდეს.** დღეს საქართველოში არიან ინვესტორები, მაგრამ არა სასურველი რაოდენობის, რაც არა მხოლოდ ამ მთავრობის, არამედ მისი წინამორბედის დამსახურებაცაა. **საქართველოს ყველა მთავრობას სურდა და ახლაც სურს, რომ ქვეყანაში შემოსულ ყოველ თეთრს აკონტროლებდეს, რაც არათუ ინვესტორს, რიგით მოქალაქესაც არ მოსწონს.** და თუ ვინმეს ეს მოსწონს, გაუმჭვირვალე ბიზნესით არის დაკავებული და მთავრობასთან თანამშრომლობა მხოლოდ იმიტომ სურს, რომ სერიოზული პრობლემები აქვს და მთავრობის სახით ე.წ. სახურავს იქმნის.

**— პირველ რიგში, რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკის ფეხზე დასადგომად?**

— პირველ რიგში, **უარი უნდა ვთქვათ ეროვნულ ბანკზე, უნდა გვქონდეს ოქროს ლარი, როგორც საუკეთესო გამოსავალი, ანუ ლარი უნდა იყოს მიბმული დოლარზე ან ევროზე და პარალელურად ოქროს მიმოქცევაც უნდა ხდებოდეს.** უნდა შესრულდეს ყველა ვალდებულება, რომლებიც მთავრობამ დაიკისრა. შესაბამისად, **უნდა გაგრძელდეს გადასახადების შემცირება, რომელიც დაგეგმილი იყო და რომელიც შეწყდა; სასწრაფოდ უნდა დასრულდეს პრივატიზების პროცესი და შეწყდეს ახალი რეგულირებების შემოღება და გადაიხედოს ძველიც, გამარტივებული რომ იქნას, რადგან დღესაც კი კერძო ინვესტიციები უამრავ ბაზარზეა შეზღუდული,** მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოებაში, ტელეკომუნიკაციიის სფეროში და ა. შ.

**— როგორ შეაფასებთ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის მუშაობას?**

— ნოდარ ხადური თავდაჯერებულია და ჰგონია, რომ წარმატებით მუშაობს, მაგრამ, თუ არ შეცვლის მართვის პოლიტიკას, ძალიან დააზარალებს ქვეყანას.

**«ნოდარ ხადური თავდაჯერებულია და ჰგონია, რომ წარმატებით მუშაობს, მაგრამ, თუ არ შეცვლის მართვის პოლიტიკას, ძალიან დააზარალებს ქვეყანას»**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკელების მითითებით ერთხმად (ასთოთხმეტი ნულის წინააღმდეგ) აირჩია ევროპა – ეს მისი მორალური არჩევანი და ზნეობრივი სახეა! ეს 114 დეპუტატის ზნეობრივი არჩევანია და აღარ გვინდა ფარისევლობა — გეოგრაფია აქ არაფერ შუაშია...**

# ვიდრე საბოლოოდ გამოვკონჩიტდებით...



**„ნაციონალური მოძრაობა" და მისი ქვემდებარე მოიერიშე საზოგადოებრივი ორგანიზაციები საპატრიარქოს, პატრიარქს, მართლმადიდებელ ეკლესიას ჯიქურ, დაუფარავად უტევდნენ. მათი იერიშები ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. აშკარა იყო, რომ ეკლესიაზე, ეროვნულ ტრადიციებზე შეტევა წინასწარ გაწერილი სცენარის მიხედვით ხორციელდებოდა და სხვადასხვა რგოლის დესტრუქციულ საქმიანობას ერთიანი „გონებრივი ცენტრი" უწევდა კოორდინაციას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ წმინდა სინოდის სხდომებს რევიზორის თუ ცენზორის სახით კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი სოსო თოფურიძე ესწრებოდა ხოლმე, პატრიარქს კი ხან უშიშროების საბჭოს მდივანი ბოკერია მიუვარდებოდა საპატრიარქოში, ხანაც დედაქალაქის მერი უგულავა სამების ტაძარში. დაუფარავი, ინტენსიური ზეწოლის პირობებშიც კი საპატრიარქომ შეძლო შეეზღუდა „ნაცმოძრაობის" დესტრუქციული საქმიანობა, ყოველ შემთხვევაში სოდომისტებისთვის ერთსქესიანი ქორწინებისა თუ შვილის აყვანის საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა „ნაცმოძრაობამ" ვერ გაბედა... მოგვიანებით ხელისუფლებაშიც „ქართული ოცნება" მოვიდა და ყველამ მშვიდად ამოისუნთქა — ახალი ხელისუფლებისგან არავინ ელოდა სოდომიის წახალისებას და ერთხმად (104 ხმით) უზნეობის დაკანონებას... თუმცა ნეტარ არიან მორწმუნენი...**



**შორს არ არის დღე, როდესაც ერთსქესიანი ოჯახები და მათზე ბავშვების გაშვილება საქართველოში «ნებისმიერ ფასად» დაკანონდება**

„17 მაისმა დაგვანახა, რომ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან, შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა. ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი,ნაადრევია, მაგრამ უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს", არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია...

ხომ ნახეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის რეაქცია. ამიტომაც ვამბობ, რომ პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა მსგავსი კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან".

ზემოთ მოყვანილი ციტატა ამონარიდია პოლიტიკოს ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შარშან „საქართველო და მსოფლიოსთვის" მიცემული ინტერვიუდან. ამ ინტერვიუდან ათიოდე თვეში ანტიდისკრიმინაციული კანონის ფორსირებულად, პატრიარქის ნების წინააღმდეგ მიღებამ დაგვარწმუნა ამერიკაზე საქართველოსავით დამოკიდებულ სახელმწიფოში პედერასტიის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ასევე ცხადი გახდა, რომ ქართულმა საზოგადოებამ ვერ მოახერხა საკმარისად კონსოლიდაცია იმისათვის, რომ აეძულებინა ხელისუფლება, დაეცვა ერი გახრწნისაგან.

ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ამ ერთი მუჭა ქართველი გეებისა და მათი „ლობისტი" პოლიტიკოსების უკან, როგორც დავრწმუნდით, დგას მძლავრი საერთაშორისო ძალა აშშ-ის მეთაურობით. სწორედ ამ ძალის უშუალო მითითებით თუ აიხსნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — დავით უსუფაშვილის განცხადება, რომელიც მან მოლდოვაში გააკეთა:

**„რუსეთი თუ ევროპა? ამ არჩევანს აკეთებს დღეს პარლამენტი — ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება-არმიღებაზეა დამოკიდებული, საქართველო ევროპისკენ მიდის თუ რუსეთისკენ"...**

თითქოს ცალსახად ცხადია, რომ სოდომიისადმი დამოკიდებულება ზნეობის საკითხია და არა გეოგრაფიის, მაგრამ — არა, უსუფაშვილი თავის განცხადებაში სწორედ გეოგრაფიას უსვამს ხაზს. ის მიანიშნებს ვლადიმერ პუტინზე, რომელმაც რუსეთში გეიპროპაგანდა აკრძალა. უსუფაშვილი აპრიორი თვლის, რომ სოდომისადმი პუტინის მიდგომა, ანუ უზნეობის პროპაგანდის აკრძალვა ევროპის წინააღმდეგ სვლაა, არადა, ეს სიცრუეა...

რუსეთში გეიპროპაგანდის აკრძალვის ფონზე დასავლეთში საოცარი რამ ხდება — ბოლოდროინდელი გამოკითხვებით, კიევის კრიზისის შემდეგაც, ანუ რუსეთზე მასიური პროპაგანდისტული შეტევის ფონზეც კი ვლადიმერ პუტინმა რეიტინგით ბარაკ ობამა შორს ჩამოიტოვა.

**ბატონი უსუფაშვილი კი გვიმტკიცებს, რომ სწორედ სოდომიის დაკანონებაა ცივილიზებულობის, ევროპულობის მთავარი ნიშანი, მაგრამ გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ევროპის უბრალო მოსახლეობა, რიგითი ევროპელების უმრავლესობა, მათივე ხელისუფლებებისგან განსხვავებით, აშკარა სიმპატიას გამოხატავენ ვლადიმერ პუტინის მიმართ და ამართლებენ მის ქმედებებს, როგორც პასუხს აშშ-ევროკავშირის შეტევაზე ჯანსაღი აზრისა და ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ.** უფრო მეტიც — დასავლეთის ნეოკონსერვატორი პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე, როგორც დაპირისპირებაზე ნეოლიბერალიზმსა და ნეოკონსერვატიზმს, გნებავთ, უზნეობასა და ზნეობას შორის და ამით ერთიან პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ მიმდინარე პროცესებს, როგორც ომს ურწმუნოებასა და რწმენას შორის, და ამ უკანასკნელის ლიდერად რუსეთსა და მის პრეზიდენტს მოიაზრებენ.

**ევროპის უბრალო მოსახლეობა, რიგითი ევროპელების უმრავლესობა ნათლად ხედავენ, რომ დღეს, სოდომიზაციის პარაპაგანდისტი აშშ-ევროპის ხელისუფლებების ფონზე, რუსეთის ხელისუფლება ერთადერთია, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა სოდომიის პროპაგანდა; შესაბამისად, გეიპარადებისა და ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების პერსპექტივა ჩანასახშივე მოსპო.**

არადა, იმავე შეერთებულ შტატებში მშვენივრად ესმით უზნეობის, სოდომიის კულტივაციის დამღუპველი რაობა. შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანებში სენატორ მაკარტის კომისია დასკვნაში წერდა: **„მამათმავლები, რაც კი შესაძლებლობები გააჩნიათ, ერთმანეთს მაღალი საფეხურებისკენ ექაჩებიან. თუ რომელიმე მათგანი რომელიმე დაწესებულებაში მოიკიდებს ფეხს, სულ მალე იქ სხვა მისნაირებიც გამოჩნდებიან, დროთა განმავლობაში კი მთელი ძალაუფლება მათ ხელში აღმოჩნდება. ბუნებრივია, რომ ისინი კორუმპირებულები და არაპატრიოტები არიან"...**

ეშმაკმა უწყის ასეთი რა მეტამორფოზი განიცადა საღმა აზრმა და რატომ დაკნინდა მორალის აღქმა ასე ძლიერად აშშ-ში, მაგრამ ფაქტია, დღეს სახეზე გვაქვს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის, ოფიციალური განცხადება, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მთელ მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვაა, ხოლო პრეზიდენტი ობამა არც მალავს, რომ აშშ-ის ფინანსური დახმარება პირდაპირ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში სოდომისტების უფლებების დაცვის დონეზე. **ობამასავე მეცადინეობით პენტაგონის (იმავე ნატოს) არმიაში ლგბტ პირთა მსახურების უფლება ზარზეიმით დააკანონეს, ევროპის რიგ ქვეყნებში ასევე სახეზეა სოდომისტების პარპაში, რომელიც ცხადყოფს, რომ თანამედროვე გაგებით „დასავლური ცივილიზაცია" ქრონიკულად დაავადდა სოდომიის დამღუპველი სენით და დანარჩენი სამყარო დააყენა ხისტი არჩევანის წინაშე — ზნეობა და ტრადიციული მორალი თუ სოდომია და ცოდვა?**

დღეს ბევრს საუბრობენ ასევე უკრაინაზე, იმაზე, თითქოს სახეზე გვაქვს უკრაინელი ხალხის ევროპული არჩევანი... არადა, ვინ ახმოვანებს ამ „ევროპულ არჩევანს" უკრაინელების სახელით?

ვინ და არსენი იაცენიუკი — იუდეველი პრემიერმინისტრი; ალექსანდრე ტურჩინოვი — რადას ბაპტისტი სპიკერი, და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი; შინაგან საქმეთა მინისტრი, მამათმავლობაში შემჩნეული სომეხი არსენ ავაკოვი; დიმიტრი იაროში — ე.წ. პრავი სექტორის ლიდერი, ბანდერელი ფაშისტი ტერორისტი; სომხის კნეინა იულია ტიმოშენკო; საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კომპანიის ლიდერი პოროშენკოც კი ვაიცმანია, დედის გვარზეა უბრალოდ, უფრო სწორად, მამამისი გადავიდა დაქორწინების შემდეგ მეუღლის გვარზე... (როგორც ხედავთ, მაკარტის რომ დავესესხოთ, — უკრაინაშიც მაგრად „უქაჩიათ" ერთმანეთი...) ქსენოფობიაში ნუ ჩამითვლით მავანთა ეთნიკური წარმომავლობის ხაზგასმას, ეს იმისთვის დამჭირდა, რომ მიმენიშნებინა — **ევრომაიდნის ლიდერები ძირითადად არაუკრაინელები, არამართლმადიდებლები არიან და ამდენად, მათ ნაკლებად სტკივათ უკრაინა, დიდი ალბათობით, ამიტომაც აქციეს მათ ასე ადვილად უკრაინა გარე გეოპოლიტიკური ინტერესების პოლიგონად მას შემდეგ, რაც აშშ-ევროპისგან მხარდაჭერილი „ფერადი" გადატრიალების გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში...**

კიევის მოვლენების პარალელურად ევროპამ საქართველოსთვისაც მოიცალა და შტეფან ფულე აფრინა პატრიარქთან შესახვედრად. მან მის უწმინდესობასთან ნიანგის ცრემლები ღვარა — **რის გეიპარადები და რომელი ერთსქესიანი ქორწინებები, საქართველოს მიმართ ეგეთები არც კი გაგვიფიქრებიაო,** მაგრამ ფულეს წასვლა იყო და დასავლეთის ფულებით გამძღარმა, პარლამენტში მოკალათებულმა ხლისტებმა ვნების კვირაში ფორსირებულად აგვიმუშავეს ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც, საპატრიარქოს პროტესტის მიუხედავად ჯერ წითელ პარასკევს მიიღეს მეორე მოსმენით და ბოლოს 2 მაისს აღარც პატრიარქის შეისმინეს და მესამე მოსმენით ერთხმად (114 ხმით) ჭეშმარიტად ჩრდილოეთკორეული ერთსულოვნებით საბოლოოდ დაამტკიცეს ეს საქართველოს ამომგდები კანონი!!!

**მიიღეს და თანაც დაგვცინიან: პრემიერმა ღარიბაშვილმა — ჩვენი პატრიარქი ბრძენია, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ მაინც მივიღებთ ამ კანონსო. ვერაფერს იტყვი, მართლაც დიდი „პატივისცემა" მოჩანს; რესპუბლიკელების უფროსმა ხლისტმა, ლევან ბერძენიშვილმა, საერთოდ გაუნათლებლები გვიწოდა, ვინც ამ კანონის წინააღმდეგი ვართ. ამ კანონს, პირველ რიგში, უწმინდესი ეწინააღმდეგება და მინდა, ვკითხო ბ-ნ ბერძენიშვილს — პატრიარქი გაუნათლებელია?**

პარლამენტის თავმჯდომარემ უსუფაშვილმა ჯერ ნოტაცია წაგვიკითხა, რომ თურმე სწორედ მართლმადიდებლური საქციელია ამ კანონის მიღება და მერე — ვინც მას ეწინააღმდეგება, რუსეთში დამრჩენია და ვინც მომხრეა, ის ევროპაში მიდისო...

რაც მთავარია, ისეთი ერთსულოვნება გამოიჩინეს „ნაცებმა" და „ქოცებმა" ამ კანონის მიღების დროს, რომ კოაბიტაცია კი არა, შეფიცულობა მიმიქარავს — არავინ აღმოჩნდა პარლამენტში — 114 იუდას შორის ერთიც ისეთი, რომ წინააღმდეგ მიეცა ხმა!

ამ კანონის მიღებით დამთავრდა ის მითები, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს არა, ხვალ გაემიჯნება რეს- ▶

**დასავლეთში აქტიურად და შეუპოვრად მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. ხელისუფლებები ისეთი ქვეყნებისა, როგორიც არის აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ. ცდილობენ, ადამიანები დაარწმუნონ რომ ჰომოსექსუალიზმი გადახრა კი არა, ნორმაა. ისინი უბრალოდ კი არ იცავენ ამ ავადმყოფი ადამიანების უფლებებს, არამედ ჰომოსექსუალისტებს უკვე პრივილეგიებს ანიჭებენ. რაღაც მანქანებით, ადამიანები, რომლებიც ანგრევენ ოჯახისა და ზნეობის საფუძვლებს, ხელშეუხებლები გახდნენ.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პუბლიკელ ხლისტებს და ა.შ. **დღეიდან საზოგადოება „ნაცებსა“ და „ქოცებს“ ამერიკული სისტემის ორ შემადგენელად განიხილავს, ბევრს კი სამართლიანად უჩნდება კითხვა: ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკური პარტიის ფარული წევრი ხომ არ არის?**

რაც შეეხება უსუფაშვილის მტკიცებას, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება-არმიღება რუსეთსა და ევროპას შორის არჩევანი იყო... სოდომიისადმი დამოკიდებულება არა გეოგრაფიული, ანუ რუსეთ-ევროპას შორის, არამედ ზნეობრივი არჩევანია. სწორ ნაწლავში უცხო სხეულის შეტენვას გეოგრაფიასთან საერთო არაფერი აქვს — ეს მორალის, ესთეტიკისა და ჰიგიენის საკითხია, ბატონო სპიკერო.

**ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკელების მითითებით ერთხმად (ასთოთხმეტი ნულის წინააღმდეგ) აირჩია ევროპა – ეს მისი მორალური არჩევანი და ზნეობრივი სახეა!**

**ეს 114 დეპუტატის ზნეობრივი არჩევანია და აღარ გვინდა ფარისევლობა — გეოგრაფია აქ არაფერ შუაშია...**

როდესაც საქართველოში ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდნენ, სამღვდელოებამ ამ პროცესს ცოდვის დაკანონება უწოდა... კანონი მაინც მიიღეს და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ცოდვის დაკანონების პროცესი შეჩერდა, ცდება. ეს კანონი პირველი მერცხალია. შორს არ არის დღე, როდესაც ერთსქესიანი ოჯახები და მათზე ბავშვების გაშვილება საქართველოშიც „ნებისმიერ ფასად“ დაკანონდება. ეს შეუქცევადი პროცესია, ამის დასტურად საფრანგეთის მაგალითიც კმარა...

თუმცა რაღა საფრანგეთი, ევროვიზიის წლევანდელი გამარჯვებული ავსტრიელი წვერებიანი ტრანსვესტიტი კონჩიტა ვურსტი გახდა. ცნობისათვის: მას საქართველოდან ყველაზე მეტი — 10 ქულა ერგო. კონკურსის ტრანსვესტიტი მონაწილის საქართველოდან ყველაზე მაღალი 10 ქულიანი შეფასება ადგილობრივმა ლიბერალებმა ევროპულობის დასტურად მიიჩნიეს... მომხდარის გამო წუხილი არც საპატრიარქოს გამოუთქვამს. ერთადერთი, ვინც შეფასება მისცა მომხდარს, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომელმაც მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაგმო მომხდარი, როგორც ცოდვის ლეგიტიმაციის, გარყვნილების ცხოვრების წესად დანერგვის მცდელობა.

**ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. „ნებისმიერ ფასად“ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ, ცოდვის დაკანონების ფერხულში აქტიურმა მონაწილეობამ საზოგადოება საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მოქმედი ხელისუფლება ქართველი ხალხის მცდარი არჩევანია და, სანამ ხელისუფლებაში არ მოვიყვანთ ადამიანებს, რომელთაც არ დასჭირდებათ იძულება ერის გახრწნისაგან დასაცავად, ამ შეცდომას არაფერი ეშველება...**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

# ევროპას პედერასტიისა და პედოფილიის უფსკრულში მიაქანებენ

**კაცობრიობა დღემდე ოჯახის, ეროვნული ტრადიციებისა და საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ფასეულობებითა და ღირებულებებით მოვიდა, ახლა კი ამ ყველაფრის დასანგრევად აქტიური და შეუპოვარი პროპაგანდისტული კამპანია მიმდინარეობს და, თუ ამას წინ არ აღვუდექით, ნორმალური ადამიანები საშინელ დღეში აღმოვჩნდებით.**



## 10 წლის განმავლობაში 884 მღვდელმსახურს აჰყარეს წოდება პედოფილიის გამო

ბოლო 10 წლის განმავლობაში ვატიკანმა პედოფილიაში დადანაშაულებული 3 420 მღვდელმსახურის საქმე გამოიძია და მათგან 884-ს სასულიერო წოდება აჰყარა! — განაცხადა გაეროში ევროპის განყოფილებისა და ჟენევაში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებზე ვატიკანის მუდმივმა დამკვირვებელმა, არქიეპისკოპოსმა სილვანო ტომაზიმ წამების შესახებ ვატიკანის მოხსენებაზე ექსპერტთა შეკითხვებზე პასუხისას.

ამ საგანგაშო ციფრების აღიარების მიუხედავად, ტომაზიმ განაცხადა, რომ, იურიდიული თვალსაზრისით, რომის კათოლიკურ ეკლესიას არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს სხვა ქვეყნებში ჩადენილი დანაშაულის გამო, რადგან ვატიკანის იურისდიქცია სხვა სახელმწიფოებზე არ ვრცელდება, იქ ჩადენილი დანაშაულები „ნაციონალური იურისდიქციის ქვეშ ხვდება“ და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით უნდა განიხილონ.

წლეულს ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც გაეროს კომიტეტმა ვატიკანის მოხსენებაზე იმსჯელა, რამდენიმე თვის წინათ კი კომიტეტმა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტები განიხილა.

ახლახან რომში დასრულდა არასრულწლოვანთა დაცვის ვატიკანის კომისიის პირველი სხდომა. ეს არის პირველი საეკლესიო ინსტიტუტი, რომელიც რომის პაპმა ფრანცისკმა შექმნა. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება იმ ეპისკოპოსებისა და სხვა საეკლესიო პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლებიც ბავშვებზე ძალადობის ფაქტებს ვატიკანს დაუმალავენ.

აღსანიშნავია, რომ **ამა წლის აპრილში რომის პაპმა ფრანცისკმა ბოდიში მოიხადა პედოფილი მღვდლების გამო.**

„ბოდიშს ვიხდი იმ ბოროტების გამო, რომელიც რამდენიმე მღვდელმსახურმა ჩაიდინა არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერს ვიღონებთ!“ — განაცხადა რომის პაპმა.

## ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ევროპაში

დასავლეთში აქტიურად და შეუპოვრად მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. ხელისუფლებები ისეთი ქვეყნებისა, როგორიც არის აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ. ცდილობენ, ადამიანები დაარწმუნონ, რომ ჰომოსექსუალიზმი, გადახრა კი არა, ნორმაა. ისინი უბრალოდ კი არ იცავენ ამ ავადმყოფი ადამიანების უფლებებს, არამედ მათ უკვე პრივილეგიებს ანიჭებენ. რაღაც მანქანებით, **ადამიანები, რომლებიც ანგრევენ ოჯახისა და ზნეობის საფუძვლებს, ხელშეუხებლები გახდნენ. ნებისმიერი, ვინც გაბედავს და ხმას აღიმაღლებს, არათუ ასეთი ადამიანების, არამედ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ, სასტიკი დევნის ობიექტი ხდება**. მაგალითად, პოპულარული ფრანგი მსახიობი **ალენ დელონი**, აგრეთვე, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი **ლეხ ვალენსა**, რომელმაც თავისი უარყოფითი თვალსაზრისი გამოთქვა ჰომოსექსუალების მიმართ, რომ **„მე არ მინდა, რომ ეს უმცირესობა, რომლისაც არაფერი მესმის, ქუჩაში გამოვიდეს და გონება აუმღვრიოს ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს. ჰომოსექ-უალებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ, ისინი უნდა დასჯერდნენ მცირეს და არ უნდა მიიღონ პრაიმტაიმი, მათ არ უნდა მოაწყონ პროვოკაციები და შეავიწროვონ სხვები“...**

ამ განცხადების გამო ვალენსა ლამის შეაჩვენეს პოლონელმა პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. რამდენიმე დღის წინათ პოლიტიკოსმა **იანუშ პალიკოტმა** პოლონეთის სეიმს (პარლამენტს) მიმართა, აღკვეთოს ვალენსას გამოხდომები და დეპუტატებს მოუწოდა, უფრო ყურადღებით იყვნენ ჰომოსექსუალების მიმართ. გარდა ამისა, პოლონეთის პარლამენტში წარმომადგენელთა რაოდენობით მესამე პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ სხდომის მიმდინარეობისას, პროტესტის ნიშნად, პირველ რიგებში, ყველაზე პრესტიჟულ ადგილებზე, დასვამს გეი-დეპუტატ ბედრონიასა და ტრანსსექსუალ დეპუტატ გროდსკაიას. ყოფილმა დეპუტატმა რიშარდ ნოვაკმა კი ლეხ ვალენსას ნათქვამი შეურაცხყოფად მიიღო და პროკურატურაში სარჩელი შეიტანა. ნოვაკი ვალენსას „სექსუალური უმცირესობის მიმართ სიძულვილის საჯარო პროპაგანდაში“ ადანაშაულებს. **პოლონეთის კანონებით, ვალენსა შეიძლება ან დიდი თანხით დააჯარიმონ ან ორი წლით ციხეში ჩასვან.**

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ დასავლეთში ლგბტ საზოგადოების საწინააღმდეგო ფრაზის თქმა დანაშაულად ითვლება, მაგრამ **რატომ არავინ ფიქრობს, რომ პედერასტიის რეკლამირება შეურაცხმყოფელია ნორმალური ადამიანებისთვის, რომლებიც, სხვათა შორის, უმრავლესობას წარმოადგენენ?!**

## აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციამ პედოფილია სექსუალურ ორიენტაციად აღიარა

ბავშვთა საერთაშორისო დღის წინ (1 ივნისი) აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციამ გონებრივი აშლილობის დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ აღწერაში პედოფილია სექსუალურ ორიენტაციად აღიარა.

აღსანიშნავია, რომ **აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაცია უბრალო ორგანიზაცია არ არის, ეს არის მსოფლიოს წამყვანი პროფესიონალური ორგანიზაცია, რომლის მიერ შემუშავებული ცნობარითაც მედიკოსები დიაგნოზს სვამენ**.

აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაცის მიერ პედოფილიის სექსუალურ ორიენტაციად აღიარებამ აღშფოთება გამოიწვია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთშიც.

**ოჯახის, ქალებისა და ბავშვების საკითხების რუსეთის სათათბიროს კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოლგა ბატალინამ განაცხადა, რომ „რუსეთი ცეცხლითა და მახვილით ებრძვის პედოფილიას და ამას სისხლის სამართლის დანაშაულად თვლის. ახლა კი აშშ პედოფილიას ყველა საერთაშორისო დოკუმენტით დაიცავს და განაცხადებს, რომ ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანის დისკრიმინაცია დაუშვებელია.**

**აი, აქამდე დაეცა დასავლეთი!“.**

# პედოფილიის ფაქტები კათოლიკურ ეკლესიაში:



* **2009 წელს** ირლანდიაში 46 მღვდელი ამხილეს პედოფილიაში. აღსანიშნავია, რომ უფრო ხშირად ბიჭუნები იყვნენ მსხვერპლნი, ვიდრე გოგონები. ეპიზოდი 1975-2004 წლებს შეეხებოდა. ამ პერიოდში კათოლიკე მღვდლებმა 2000 ბავშვი გარყვნეს. სკანდალი გაღრმავდა როდესაც გაირკვა, რომ ეკლესიის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ (ოთხმა არქიეპისკოპოსმა, კარდინალ შონ ბრედის ჩათვლით) იცოდა დანაშაულის შესახებ და დამნაშავეებს ხელს აფარებდა. რომის პაპმა ბენედიქტმა ფაქტები აღიარა და ბოდიში მოიხადა თავისი ხელქვეითების მსხვერპლთა წინაშე.

* **იმავე ირლანდიაში 2000 წელს ეკლესიამ დუმილის სანაცვლოდ 12 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა გოგონას, რომელსაც 8 წლიდან რეგულარულად აუპატიურებდა კათოლიკე მღვდელი.** ეს ინფორმაცია 10 წლის შემდეგ გამჟღავნდა.

* **2010 წელს გერმანიის საზოგადოება აღშფოთებული იყო ბავარიის კათოლიკური ეკლესიის სასულიერო პირების მიერ არასრულწლოვანთა გარყვნის ფაქტებით.** კათოლიკე მღვდელმსახურთა მსხვერპლი 100 აღსაზრდელი გახდა. მათ შორის, „რეგენსბურგენ დომშპატცენის“ მომღერალ ბიჭუნათა გუნდის წევრები. სიტუაცია უფრო გამძაფრდა, როდესაც ცნობილი შეიქნა, რომ გუნდის ხელმძღვანელი იყო გეორგ რატცინგერი — შარშან გადამდგარი რომის პაპის — ბენედიქტ XVI-ის ძმა.

მსგავსი ფაქტი მოხდა **ბერლინის იეზუიტურ კოლეჯშიც**, სადაც 12 პედოფილი მასწავლებლის მსხვერპლი 115 მოსწავლე გახდა. მოზარდთაგან რამდენიმემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

* **2010 წელს მალტაზე** სამ მღვდელს ბრალი დასდეს 10 ბავშვის გახრწნისთვის კათოლიკურ ობოლთა თავშესაფარში.

* **ავსტრალიაში** 1993-2010 წლებში 100 კათოლიკე მღვდელი გაასამართლეს ბიჭუნებზე სექსუალური ძალადობის გამო.

* **2010 წლის სექტემბერში ბელგიის ფედერალურ პროკურატურაში შევიდა 103 სარჩელი რომის კათოლიკური ეკლესიის პედოფილი მღვდლების წინააღმდეგ**. მოსარჩელეთა 76 პროცენტი ორმოც წლამდე მამაკაცები არიან, რომლებიც ბავშვობაში პედოფილი მღვდლების მსხვერპლნი გახდნენ. 2011 წელს რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი კიდევ 75-მა ბელგიელმა შეიტანა, რომლებიც ბავშვობაში მღვდლების მიერ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ.

* **1950-2002 წლებში აშშ-ში მცირეწლოვანთა გახრწნაში 19 667 მღვდელმსახური დაადანაშაულეს.** 2011 წლის მარტში ფილადელფიაში 21 კათოლიკე მღვდელი დაითხოვეს მცირეწლოვანებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით.

* **2012 წლის მარტში გაიმართა სასამართლო პროცესი ირლანდიელი მონაზონის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა 87 გოგონაზე სექსუალურ ძალადობაში.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ჩანს, ალასანია საკუთარ, ხელისუფლების პირველი პირებისგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს, რაც, როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად შეუწყნარებელია. ასე თუ გაგრძელდა, ხვალ შეიძლება საკუთარი ინიციატივით ვინმეს ომი ან ბლოკადა გამოუცხადოს.**

# ალასანიას გამბიტი და ბირთვული ზამთარი საქართველოში

**ქართველი პოლიტიკოსების განცხადებების განხილვა და კომენტირება, როგორც წესი, რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება, შემდეგ კი საზოგადოებას ყურადღება სხვა თემებზე გადააქვს, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, ასე მაგალითად: ირაკლი ალასანიას 30 აპრილის მოწოდება საქართველოში ნატო-ს თავდაცვითი საშუალებების განთავსების შესახებ კვლავინდებურად აქტუალურია და მის განხილვაზე გასულ კვირას როგორც პოლიტიკოსებმა, ისე მათმა ამომრჩევლებმა საკმაოდ ბევრი დრო და ენერგია დახარჯეს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ დისკუსიაში, რომელიც ალასანიას განცხადებას მოჰყვა, როგორც სარკეში აირეკლა საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის არაერთი პრობლემა.**

## აპოკალიფსი ხვალ

30 აპრილს ვაშინგტონში გაიმართა ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებული კონფერენცია „ერთიანი და თავისუფალი ევროპისკენ", სადაც ირაკლი ალასანიამ განაცხადა (ციტატა თავდაცვის სამინისტროს საიტიდან): **„რუსეთი ყოველთვის ქმნის ახალ რეალობას ადგილზე, აირჩევს ახალ სამიზნეს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მოლაპარაკებებს დასავლეთთან. ახლა უკვე დასავლეთმა უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და თავად შექმნას რეალობა — შესთავაზოს ნატოს წევრობა ასპირანტ ქვეყნებს და განათავსოს იქ თავდაცვითი საშუალებები, განსაკუთრებით კი — საქართველოში. საქართველოში უნდა განთავსდეს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები და რუსეთი მიხვდება, რომ თქვენ სერიოზულად უდგებით საკითხს. ასევე, საჭიროა კიდევ სხვა ნაბიჯების გადადგმა, რომელთაც ამერიკაში ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრების დროს განვიხილავთ. ეკონომიკურ და ფინანსურ სანქციებთან ერთად უნდა მოხდეს სამხედრო შემაკავებელი საშუალებების განთავსება რუსეთის საზღვრებთან და დავეხმაროთ უკრაინას მთავარი მიზნის მიღწევაში".** ზოგადად, სიტუაცია, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი სრულიად დასავლეთს ჭკუას არიგებს და უხსნის, თუ რა უნდა(!) გააკეთოს მან, ერთობ ანეგდოტურად გამოიყურება, მაგრამ დროებით თავი დავანებოთ ამ მეორეხარისხოვან ნიუანსებს და ამ განცხადების არსებით განხილვაზე გადავიდეთ.

ალასანიას გამოსვლის კვალობაზე ზოგიერთმა ქართველმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ საუბარი ეხებოდა საქართველოში ნატო-ს წევრი სახელმწიფოების კუთვნილი სისტემების (მაგალითად, „პეტრიოტების" და, სავარაუდოდ, შესაბამისი პერსონალის) განლაგებას, ზოგი კი მივიდა დასკვნამდე, რომ ალასანია ქართული ჯარისთვის შეიარაღების გადმოცემას გულისხმობდა. 9 მაისს ტელეკომპანია „იმედის" ეთერში ალასანიამ თქვა: **„როგორც თავდაცვის მინისტრი, რა თქმა უნდა, ვითხოვ შეიარაღებას... მე, ბუნებრივია, ვერ მოვითხოვდი ვიოლინოების პარტიას ჩვენი ჯაზგუნდებისთვის"** და იქვე ბიუჯეტის შეზღუდულ შესაძლებლობებზე ისაუბრა, რითაც, ერთი შეხედვით, მეორე ვერსია გაამყარა. მაგრამ საქმე ისაა, რომ დასავლელმა მაღალჩინოსნებმა ალასანიას ნათქვამი სხვაგვარად (ანუ „პირველი ვერსიის" ფარგლებში) აღიქვეს. **„ძალების მუდმივად განთავსება, როგორც მინისტრმა შემოგვთავაზა, შესაძლოა, უფრო წინააღმდეგობრივი იყოს, მაგრამ მე ამ შემოთავაზებას ბრიუსელში ჩავიტან",** — თქვა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმ.

ალიანსის გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში — ჯეიმს აპატურაიმ კი განაცხადა: **„ნატო-ს თავისი თავდაცვითი სისტემები არ გააჩნია, ეს აქვთ მოკავშირეებს და ნატოს ყოველთვის შეუძლია ორგანიზებაში მხარდაჭერა, მაგალითად, როგორც თურქეთისთვის განვახორციელეთ სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით - „პეტრიოტის" სისტემა გადავისროლეთ, რომელიც შემაკავებელი გზავნილი იყო. მინისტრ ალასანიას გზავნილი ნათელი იყო და დარწმუნებული ვარ, მას განიხილავენ ნატოში"** („რადიო თავისუფლება"). აშკარაა, რომ ორივე მაღალჩინოსნმა გაიგო ალასანიას ნათქვამი, როგორც მოწოდება საქართველოში ნატო-ს თავდაცვითი საშუალებების (ვერშბოუს ფორმულირებით, — „ძალების") განთავსებისკენ და არა როგორც ჩვენი ჯარის შეიარაღებით მომარაგების იდეა. ამ ნიაუნსს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელზეც ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ნატო-ს ობიექტების თუ ჯარების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთისთვის „წითელ ხაზს" მიღმა მდებარეობს. თავის დროზე ამერიკელი კონგრესმენების ჯგუფმა წერილი გაუგზავნა აშშ-ის თავდაცვის მდივანს და შესთავაზა, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ერთ-ერთი რადარი თურქეთის ნაცვლად საქართველოში დაემონტაჟებინა. ამის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა შემდეგი განცხადება გააკეთა: **„ჩვენთვის სულერთი არ არის, სად გაჩნდება ეს სისტემა — ჩვენი საზღვრებიდან შორს თუ მათ სიახლოვეს. ჩვენთვის სულერთი არ არის, გაჩნდება თუ არა ის საქართველოში ბოლოს და ბოლოს. და რა უნდა ვქნათ, ჩვენი მოიერიშე სისტემები ქართულ ტერიტორიას დავუმიზნოთ? ხომ წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა ეს?"** (შეხვედრა რუსული მასმედიის ხელმძღვანელებთან, 18.01.2012). თუ რუსული სამხედრო ტერმინოლოგიის გამოყენების თავისებურებებს გავითვალისწინებთ, როდესაც საუბარი **„მოიერიშე სისტემების დამიზნე-**



## რუსეთის «ტოჩკა-უ» და «სმერჩის» მსგავსი შეიარაღება («ისკანდერს» თავი რომც დავანებოთ) «წვდება» თითქმის ყველა კრიტიკულად მნიშვნელოვან ობიექტს საქართველოს ტერიტორიაზე

**ბაზეა",** იქ საქმე 99% შემთხვევაში ბირთვული შეიარაღების შესაძლო გამოყენებას ეხება. თუ რუსეთსა და ნატოს შორის შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყება, რუსების ერთ-ერთი პირველი ამოცანა აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ობიექტების მწყობრიდან სწრაფი და გარანტირებული გამოყვანა იქნება, ყველაზე ეფექტური საშუალება ამისთვის კი ტაქტიკური ბირთვული იარაღია. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა შედეგი მოჰყვება მის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიაზე. **თუმცა, ვიდრე ამ აპოკალიფტურ პერსპექტივას განვიხილავთ, მითუმეტეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი ამერიკელების გლობალურ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას არ ეხება, ალბათ, იმის დადგენა აჯობებს, წავა თუ არა ვაშინგტონი საქართველოში საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ან სხვა შეიარაღების განთავსებაზე.**

## „პეტრიოტები", „სმერჩები" და „ურაგანები"

აგვისტოს ომის კვალობაზე, როდესაც რუსეთმა თავისი ბაზები კავკასიონის სამხრეთით, სეპარატისტულ რესპუბლიკებში განალაგა, ამერიკელი სამხედროების ინტერესმა საქართველოს მიმართ მნიშვნელოვნად იკლო. ყველაზე მოკლედ და გასაგებად ამის მიზეზები ჩამოთვლილია აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მოხსენებაში, რომლის ავტორები არიან ცნობილი ექსპერტი არიელ კოენი და პოლკოვნიკი რობერტ ჰამილტონი (ამ ოფიცერს საინტერესო ნაშრომები და ბიოგრაფია აქვს; გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოშიც, აშშ-ის საელჩოში მსახურობდა): **„რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე გამორიცხავს საქართველოსა და აზერბაიჯანში ბაზების, აეროდრომების, ელექტრონული საშუალებებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებას შეერთებული შტატების და, შესაძლოა, ისრაელის საჰაერო ოპერაციებისთვის ჩრდილოეთ ირანის წინააღმდეგ. რუსეთს სურს, რომ, ცხელი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, შესაძლებლობა ჰქონდეს, შეაჩეროს კავკასიაში აშშ-ისა და მოკავშირეების ჯარების გაშლა, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ბაზების გამოყენებით. რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე სომხეთში და საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული სამხედრო ბაზებიდან ეფექტურად გამორიცხავს აშშ-ის საჰაერო ოპერაციებს მოსკოვის თანხმობის გარეშე".** ამ „საჰაერო ასპექტის" გარდა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რუსეთის „ტოჩკა-უ" და „სმერჩის" მსგავსი შეიარაღება („ისკანდერს" თავი რომც დავანებოთ) „წვდება" თითქმის ყველა კრიტიკულად მნიშვნელოვან ობიექტს საქართველოს ტერიტორიაზე, ცენტრალური მაგისტრალი კი შეუძლიათ ჩვეულებრივი „დ-30"-ებიდან დაბომბონ და პრაქტიკულად მომენტალურად რამდენიმე ადგილას გადაჭრან. ამასთანავე, რელიეფი და რიგი სხვა ფაქტორები ქმნის საკმაოდ კარგ პირობებს რუსული სპეცნაზის რეიდებისთვის. „სუფთა სამხედრო თვალსაზრისით", ყოველივე ეს ძალიან ჰგავს ბანალურ ხაფანგს. მართალია, თეთრ სახლს შეუძლია აიძულოს პენტაგონი, დაჯგუფების გაშლა თუ „პეტრიოტების" გადასროლა ასეთ მძიმე სასტარტო პირობებშიც კი დაიწყოს, მაგრამ აქვს თუ არა ობამას ადმინისტრაციას პოლიტიკური ნება ამისთვის?

საგულისხმო მაგალითი: გასულ კვირას ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთმა ყველაზე თანმიმდევრულმა მოწინააღმდეგემ ჯონ მაკკეინმა „სი-ენ-ენისთვის" მიცემულ ინტერვიუში შემდეგი ისტორია მოყვა: **„აი ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, რამდენად სუსტად გამვიყურებით... ბოლოს და ბოლოს, თეთრ სახლში ცხარე დებატების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, იქ საკვები გაეგზავნათ (იგულისხმება უკრაინისთვის აშშ-ის არმიის „მილ რედი-თუ-ით" რაციონების მიწოდება). მაგრამ მათი გაგზავნა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავებით არ მოისურვეს, რადგან ამას ვლადიმერ პუტინის პროვოცირება შეეძლო, ამიტომ დაიქირავეს გერმანული სატვირთო მანქანები".** ეს და არაერთი მსგავსი ისტორია ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ, აშშ-რუსეთის ურთიერთობებში დაძაბულობის აშკარა ზრდის მიუხედავად, ობამას ადმინისტრაცია მაინც ფრთხილობს და ნაკლებად სავარაუდოა, ისეთ მკვეთრ ნაბიჯზე წავიდეს, როგორიცაა საქართველოში ბაზების განლაგება (ან თუნდაც ჩვენი არმიისთვის რამდენადმე სერიოზული შეიარაღების მიწოდება), რადგან ამას თითქმის გარანტირებულად კრემლის ძალიან ხისტი პასუხი მოჰყვება. ბირთვულ კატასტროფამდე საქმე ამ ეტაპზე, ალბათ, მაინც არ მივა, თუმცა (თუ ნატო და საქართველო დაიწყებენ რეალურ მსჯელობას „ალასანიას ვარიანტზე") დაძაბულობის სწრაფი ზრდა, ახალი სანქციები და საქართველოს პოტენციურად პრობლემურ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში ჩრდილოელი „მწვავე კაცუნების" შემოსვლა ნამდვილად არ უნდა გამოვრიცხოთ. მსგავს ▶

## ჰქონდა თუ არა თავდაცვის მინისტრს უფლება, ესოდენ მნიშვნელოვანი ინიციატივა დამოუკიდებლად, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან შეთანხმების გარეშე, გაეჟღერებინა?

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „თუკი ამერიკა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მისი წევრი სახელმწიფოს მიმართ არ იყო შეუვალი საჰაერო თავდაცვის სისტემების განლაგების საკითხში, ჩვენ რა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ საქართველოს კბილებით დაიცავენ?!“

კრიტიკულ სიტუაციაში პუტინი, სავარაუდოდ, უკან არ დაიხევს, რაზეც ცალსახად მიუთითებს ის, რაც მოხდა ყირიმში.

**იმის ალბათობა, რომ ამერიკელები ალასანიას წინადადებას სერიოზულად განიხილავენ, საკმაოდ მცირეა და ეს, სავარაუდოდ, თავად ფიგურანტსაც ესმის. მაგრამ ვიდრე იმას დავადგენთ, რამ უბიძგა განხილული განცხადების გაკეთებისკენ, ალბათ, იმის დადგენა უნდა ვცადოთ, ჰქონდა თუ არა ალასანიას ამ იდეების ასეთი ფორმით გაჟღერების უფლება საერთოდ.**

## ახალი მიშა და ძველი „კრიშა“

თავდაცვის მინისტრის განცხადების კომენტირებისას, უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა განაცხადა: **„როცა თავდაცვის მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ქვეყნის მთავარსარდალთან და უშიშროების საბჭოც უნდა ყოფილიყო აღნიშნულში ჩართული“.** ეს პრინციპული მომენტია; მნიშვნელობა არ აქვს, მოგვწონს ალასანიას განცხადება თუ არა, მივესალმებით მას თუ ვგმობთ, უპირველესად, უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა თავდაცვის მინისტრს უფლება, ესოდენ მნიშვნელოვანი ინიციატივა დამოუკიდებლად, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან შეთანხმების გარეშე, გაეჟღერებინა. ის, რომ ეს იყო უბრალოდ გამოსვლა და არა (ვთქვათ) ოფიციალური წერილი, ამ შემთხვევაში, ალბათ, მეორეხარისხოვანია, რადგან ნატო-ს წარმომადგენლებმა განიხილეს ის, როგორც გზავნილი, რომელიც ალიანსის შტაბ-ბინაში სავსებით სერიოზულ განხილვას ექვემდებარება.

ირინა იმერლიშვილი გამოცდილი იურისტია და საგულისხმოა, რომ თავის განცხადებაში მან იხმარა ფორმულირება **„უნდა იყოს შეთანხმებული“** და არა (მაგალითად) **„სასურველია იყოს შეთანხმებული“,** რაც ალასანიას მიერ კანონის მოთხოვნების შესაძლო უგულვებელყოფაზე მიანიშნებს. ალასანიამ დამოუკიდებლად წამოაყენა ინიციატივა, რომლის რეალიზებამ შეიძლება მკვეთრად შეცვალოს საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან და ძალიან სწრაფად მასთან ახალი ომის პირას მიიყვანოს. **როგორც ჩანს, ალასანია საკუთარ, ხელისუფლების პირველი პირებისგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს, რაც, როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად შეუწყნარებელია. ასე თუ გაგრძელდა, ხვალ შეიძლება საკუთარი ინიციატივით ვინმეს ომი ან ბლოკადა გამოუცხადოს.** კიდევ ერთხელ — მნიშვნელობა არ აქვს, კარგი იყო ალასანიას განცხადება თუ ცუდი, ნებისმიერ შემთხვევაში, ვალდებული იყო, ზემდგომებთან შეეთანხმებინა.

რატომ გააკეთა ეს თავდაცვის მინისტრმა? დღეს დასავლეთში ბევრს საუბრობენ „გადატვირთვის“ დასრულებაზე და „ახალი ცივი ომის“ დაწყებაზე. შესაძლოა, ალასანიას მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ გარემოების გამოყენების და საკუთარი თავის, როგორც რუსეთთან დაპირისპირებაზე ორიენტირებული ლიდერის, პრეზენტაციის მცდელობას, განსხვავებით ივანიშვილისგან და ღარიბაშვილისგან, რომელნიც „გადატვირთვასა“ და „განმუხტვასთან“ ასოცირდებიან. **მარტივად რომ ვთქვათ, ის ამერიკული აუდიტორიის წინაშე წარსდგა, როგორც „გაუმჯობესებული მიშა“, რომელიც მზადაა, 100%-ით დამჯერი იყოს, რაც ისედაც იცოდნენ და, ამასთანავე, საქართველო ფრონტისპირა (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის — ვიქტორია ნულანდის ფორმულირება, რომელიც გასულ კვირას გამოიყენა) ან სულაც ფრონტის ხაზზე მყოფ სახელმწიფოდ გადააქციოს, მაგრამ, სააკაშვილისგან განსხვავებით, თავისუფალია მენტალური აშლილობისგან, რომელიც ასე აღიზიანებდა თეთრ სახლს.** სააკაშვილი თითქმის დაუფარავად ოცნებობდა მინიატურულ მესამე მსოფლიო ომზე საქართველოს ტერიტორიაზე. რაზე ოცნებობს ალასანია? **ისე, თავის დროზე საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ირაკლი ალასანია არ აკეთებს მნიშვნელოვან განცხადებებს თავის ამერიკელ მეგობრებთან კონსულტაციის გარეშე და, შესაბამისად, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ მისი 30 აპრილის „ვაშინგტონური ბენეფისი“, აგრეთვე, შეთანხმებული იყო მათთან.**

რამდენად სჭირდება თეთრ სახლს ამ ეტაპზე ასეთი ლიდერი საქართველოში? დღეს ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა შეუძლებელია; ბევრი რამ დამოკიდებული იქნება უკრაინული კრიზისისა და აშშ-რუსეთის ურთიერთობების დინამიკაზე და იმაზე, რამდენად თავდაჯერებულად იგრძნობს თავს ვაშინგტონი იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიაში ესკალაციაზე წავიდეს, რომელსაც შეიძლება არამხოლოდ წარმატება, არამედ დაკავებული პოზიციების დაკარგვაც მოჰყვეს. მაგრამ, ყოველივე თქმულის მიუხედავად, ალასანიას განცხადება, მის ბოლოდროინდელ ქცევასთან ერთად, ძალიან ჰგავს სერიოზულ პოლიტიკურ განაცხადს როგორც (და უპირველესად) გარე, ისე შიდა აუდიტორიისთვის. ნაკლებად სავარაუდოა, ეს რიტორიკული თამაში იყოს. ირაკლი ღარიბაშვილისთვის სასურველია, შექმნილი სიტუაცია კარგად გააანალიზოს (ალასანიას, რესპუბლიკელებისა და „ნაციონალების“ მიერ ალიანსის შექმნის შესაძლებლობის გათვალისწინებით), აგრეთვე, შეეცადოს, დაადგინოს, რა პოზიციას დაიკავებს ვაშინგტონი თუ ჩამოთვლილ ძალებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის კონფრონტაცია დაიწყება. რა თქმა უნდა, პრემიერმინისტრს შეუძლია ჩათვალოს, რომ ირაკლი ალასანიას განხილული განცხადება მხოლოდ და მხოლოდ „პოზიორობის“ სურვილმა გააკეთებინა, **თუმცა არაერთი სიგნალი მიანიშნებს იმაზე, რომ სიტუაცია შეიძლება გაცილებით სერიოზული იყოს და „ოცნების“ მოწინააღმდეგე ძალების შეთქმულება თანდათან რეალიზების სტადიაში გადადის.**

**დიმიტრი მონიავა**

**აკაკი ასათიანი:**

# საქართველოს თავდაცვის მინისტრს უნდა ესმოდეს, რომ ამ გეოპოლიტიკურ არეალში მოსკოვთან შეუთანხმებლად ვერც ნატო და ვერც სხვა რომელიმე ორგანიზაცია ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს!

**ქვეყანაში ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან პროცესებზე „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი გვესაუბრება.**



**— ბატონო აკაკი, რამდენიმე დღის წინათ ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოში უნდა განლაგდეს ნატოს საჰაერო თავდაცვითი სისტემა და რუსეთი მიხვდება, რამდენად სერიოზულად უდგება ალიანსი ამ საკითხს. ამ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობაშიც კი უარყოფითი შეფასება მოჰყვა, — მინისტრს თანაგუნდელებმა შეუთანხმებელი ინიციატივის გამო უსაყვედურეს. რას მოუტანს საქართველოს ამ სისტემის განლაგება?**

— არ ვიცი, ეს, საერთოდ, იყო თუ არა განხილული და შეთანხმებული ვინმესთან, მაგრამ ფაქტია: **ეს არ არის ისეთი განცხადება, რომელიც უშედეგოდ, ურეაქციოდ ჩაივლის. გახსოვთ, ალბათ, რა მოქმედებები მოჰყვა კრემლის მხრიდან, როცა დაახლოებით მსგავსი სისტემების განთავსებაზე იყო საუბარი პოლონეთში.** რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები, მათ შორის, პრეზიდენტიც, დაუფარავად ლაპარაკობდნენ იმ მოსალოდნელ შედეგებზე, რომლებიც ამ ყველაფერს მოჰყვებოდა. იმხანად აშშ იძულებული შეიქნა, შეეჩერებინა ეს პროგრამა და მეტიც — ვაშინგტონი რიგ დათმობებზე წავიდა, მოსკოვისთვის დამაჯერებელი რომ ყოფილიყო „თეთრი სახლის“ რიტორიკა დათბობის პოლიტიკის შესახებ. **თუკი ამერიკა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მისი წევრი სახელმწიფოს მიმართ არ იყო შეუვალი საჰაერო თავდაცვის სისტემების განლაგების საკითხში, ჩვენ რა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ საქართველოს კბილებით დაიცავენ?!**

**— განალაგებენ თუ არა ამ სისტემას საქართველოში, სხვა საკითხია, მაგრამ გვჭირდება კი ის ჩვენ?**

— სარაკეტოსი რა გითხრათ, მაგრამ საჰაერო თავდაცვა რომ არ გვაწყენდა, ფაქტია, თუ კიდევ ერთხელ ვაპირებთ სიგიჟეს და რუსეთთან ომს. სხვა შემთხვევაში ამას, რა თქმა უნდა, აზრი არ აქვს. ამიტომ, **საქართველოს თავდაცვის მინისტრს უნდა ესმოდეს ერთი მარტივი ჭეშმარიტება: ამ გეოპოლიტიკურ არეალში მოსკოვთან შეუთანხმებლად ვერც ნატო და ვერც სხვა რომელიმე ორგანიზაცია ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.** ვფიქრობ, რომ ნატოში არასოდეს მიგვიღებენ. მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება ეს — როცა თვითონ რუსეთი შევა იქ. რაც შეეხება უსაფრთხოების სისტემას, თუ ვფიქრობთ, რომ კრემლთან კონფრონტაცია გარდაუვალია და სარაკეტო დარტყმებს უნდა ველოდოთ, ამას ეგ სისტემა ვერ უშველის. **ჩვენ კი არა, დასავლეთიც არ არის დაცული მსგავსი საფრთხისგან. ასე რომ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რაზეა რეალურად საუბარი. ეს არ არის ჩვენი უსაფრთხოება...** ხოლო მუდმივი ხაზგასმა საფრთხეებზე, არის ძველი მეთოდი, მას ჯერ შევარდნაძე იყენებდა, შემდეგ — სააკაშვილი...

**— „ოცნებაც“ იმავეს განაგრძობს?**

— ეს არის ინერციის ხელისუფლება, რომელიც მიჰყვება იმას, რაც „ნაციონალებმა“ დაამკვიდრეს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **დღეს კოალიცია „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დოგმების ტყვეობაში იმყოფება და იქიდან ვერ გამოდის.** მან იცის, რომ, თუ საქმე ცუდად წაუვა, ბოლოს და ბოლოს, დასავლეთი დაიცავს, ისევე, როგორც სააკაშვილის გუნდი დაიცვა. ეს მდგომარეობა კომფორტულია მმართველი გუნდისთვის, რადგან „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ ერთი ძალა მართავს — დასავლეთი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძირეული ცვლილებების მოლოდინი არც უნდა გვქონოდა, მაგრამ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი: **ვლადიმერ პუტინმა უკვე ორჯერ განაცხადა, — მზად ვარ, საქართველოს პირველ პირს შევხვდეო...** დიპლომატიას თავისი ენა აქვს და, ვისაც ესმის, ესმის, ვისაც — არა, მისთვის ახსნა-განმარტებებით თავს არავინ შეიწუხებს. **ამჟამინდელ ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, დაიწყოს კრემლის მესვეურებთან პირდაპირი დიალოგი და, თუ ამ ნაბიჯს გადადგამს, უფრო გაიზრდება მისი ავტორიტეტი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ამასთანავე, პოლიტიკა დაბალანსებული გახდება.**

## «ქართული ოცნება» «ნაცმოძრაობის» პოლიტიკური დოგმების ტყვეობიდან ვერ გამოდის»

ნახეთ, რა ხდება თვითონ ევროპაში: ინგლისში ბულგარელებსა და რუმინელებს დასდევენ უკვე... ის კი არა, არსებობს ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია — ინგლისის დამოუკიდებლობის პარტია, რომელიც უკიდურეს მემარჯვენე ძალად ითვლება და ბრიტანეთში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მოსახლეობის შედინებაზე კონტროლის დაწესებას ითხოვს. საფრანგეთში რუმინელი ბოშები აყარეს და ისევ რუმინეთში გადაასახლეს. არადა, ისინი ევროკავშირის მოქალაქეები არიან. მოკლედ, ყველა იმაზე ფიქრობს, როგორ დაიცვას თავისი ქვეყანა და ეს უკონტროლო გადაადგილებები შეამციროს. ჩვენ ასე ძალიან რომ მიგვეჩქარება ევროპაში, გეგონება, იმათაც ერთი სული აქვთ, როდის შევუღებთ კარს. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება რუსეთისთვის საფრთხე არ არის, მაგრამ არც ჩვენთვისაა ბედნიერება. რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს ამან სამომავლოდ, კაცმა არ იცის. მე, მაგალითად, **არ გამიხარდება, თუ სავიზო რეჟიმი გაუქმდება ევროკავშირთან, რადგან საქართველო სულ დაიცლება მოსახლეობისგან. აი, ამაზე უნდა ფიქრობდეს ხელისუფლება, თორემ იმ დოკუმენტზე ხელმოწერით აღსრულდება თუ არა ქართველების ისტორიული ნება, დრო გვიჩვენებს.**

**— წინა კვირას თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები თბილისში იმყოფებოდნენ. შემდეგ გაიმართა შეხვედრები თურქ და ქართველ ბიზნესმენებს შორის. პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო თურქეთისთვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა საინვესტიციო თვალსაზრისით... არსებობს თუ არა ალბათობა, რომ დასავლეთის ხელშეწყობით, სწორედ თურქეთმა გადაიბაროს პოლიტიკური საქეთმპყრობლის ფუნქცია რეგიონში?**

— იყო დრო, საქართველო შედიოდა თურქეთის პოლიტიკურ ვექტორში. თუ ისევ თურქეთის ვექტორში გვინდა დაბრუნება, კი, ბატონო, დავბრუნდეთ, მაგრამ მაშინ კარგად გავეცნოთ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიას... ისე, თავის მხრივ, თურქები ძალიან კორექტულები არიან და ჭკვიანურადაც მოქმედებენ. მეჩეთები, პატარ-პატარა საწარმოები, ინვესტიციები ენერგეტიკაში — აი, ამით შემოდიან. თურქებისგან პირდაპირ სამხედრო აგრესიას გამოვრიცხავ. ისინი მოქმედებენ ათათურქის ანდერძით, რომელმაც მეჯლისში თავის ბოლო გამოსვლაში განაცხადა: ქართველები დამოუკიდებლობას აუცილებლად მოიპოვებენ და ეს ჩვენი მეზობლებიდან ერთადერთი ხალხია, რომელთანაც მეგობრობას შევძლებთო. იქვე დასძინა, ოღონდ არ უნდა გავიმეოროთ წინაპრების შეცდომა, რომლებმაც გამუდმებული სამხედრო საფრთხით ეს ხალხი აიძულეს, სხვა იმპერიას შეკავშირებოდნენო. მორჩა, ყველაფერი ნათქვამია. აწი შენი გადასაწყვეტია, რა შემხვედრი პოლიტიკა გექნება და რა სტრატეგიით იმოქმედებ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში თავიანთ ძალაუფლებას სისხლით ამაგრებდნენ, ადამიანებს სულში აფურთხებდნენ, სკამების გულისთვის უკან არაფერზე იხევდნენ, ახლა გვპირდებიან, დაბრუნების შემთხვევაში, იმას გავაკეთებთ, რაც ვიცითო. ამ განცხადების შემდეგ მათ ვერავინ შეედავება, ისევ იმავეს რატომ სჩადიხართო, რადგან გასაგებად ითქვა: „გთავაზობთ იმას, რაც ვიცით!“**

# «ნაციონალური მოძრაობა» გვთავაზობს...

**მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ ქართველებს ძალიან მოკლე პოლიტიკური მეხსიერება გვაქვს. სწორედ ამის ბრალია ის, რომ, რაც უნდა დიდი შეცდომა დაუშვა პოლიტიკაში, დიდი-დიდი ერთი წელი ჩრდილში იქნები, შემდეგ კი ისევ მზის სინათლეზე გამოხვალ და, ქართული პოლიტიკის ავანგარდში თუ არა, მეორე ხაზზე მაინც დადგები, თანაც იმ იმედით, რომ არავის არაფერი ახსოვს. და მართლაც, ეს ტაქტიკა ხშირად ამართლებს. ყველაზე ნათელი მაგალითი ბოლოს გვქონდა. „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის ციხის კადრების შემდეგ ხელისუფლებიდან პირდაპირ ციხეში უნდა წასულიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, აქეთ — კოჰაბიტაცია, იქით — საერთო ინტერესები და ახლა „ნაციონალები“ ისევ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან. მმართველი გუნდი კი ამბობს, „ნაციონალურ მოძრაობას“ ამის შანსი არ აქვსო, მაგრამ რეალურად „ქართული ოცნების“ რეიტინგი თბილისური თოვლივით დნება და ჯერ არავინ იცის, მათი დაცემული რეიტინგის ხარჯზე რომელი ოპოზიციური პარტიის გავლენა მოიმატებს. ისიც ვთქვათ, რომ პიარში „ნაციონალებს“ ვერავინ შეედრება და ბუზის სპილოდ წარმოჩენის ტექნოლოგია ლამის ხელოვნების დონეზე აქვთ აყვანილი. ამ ყველაფრის ფონზე საეჭვოდ არის გაჩუმებული მიხეილ სააკაშვილი, კაცი, რომელიც დღემდე „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეა და გუნდის უპირობო ლიდერად ითვლება. როგორც ამბობენ, „ნაციონალები“ ნიადაგის მომზადებას აპირებენ იმისთვის, რომ სააკაშვილი საქართველოში მოვლენების კულმინაციის დროს, ანუ გმირად დაბრუნდეს და, რაღა თქმა უნდა, ამის იმედი, ისევ და ისევ, ჩვენი მოკლე პოლიტიკური მეხსიერების გამო აქვთ.**




„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თვითმმართველობის არჩევნების წინ მხარდამჭერებთან ბოლო მასშტაბური შეხვედრა გამართა და სპორტის სასახლე გაავსო. სოციალურ ქსელებში ამ აქციის მიმდინარეობისას რამდენიმე ადამიანმა იკითხა, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“ (ძველი აჭარა) მყარად არის ნაგები თუ, შესაძლოა, წაიქცეს და სპორტის სასახლეს დაეცესო, თუმცა ამ კომენტარებზე საინტერესო ის განცხადებები იყო, რომლებიც ყოფილი მმართველი გუნდის ლიდერებმა გააკეთეს. გიორგი ვაშაძით დავიწყოთ.

**„ჩვენ გთავაზობთ იმას, რაც ვიცით!“ — განაცხადა ვაშაძემ და მისი შემდეგი სიტყვები ტაშის გრიალში ჩაინთქა.** ტრიბუნასთან ახლოს ვიყავი და კარგად გავიგონე, რა თქვა ამის შემდეგ ვაშაძემ, ანუ რა იცის კარგად „ნაციონალურმა მოძრაობამ“:

პირველ რიგში, — **ეკლესიის დისკრედიტაცია და ნგრევა; სრულიად საქართველოს ციხედ გამოცხადება და ყოველი მეათე ადამიანის გასამართლება; ბიზნესმენების დაწიოკება და ტერორი; ადამიანების ქუჩაში დახვრეტა; საზეიმო ტელედაპატიმრებები; ციხეებში პატიმრების წამება, ხოცვა, გაუპატიურება; პრეზიდენტისთვის განუსაზღვრელი ძალაუფლების მინიჭება და მისი მადის დასაკმაყოფილებლად ხან სუში-ბარის დაკეტვა და ხან დოქტორ დოტის ჩამოყვანა და მასაჟები...** ვაშაძეს კიდევ უნდოდა გაეგრძელებინა, თუმცა ტაში მინელდა და გაჩუმება არჩია.

სხვათა შორის, ვაშაძე ძალიან საინტერესო პერსონაა. **იმის მიუხედავად, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ ათასობით ყალბი პირადობა აღმოაჩინა, რაც, წესითა და რიგით, იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის იმჟამინდელ მოადგილე ვაშაძეს უნდა სცოდნოდა, მის მიმართ კითხვებიც კი არ გაჩენილა და ვაშაძეც დიდ გულზეა,** — **დამიმტკიცეთ, რომ ვიცოდიო**. ამბიციამოძალებული გიორგი მერობის კანდიდატობასაც აპირებდა, მაგრამ მერე რაღაც არ მოეწონა და პრაიმერში მონაწილეობაზეც კი უარი თქვა, საბოლოოდ კი თბილისი ნიკა მელიას შეატოვა. ვერ ვიტყვი, „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ნარმანია ციდან ვარსკვლავებს წყვეტს-მეთქი, მაგრამ მელიას რომ აჯობებს, ფაქტია. თბილისელები მოვლენათა ეპიცენტრში არიან და, რაც მთავარია, მათი პოლიტიკური მეხსიერება, დანარჩენ საქართველოსთან შედარებით, არც ისე მოკლეა. ისევ „ნაცმოს“ შეხვედრას დავუბრუნდეთ.

ვაშაძის შემდეგ იყო **თენგიზ გუნავა**, ადამიანი, რომელიც ახლა ზუგდიდის გამგებლობისთვის იბრძვის, მანამდე კი სამხარეო პოლიციის უფროსი იყო და სამეგრელოს მცხოვრებნი დღემდე ყვებიან, როგორ ტერორში იყვნენ იმხანად და, ვინც „ნაცებს“ არ ემორჩილებოდა, ან ციხეში მიდიოდა, ან სასაკლაოზე, რომელიც სამეგრელოს ტყეებში იმდენი ყოფილა, რომ თვლას ვერ აუდიან. **გუნავას ეს საერთოდ არ აწუხებს, რადგან მასა და მის გუნდს ამაზე უარესი თავხედობა შერჩენიათ და დიდი რამე, ესეც თუ შერჩებათ.**

ისე როგორ იქნებოდა, ტრიბუნასთან **გიგი უგულავა** არ მისულიყო და **ნამერალმა ჩვეულად დასჭექა, — აქაოდა, დღე-დღეზე ხელისუფლებაში დავბრუნდებით და დავბრუნდებით ისე, რომ შურს არ ვიძიებთო**. ძალიან გვინდა, დავიჯეროთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შურს არ იძიებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენ, ჟურნალისტებს, **კარგად გვახსოვს 2003 წლის შემდეგ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების თავს რა ქარბორბალა დატრიალდა. გასახსენებლად დავით მირცხულავა და სულხან მოლაშვილიც კმარა. ამ ადამიანებს ის ჯოჯოხეთი გამოატარეს, მომდევნო წლებში თითქმის ნახევარმა საქართველომ რომ გაიარა და მეორე ნახევარი სწორედ ამ ჯოჯოხეთის შიშით მმართველ გუნდს, პრაქტიკულად, დაემონა.** ჰოდა, ეს ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში თავიანთ ძალაუფლებას სისხლით ამაგრებდნენ, ადამიანებს სულში აფურთხებდნენ, სკამების გულისთვის უკან არაფერზე იხევდნენ, ახლა გვპირდებიან, დაბრუნების შემთხვევაში, იმას გავაკეთებთ, რაც ვიცითო. ამ განცხადების შემდეგ მათ ვერავინ შეედავება, ისევ იმავეს რატომ სჩადიხართო, რადგან გასაგებად ითქვა: **„გთავაზობთ იმას, რაც ვიცით!“**

**დავით მინდიაშვილი**

**P.S. მერობის კანდიდატად „ნაციონალების“ მიერ წარდგენილმა ნიკა მელიამ განაცხადა, ჩემი არჩევის შემთხვევაში თბილისში საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა 20 თეთრი გახდება, ხოლო საწვავზე აქციზის გადასახადს გავაუქმებთ და ბენზინი, სულ ცოტა, 25 თეთრით გაიაფდებაო. არავის მოუვიდა თავში აზრად ეკითხა — კი მაგრამ, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ხელს ვინ გიშლიდათო და... მაშინ ისე ჩანდა, რომ ხელისუფლება ურყევი იყო, ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფულით სუშის ჭამა და ნაშებში გრიალი კი — ძალიან ტკბილი.**

# ჭიკაიძის ფაქტორი,
## ანუ როდის უნდა მოვიდეს ადამიანი პოლიტიკაში



**ვიხსენებ და, მგონი, ასეა: საქართველოს ისეთი მშვიდი გენერალური პროკურორი, როგორიც არჩილ კბილაშვილი იყო, არ ჰყოლია. შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ კბილაშვილი ჯერ ადვოკატი იყო და მერე გახდა მთავარი ბრალმდებელი, მაგრამ ფაქტია: მისი სიმშვიდე ვერ თუ არ იგუეს და ახლა კბილაშვილი სამოქალაქო სექტორშია. სხვისი რა გითხრათ, მაგრამ პირადად ჩემთვის ბატონი არჩილი იმ ფრაზასთან ასოცირდება, რომელიც მან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე თქვა.**

„პოლიტიკაში მაშინ უნდა მოვიდეს ადამიანი, როდესაც მისი, გნებავთ, ადრეფიზიოლოგიური სექსუალური ლტოლვის ასაკი გადალახულია“, — განაცხადა იმხანად კბილაშვილმა და ვინ იგულისხმა, შეხსენებაც არ უნდა გჭირდებოდეთ, მაგრამ...

შემდეგ იყო, ახალმა ხელისუფლებამ „ადრეფიზიოლოგიური სექსუალური ლტოლვის ასაკგადაულახავი“ ადამიანები ისევ რომ დააწინაურა და ვერ გეტყვით, ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, მაგრამ კბილაშვილი წავიდა.

ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი ჩვენს რეალობაში ალექსანდრე ჭიკაიძე გახლავთ, თანაც როგორი მინისტრი — შინაგან საქმეთა სამინისტრო აბარია და, თუ ასევე ახალგაზრდა პრემიერს ვენდობით, საქმეს კარგად უძღვება. ეს ყველაფერი კი კარგია (ერთი შეხედვით), მაგრამ **ხანდახან ჭიკაიძეს ბავშვური ონავრობით ისეთი ფრაზები ეპარება, თავის დროზე ბრეჟნევს რომ ეპარებოდა (იმასაც ასაკის გამო).**

იმას მოგახსენებთ, რომ ნატოს წარმომადგენლებმა არ გამორიცხეს საქართველოში დამცავი საბრძოლო სისტემების განთავსება. ეს რეალურად ნატოს სამხედრო ბაზა იქნება და ეს მაშინ, როცა საქართველო ნატოს წევრი არ არის და ამ ალიანსს მაპს დღემდე ეხვეწება. ჰოდა, ჭიკაიძემ, როცა ჰკითხეს, რას იტყვით ამაზეო, ამაყად მიუგო: ჩვენი გადასაწყვეტი არ არის ეს საკითხი, ნატო თავად გადაწყვეტს, სად რა დადგასო...

ახლა მოიცა! რას ჰქვია, ჩვენი გადასაწყვეტი არ არის?! **ალიანსის წევრი არ ვართ, ნატოსთან, თანამშრომლობის გარდა, არაფერი გვაკავშირებს და რა გამოდის — იმასაც კი არ გვკითხავენ, საბრძოლო რაკეტები საქართველოში როგორ და სად დაიდგას? ანუ რეალურად ქვეყნის ბატონ-პატრონი ნატოა და ერთ დღესაც აქ საბრძოლო ტექნიკის დაყენება კი არა, თავის ჯარისკაცებისთვის ფეშენებელური ბორდელის გახსნა რომ მოინდომოს, არაფერი უნდა ვთქვათ?!**

ეს განცხადება ორლობის ჭორიკანას რომ გაეკეთებინა, ეგებ არაფერი გვეთქვა, მაგრამ, როცა ამას შს მინისტრი ამბობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მთავრობის პოზიციაა.

სხვათა შორის, სტრატეგიული თანამშრომლობა რამდენიმე ქვეყანასთან გვაკავშირებს და მათ შორის ჩვენი მეზობლები, აზერბაიჯანელები და სომხებიც არიან. ახლა **ილჰამ ალიევმა რომ მოინდომოს და სადმე, მარნეული-გარდაბნის გზაგასაყარზე სამხედრო რაკეტები დააყენოს, თანაც ისე, რომ არაფერი გვკითხოს, რა უნდა ვქნათ? თუ ნატო არაფერს გვეკითხება, რატომ უნდა გვკითხოს აზერბაიჯანმა?! რატომ არ უნდა გაბრაზდეს ამ განცხადებაზე რუსეთი და რატომ არ უნდა ახსნას ჩრდილოელმა მეზობელმა მარტივად ის, რომ თავადაც არაფერი გვკითხა, როცა სამხრეთ ოსეთსა თუ აფხაზეთში სამხედრო ბაზები გააკეთა?!** ისე, **ჭიკაიძეს, შესაძლოა, ასაკი არ უწყობს ხელს, მაგრამ იმ წლებს თუ გადახედავს, როცა ჯერ ბავშვი იყო, ნატო კი მუდმივ დახმარებას გვპირდებოდა, ნახავს, რომ მუდმივი დახმარება მუდმივ იმედგაცრუებაში იყო გადაზრდილი და ახლაც ასეა.** თუ 2008 წლის ომის დროს შემოტანილ წყალსა და პამპერსებს არ ჩავთვლით, ჩვენთვის ამ ორგანიზაციას არც არაფერი გაუკეთებია და მოქმედებს ასეთი პრინციპით: „ჩემს ჯიბეში კანფეტია, ასე ტკბილად დამიბერდი“. იმ კანფეტს კი ობი მოეკიდა და ისე აყროლდა, ჯიბისკენ ხელის წაღებაც კი არავის სურს.

**დავით მინდიაშვილი**

**P.S. „პოლიტიკაში მაშინ უნდა მოვიდეს ადამიანი, როდესაც მისი, გნებავთ, ადრეფიზიოლოგიური სექსუალური ლტოლვის ასაკი გადალახულია!“ — აი, ამ განცხადებით დამამახსოვრდა კბილაშვილი.**

ნებისმიერი მასშტაბური შეტევა ეკლესიაზე ხელისუფლებისთვის მართვის სადავეების დაკარგვით და გარანტირებული კრახით დასრულდება.



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა დგას პატრიარქის ინიციატივის უკან?

11 მაისს სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა და ახალი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო, რომელიც საზოგადოების ცხოვრებასა და ქართულ პოლიტიკაში, სავარაუდოდ, საკმაოდ სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს.

**„მივიღეთ ასეთი განჩინება, ყოველი წლის 17 მაისს იყოს ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების მოხსენიების, მშობლების პატივისცემის დღე. ამ დროს მთელი ერი უნდა გამთლიანდეს – მშობლები და შვილები. მთელი ხალხი უნდა გამთლიანდეს და უნდა აღვავლინოთ ლოცვები, ერთი პირით, ერთი ძალითა და ერთი გონებით. სამღვდელოებას ეძლევა ლოცვა-კურთხევა, ამ დღეს 12 საათზე ჩაატარონ პარაკლისი ტაძარში და ნაკურთხი წყლით აპკურონ ტაძარი, ოჯახები, ქუჩები, ასევე ლოცვა-კურთხევა ეძლევა ერის ადამიანებს, რომ ნაკურთხი წყლით აკურთხონ ოჯახი და საკუთარი თავი. პირველი ასეთი დღესასწაული მშობლების იქნება 17 მაისს. თქვენ ნახავთ, იგრძნობთ, როგორ გაძლიერდება თქვენი სული, გონება, სხეული და როგორ გაძლიერდება საქართველო“,** — განაცხადა ილია II-მ.

თუ ყურადღებას პატრიარქის ინიციატივის პოლიტიკურ ასპექტზე გავამახვილებთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ მან გაავლო ერთგვარი „წითელი ხაზი“, რომლის გადალახვა როგორც ლგბტ-აქტივისტებს, ისე პოლიტიკოსებს შეიძლება საკმაოდ ძვირი დაუჯდეთ. თუმცა ვიდრე ამ თეზისს განვავრცობთ, ალბათ, სასარგებლო იქნება იმის გახსენება, რა დატვირთვას ატარებს 17 მაისი საქართველოსთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

გასული წლის 17 მაისს ლგბტ-პირების უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა თბილისის ცენტრში აქციის გამართვა სცადეს, მაგრამ ამის შესაძლებლობა გაცილებით მრავალრიცხოვანი კონტრაქციის მონაწილეებმა არ მისცეს, რომლის ბირთვს სასულიერო პირები და მათი მრევლი შეადგენდა. რამდენიმე ეპიზოდში ვითარება მკვეთრად დაიძაბა და, რომ არა პოლიციის სწრაფი და ადეკვატური რეაგირება, დაპირისპირება, ალბათ, გაცილებით მძიმე შედეგით დასრულდებოდა. **მაშინ რამდენიმე პოლიტიკოსმა და ექსპერტმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მასშტაბური შეტაკებების პროვოცირებას ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეუწყეს ხელი, თუმცა საგამოძიებო ორგანოებს ამ მიმართულებით არ უმუშავიათ (ან უშედეგოდ იმუშავეს).**

რატომ ჩატარდა ის აქცია მაინცდამაინც 17 მაისს? 1990 წლის 17 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან ამოიღო და სწორედ ამ დღეს ლგბტ-აქტივისტები მთელ რიგ ქვეყნებში „ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან და ტრანსოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“ აღნიშნავენ. მათ აქციებზე მთავარი ადგილი უფლებადაცვით ლოზუნგებს უკავია, განსხვავებით გეიაღლუმისგან, ანუ „გეიპრაიდპარადისგან“ („გეების სიამაყის აღლუმი“), რომელიც, როგორც წესი, ივნისში ტარდება. გეიაღლუმი, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საჯარო დემონსტრირების დღეა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აფიქსირებს სხვაობას ამ ორ მოვლენას შორის და, სიმართლე რომ ვთქვათ, ის დიდად არ აინტერესებს. 2013 წლის 17 მაისის კონტრაქციის მონაწილეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწორედ გეიაღლუმის ჩატარების მცდელობა აღკვეთეს.

ამის შემდეგ ქართველმა კომენტატორებმა პრაქტიკულად დაუყოვნებლივ დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რა მოხდება მომავალ წელს, 2014 წლის 17 მაისს. ამ დღის მოახლოებასთან ერთად, ანტიდისკრიმინაციული კანონის დაძაბული განხილვის ფონზე, მედიასა და სოციალურ ქსელებში არაერთი დრამატული სცენარი და კონსპიროლოგიური ვერსია განიხილეს. მართალია, შარშანდელი აქციის ერთ-ერთმა მთავარმა სულის ჩამდგმელმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ წინასწარ განაცხადა, რომ ამ დღეს ქუჩაში აქტივისტების გამოყვანას არ გეგმავს, გავრცელდა (უმეტესწილად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო) ცნობები იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი, შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი ამის გაკეთებას მაინც აპირებს. შესაბამისად, დედაქალაქის ქუჩებში ახალი მწვავე დაპირისპირების საფრთხე ამ მომენტისთვის სრულიად გამორიცხული არ არის.

ჩვენ საკმაოდ საინტერესო თემას მივუახლოვდით. 2013 წლის 17 მაისს ტრადიციონალისტური ძალების მობილიზაციის დროს, ერთ-ერთი დომინანტური იდეა „გეი-აღლუმის არდაშვება“ იყო. ძალზე მნიშვნელოვანია, — ერთიანდებიან ადამიანები რაღაცის ჩასაშლელად (დასანგრევად) თუ პოზიტიური, შენებაზე ორიენტირებული იდეების ერთგულებას აფიქსირებენ. პირველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რამდენად სამართლიანია მათი პროტესტი, სიძულვილის მოზღვავებისა და ძალადობის ესკალაციის შეჩერება, რაღაც ეტაპზე შეუძლებელი ხდება. **ამ კონტექსტში პატრიარქის ინიციატივა უაღრესად დადებით ხასიათს ატარებს; ამა წლის 17 მაისს მრევლი შეიკრიბება არა იმისთვის, რომ ლგბტ-აქტივისტებს დაუპირისპირდეს, არამედ იმისთვის, რომ ქართული ოჯახის და ტრადიციების პატივისცემა გამოხატოს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ორიენტაცია პოზიტივზე ნეგატივის ნაცვლად, რაც ნებისმიერ შემთხვევაში მისასალმებელია.**

ცხადია, ეს არ არის ილია II-ს გადაწყვეტილების ერთადერთი ასპექტი. წელს თუ არა, დროთა განმავლობაში, ახალი დღესასწაული შეიძლება კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ჯგუფების ერთგვარი მობილიზაციის, საერთო-ეროვნული აღლუმისა და საკუთარი ძალის დემონსტრირების დღედ გადაიქცეს და ხელი მათი კრისტალიზაციის პროცესს შეუწყოს. დღეს ისინი ოპონენტებზე მრავალრიცხოვანნი, მაგრამ გაცილებით არაორგანიზებულები არიან. მათ ჰაერივით სჭირდებათ ის, რაც გააერთიანებს და შემდგომ პოლიტიკური თვითორგანიზების შესაძლებლობას მისცემს; „ოჯახის დღე“ შეიძლება ერთ-ერთ ასეთ წერტილად, ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს.

აქ, ალბათ, ისევ პოზიტივსა და ნეგატივზე ორიენტაციის პრობლემას უნდა დავუბრუნდეთ. ბრძოლა იმ ღირებულებების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში დაჩქარებული ვესტერნიზაციის პროცესში მკვიდრდება და ბრძოლა ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნება-გავრცელებისთვის არსებითად სხვადასხვა რამ არის. პირველი ვარიანტი უპერსპექტივოა — მის ფარგლებში გეიქორწინების უარყოფა, ადრე თუ გვიან, დასრულდება მთელი ევროპული გამოცდილების უარყოფით, მათ შორის დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, ლტოლვით კარჩაკეტილობისკენ და იდეური ავტარკიისკენ, რომელიც პრინციპულ წინააღმდეგობაში შევა ქართული კულტურულ-ცივილიზაციური მოდელის ფუნქციონირების ფუნდამენტურ პრინციპებთან. მეორე ვარიანტი შესაძლებელს ხდის სინთეზს და, უხეშად რომ ვთქვათ, უცხოური გამოცდილებიდან კარგის აღებას და ცუდის უარყოფას, საქართველოს განვითარებას მისი სპეციფიკისა და საზოგადოებაში გავრცელებული იდეების გათვალისწინებით (გაუთვალისწინებლობა კი ისეთივე კრახით დასრულდება, როგორც მიხეილ სააკაშვილის ექსპერიმენტები).



**რომ არა პატრიარქის ინიციატივა, 17 მაისი ადრე თუ გვიან გადაიქცეოდა „გეებსა და ლესბოსელებზე ნადირობის დღედ“, რომლითაც პოლიტიკური პროვოკატორები ისარგებლებდნენ.** ამის საფრთხე კვლავინდებურად არსებობს, თუმცა დროთა განმავლობაში ის, სავარაუდოდ, შემცირდება.

როდესაც სააკაშვილის მიმდევრები ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობას აღწერენ, როგორც წესი, პრიმიტიულ ბიპოლარულ მოდელს იყენებენ და უდგებიან მას დაახლოებით ისე, როგორც ორი პოლიტიკური ძალის ბრძოლას, რომელთა მიზანი მოწინააღმდეგის განადგურება, დამონება, ან მარგინალიზაციაა. ეს სერიოზული შეცდომაა, რადგან, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე იერარქების აბსოლუტურ უმრავლესობას, სავარაუდოდ, მშვენივრად ესმით, რომ მათი დისკუსიის ან თუნდაც დაპირისპირების საბოლოო მიზანი თანაარსებობის ისეთი ფორმის გამოძებნაა, რომელიც ორივე მხარისთვის ასე თუ ისე მისაღები იქნება. მათთვის ცხადია, რომ ეს არ იქნება „ხელისუფლებათა სიმფონია“ ბიზანტიურ სტილში ან თანამედროვე ირანული გამოცდილების გაზიარება. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ საქართველოში ამ ეტაპზე ვერ დამკვიდრდება 100%-ით სეკულარული მოდელი (რეალურად და არა ფორმალურად), ხოლო ეკლესიის როლი საზოგადოების ცხოვრებაში და მისი ურთიერთდამოკიდებულება საერო ხელისუფლებასთან ხელშესახებ პერსპექტივაში (სიტყვაზე) ჰოლანდიაში შექმნილ სიტუაციას ვერ დაემსგავსება. **საქართველოში, მისი ისტორიის და დღევანდელობის გათვალისწინებით, ვერც მთავრობა შეძლებს ეკლესიის მარგინალიზაციას და სრულ დამორჩილებას და ვერც ეკლესია საერო ხელისუფლების ჩანაცვლებას და მის მართვას მოღვაწეობის ყველა ასპექტში.** ასე რომ, ალბათ, უნდა შევთანხმდეთ, რომ მივუდგებით შესაბამის პროცესებს არა როგორც ომს და დაუნდობელ დაპირისპირებას, არამედ, როგორც თანაარსებობის საუკეთესო ფორმის ძიების პროცესს, რომელიც ორივე მხარის და სრულიად საქართველოს ინეტერესებშია; ამ შემთხვევაშიც, სასურველია, მიზნად პოზიტიური შედეგის მიღწევა დავისახოთ.

**პოლიტიკური ელიტის მთელი რიგი წარმომადგენლებისთვის სასურველია, სასწრაფოდ ამოიგდონ თავიდან ეკლესიასთან ურთიერთობის კონფრონტაციული მოდელი, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში გავრცელდა.** ეკლესიის გავლენა ძალზე დიდია, ის 2000 წლისაა და საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობის უზარმაზარი გამოცდილება დაუგროვდა. მას ახსოვს ისეთი მტრები, როგორებიც იყვნენ დიოკლეტიანე და იულიანე განდგომილი, XX საუკუნის დიქტატორებს თავი რომც დავანებოთ. **ასე რომ, მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია თუ ახალი ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი მისთვის რამდენადმე სერიოზულ მოწინააღმდეგეებს არ წარმოადგენენ. ნებისმიერი მასშტაბური შეტევა ეკლესიაზე ხელისუფლებისთვის მართვის სადავეების დაკარგვით და გარანტირებული კრახით დასრულდება.**

რაც შეეხება საპატრიარქოს გარშემო დარაზმულ ტრადიციონალისტურ ჯგუფებს და იერარქებს, რომლებიც მათ ზურგს უკან დგანან, სასურველია, მათ უკეთ გააცნობიერონ, რას წარმოადგენს თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო. ისინი, მათი თქმით, წლების განმავლობაში ეწინააღმდეგებიან ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, მაგრამ დღემდე ვერ შეიმუშავეს შესაბამისი კანონპროექტი, როგორც ეს (მაგალითად) ახლახან ლატვიელმა მორწმუნეებმა გააკეთეს. **ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ XXI საუკუნეში გაცილებით სამართლიანია, საზოგადოების ზნეობის სადარაჯოზე იდგეს კანონი და არა ტაბურეტიანი აქტივისტი.** კონსერვატორ-ტრადიციონალისტებმა უნდა ისწავლონ ადეკვატური მოქმედება სამართლებრივ (და, სხვათა შორის, პოლიტიკურ) სივრცეში, წინააღმდეგ შემთხვევაში დეკლარირებულ მიზნებს ვერასოდეს მიაღწევენ.

**საზოგადოების იმ წარმომადგენლებმა კი, რომელთაც კარგად ესმით საერო და სასულიერო ხელისუფლებების კონსენსუსის აუცილებლობა, ალბათ, ყველა ღონე უნდა იხმარონ მისი მიღწევისთვის და იმისთვის, რომ „ტოტალური ომის“ ფსიქოლოგია რაც შეიძლება მალე დავიწყებას მიეცეს, რადგან მან შეიძლება საქართველოს ბოლო მოუღოს, თანაც უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოგვიდგენია.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„17 მაისი გახრწნილ ევროპაში აღინიშნება, როგორც ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე, საქართველოში კი ამ დღეს ოჯახის სიწმინდეს, ღირსებასა და ზნეობას დავიცავთ. ოჯახის დღის დაწესებით პატრიარქი შეეცადა დაპირისპირების თავიდან აცილებას და ამის შემდეგ ბინძური ადამიანები თუ ისევ გამოვლენ ქუჩაში, ნიშნავს, რომ ჩვენს სიწმინდეს ებრძვიან, რასაც არ დავუშვებთ!“



## გურამ ფირცხალავა:

# თუ კონჩიტას უნდა დავემსგავსოთ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ევროინტეგრაციის წინააღმდეგი ვარ...



**მას შემდეგ, რაც უსუფაშვილის პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი ხმათა უმრავლესობით მიიღო და ერთბაშად „დემოკრატიის ჭეშმარიტებას“ გვაზიარა, უკმაყოფილო საზოგადოების ერთადერთ იმედად ქვეყნის პირველი პირი — პრეზიდენტი მარგველაშვილი რჩებოდა. ბევრი ელოდა, რომ უმაღლეს მთავარსარდალს ეყოფოდა გამბედაობა აღნიშნულ კანონპროექტზე ვეტოს დასადებად, მაგრამ ეს მოლოდინიც ისეთივე ფუჭი აღმოჩნდა, როგორც „მეოცნებეთა“ წინასაარჩევნო დაპირებები. „პლასტელინმა“ კანონს ხელი ისე მოაწერა, განხილვაც კი არ ყოფილა და ამით, ფაქტობრივად, წამზომი ჩართო. ახლა ისღა დაგვრჩენია, 30 დღის გასვლას დაველოდოთ. ამის შემდეგ კანონი ძალაში შევა და უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ იტყვიან, თმის ღერი არ უნდა ჩამოუვარდეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, დიმიტროვის, ფულესა თუ ეშტონისგან შეჩვენება არ აგვცდება, ევროკავშირი კი კარს მოგვიხურავს და მერე ვერანაირი „სეზამ, გაიღე“ საქმეს ვერ უშველის. მოკლედ, ყველაფერი ნათელი და ცხადია, საქართველომ „ისტორიული არჩევანი“ გააკეთა. გაუგებარი მხოლოდ ის არის, რა შეცვალა ჩვენთვის ამ არჩევანმა, მაგრამ ამასაც, ალბათ, მალე გავიგებთ...**

**„საქართველო და მსოფლიო“ მსახიობ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐᲡ დაუკავშირდა და მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე აზრის გამოთქმა სთხოვა.**

### «ანტიდისკრიმინაციული კანონის უარყოფით შედეგებზე უმრავლესობა ღვთისა და ერის წინაშე აგებს პასუხს»

**— ბატონო გურამ, რა აზრის ხართ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე? რას გვაძლევს ის და რა აუცილებლობას წარმოადგენდა მისი მიღება?**

— ჯერ დავიწყოთ იმით, არის თუ არა საქართველოში დისკრიმინაცია. მე რაღაც არ მსმენია, ვინმეს სახლში შევარდნოდნენ თავისი განსხვავებულობის გამო, მიეყენებინოთ შეურაცხყოფა, დაემცირებინოთ და ა. შ. პირიქით, ტელევიზორს ჩართავ და, რომელ არხზეც გინდათ, სულ ესენი არიან. ის კი არა, ერთი პირდაპირ იძახდა გადაცემაში, იმდენი კაცი მყავდა, სათვალავი ამერიაო. ვსვამ მარტივ შეკითხვას: ამათ რომ ვინმე დევნიდეს, გაბედავდნენ ამ ტელეორგიების მოწყობას?! ვინმე ამოიღებდა ხმას ასეთ საკითხებზე?! რა ხდება, გამაგებინეთ! გამოდის ქალი და გახარებული ამბობს, რა კარგია ორალური სექსი, ყველამ უნდა გასინჯოსო. მეორე უმოწმებს, — აბა რა, მაგას რა ჯობიაო. მერე მიდის პროპაგანდა, რომ თურმე მამათმავლობა გადახრა კი არ არის, ჩვეულებრივი მოვლენაა და ყველანი სოლიდარული უნდა ვიყოთ მათ მიმართ. ახლა თქვენ როგორ ფიქრობთ, ამას რომ მოზარდი მოისმენს, ის ნორმალური იქნება?! მე ძალიან არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება, მაგრამ დღითიდღე ვრწმუნდები ამაში. რაც შეეხება თვითონ კანონს, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, მის მიღებას ნამდვილად ველოდი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სამწუხარო იყო ის ფაქტი, რომ სამი კაცი არ აღმოჩნდა ამ პარლამენტში, რომლებიც კენჭისყრის დროს წინააღმდეგი წავიდოდნენ... ყველას კარგად გვახსოვს 2012 წლის ოქტომბერი, რის ფასად დაგვიჯდა ის გამარჯვება და რამდენი ადამიანის ჯანმრთელობა შეეწირა რეჟიმთან დაპირისპირებას... აი, თურმე რისთვის ვიბრძოდით. ესაა უბედურება და ამაზე მწყდება გული! ჩემთვის უწმინდესზე დიდი ავტორიტეტი არ არსებობს და საპატრიარქომ უარყოფითად შეაფასა ეს კანონი. კიდევ ვიმეორებ: მე სრულად ვენდობი ჩვენს ეკლესიას, ამიტომ, რადგან ის ამბობს, რომ ეს არის საფრთხე, ე. ი. მართლა რაღაც არის მასში ისეთი, რაც არ უნდა მივიღოთ.

საინტერესოა, რატომ ითხოვს (თუ ითხოვს საერთოდ) ევროპა ასე დაჟინებით ჩვენგან ამ კანონის მიღებას. ევროკავშირის წარმომადგენლებს, იმავე ბატონ დიმიტროვს და სხვებს, ვკითხავდი — მართლა მაინტერესებს, რა ღირებულებების გაერთიანებაა ეს ორგანიზაცია, მიგვიღებენ ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ მათნაირები, ევროვიზიის გამარჯვებულ კონჩიტას ნაირები, უნდა გავხდეთ? თუ კონჩიტას უნდა დავემსგავსოთ, მაშინ მე, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, წინააღმდეგი ვარ ევროინტეგრაციის. თუ არა და ნუ გვაძალებენ და ნუ გვტენიან იმას, რაც ქართველისთვის არასოდეს იქნება მისაღები.

**— თქვენ თქვით, რომ პარლამენტში არ აღმოჩნდა თუნდაც სამი ადამიანი, რომლებიც ხმას კანონპროექტის წინააღმდეგ მისცემდნენ. როგორ ფიქრობთ, მართლა ასეთი ერთსულოვანი იყო უმრავლესობა, თუ რაიმე ზემოქმედება შეიძლება მოეხდინა მათზე ვინმეს?**

— არც ერთ შემთხვევაში ამ საქციელს გამართლება არ აქვს. რა ზემოქმედებაზე ვსაუბრობთ, ვინმემ ძალით დააჭერინათ ხელი ღილაკზე?! დღევანდელ პარლამენტში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელთაც (ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ შეგნებულად, გაუცნობიერებლად, ამას მნიშვნელობა არ აქვს) უნდა იცოდნენ, თუ კი რამე ცუდი შედეგები მოჰყვება ქვეყნისთვის ამ ე. წ. კანონს, რომ ამაზე ისინი პასუხს ▶

## გოდერძი ოთარაშვილი:

# გარე ძალებს სურთ, რომ უსუფაშვილს მეტი რეიტინგი ჰქონდეს, ვიდრე ჩვენს პატრიარქს, მაგრამ ამას საქართველოში ვერ მიაღწევენ



**„მოვითხოვთ, მთავრობამ მიიღოს კანონი უმრავლესობის საკეთილდღეოდ, რათა ჩვენი ოჯახები და შვილები იყვნენ დაცულნი! “— ამ მოთხოვნით სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის წარმომადგენლები 17 მაისს მდუმარე მსვლელობით სამების საკათედრო ტაძარს მიაშურებენ და პარლამენტს ამ კანონის შემუშავებისკენ მოუწოდებენ...**

**ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის თავმჯდომარე:**

— ენ-დი-აი, ლგბტ, იელოვა — ეს ყველაფერი ჩემთვის, როგორც მართლმადიდებლისთვის, მიუღებელია. ნორმალური ადამიანი მაგათ ნაბოდვარს, რომელსაც კვლევას ეძახიან, აღარ უსმენს. თუ ამდენ ხანს ჩუმად ვართ, ნიშნავს, რომ რაღაცას ველოდებით და ამიტომ არ ვცემთ სათანადო პასუხს, თუმცა ნუ ეგონებათ, რომ ისინი გვმართავენ და ამიტომ ვართ წყნარად, არა! **ძალიან მალე ვუჩვენებთ ენ-დი-აის და მის მსგავს ორგანიზაციებს, რომელთა მისიაც ჩვენთვის ტვინის გამორეცხვაა, როგორია ქართველი ერი და იმასაც ვასწავლით, როგორ უნდა მოგვეპყრან!** დიახ, მე ვლაპარაკობ ქართველი ერის 92 %-ის სახელით. დიახ, **ნებისმიერი ქართველი გეტყვით, რომ არ სჯერა არც ენ-დი-აის, არც ბოკერიასი და მისი კნეინისა და არც სხვა მამაძაღლების**. მე მჯერა უფლის, ჩემი პატრიარქის და მჯერა, რომ საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება. **ენ-დი-აის კვლევები ქართველი კაცისთვის შეურაცხმყოფელია, რადგან ე. წ. ინსტიტუტებს შორის საპატრიარქო და პატრიარქი არ უნდა იყოს მოხსენიებული. როგორ შეიძლება, იქ, სადაც ალასანიას, უსუფაშვილისა და სხვათა რეიტინგებს იკვლევენ, პატრიარქის რეიტინგსაც ამოწმებდნენ?!** ეს მთელი საქართველოსთვის არის შეურაცხმყოფელი!

**— ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ საზოგადოების დიდი ნაწილი გაალიზიანა...**

— ამ კანონზე უწმინდესმა თქვა, რომ მიუღებელია და ნებისმიერი ქართველისთვისაც უნდა იყოს მიუღებელი. **წულუკიანი, ბესელია და მთელი „ნაცმოძრაობა“ პატრიარქზე ჭკვიანები არიან? დადგება დრო და ამის გამო მათ პასუხი მოეთხოვებათ**. ვის ატყუებენ ან რას აკეთებენ? ეს ღალატია ქვეყნისა. ეს არის დამღუპველი კანონი. **ᲚᲒᲑᲢ-ს ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲦᲝᲠᲘᲡ ᲢᲘᲚᲘᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲯᲓᲝᲛᲐᲡ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲔᲜ. ᲮᲕᲐᲚ-ᲖᲔᲒ ᲙᲘ ᲒᲔᲘ ᲛᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲘᲡ, ᲨᲔᲜᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲝ.**

საქართველოს არ ეღირსა ეროვნული ხელისუფლება. **მთელი პარლამენტი მხარს რომ დაუჭერს პატრიარქისა და ერის საწინააღმდეგო კანონს, რომელ ეროვნულობაზეა ლაპარაკი?** ამ კანონის განხილვით პარლამენტარების ლუსტრაცია მოხდა და ნათლად გამოჩნდა, ვინ როგორ აზროვნებს. **ზოგი ქართველობასა და ვაჟკაცობაზე დებდა თავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ არის. მეცოდებიან, რადგან ცოტა ხანში უფლის რისხვას მოიმკიან ანტიეროვნული, ანტისარწმუნოებრივი ქმედებების გამო.**

**წელს გეიაღლუმს და მსგავს მამაძაღლობას ველარ ჩაატარებენ. ისიც შევიტყვე, რომ გეიფილმის პრემიერაც აღარ გაიმართება... და თუ ამ ყველაფერს ჩვენი თვალის ასახვევად ამბობენ და 17 მაისს მაინც მოაწყობენ გეიმსვლელობას, მაშინ რაც მოხდება, იყოს ნება ღვთისა.**

**ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲓᲝᲒᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის იდეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი:**

— ენ-დი-აის კვლევები საქართველოში ნდობით არ სარგებლობს, თუმცა ეს ყველაფერი მოსახლეობაზე გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს. **გარე ძალებს სურთ, რომ უსუფაშვილს მეტი რეიტინგი ჰქონდეს, ვიდრე ჩვენს პატრიარქს, მაგრამ ამას საქართველოში ვერ მიაღწევენ**. დღეს არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა ქართულ ტრადიციებს, ეროვნულ თვითმყოფადობას, ქართულ ოჯახს ებრძვის და უცხო ქვეყნების ინტერესებს ემსახურება. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 38-ე მუხლებში მითითებულია, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდან თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანისა, ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა. ამიტომ **ᲩᲕᲔᲜ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ. 17 მაისს ჩვენი ორგანიზაცია მდუმარე მსვლელობას მოვაწყობთ და ავალთ სამებაში, იქ ვილოცებთ გეებისა და სხვა ავადმყოფების სულების გადასარჩენად, გონს მოსასვლელად და დავაყენებთ საკითხს, რომ მთავრობამ მიიღოს კანონი უმრავლესობის საკეთილდღეოდ, რათა ჩვენი ოჯახები და შვილები იყვნენ დაცულნი, რომ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები არ იყვნენ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში აღმზრდელებად და არ ასწავლონ ჩვენს მომავალ თაობას**. თუ ამ აქციაში საქართველოს სხვა მოქალაქეებიც ჩაერთვებიან, ასეთ კანონს აუცილებლლად მივაღებინებთ პარლამენტს. **კონსტიტუციაში მითითებულია, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი, ამიტომ პარლამენტი უნდა ვაიძულოთ, რომ ჩვენი, უმრავლესობის, უფლებებიც იყოს დაცული.** მე უნდა შემეძლოს ჩემი ოჯახის დაცვა კანონიერად. დიახ, ჩვენ გონივრულად, ჭკუით უნდა ვიმოქმედოთ კანონის ფარგლებში, რადგან გლობალიზაციის პროცესს შიშველი ხელებით ვერ შევაჩერებთ. **თუ ოჯახს შევინარჩუნებთ, ვერავინ მოგვერევა და ამით მსოფლიოს დავანახებთ, რომ საქართველო გამორჩეული ქვეყანაა.** ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით მავანს ირაკლი ღარიბაშვილის დისკრიმინაცია სურს, მისი რეიტინგი რომ დაეცეს და მთავრობიდან მოიშორონ. ვხედავთ, რომ პოლიტიკურმა ელიტამ საქართველო ჩიხში შეიყვანა. ▶

„1937 წლების მოვლენებზე რა ფილმი და ნაწარმოებიც არის გადაღებული და დაწერილი, მცდარი ან გაზვიადებულია, რადგან არც კა-გე-ბე იყო ისეთი მონსტრი, როგორადაც წარმოაჩენენ და არც ადამიანები იყვნენ ისე გადაგვარებულნი, რომ სხვისი ქონების ხელში ჩასაგდებად ანონიმური წერილები ეწერათ. რა თქმა უნდა, ასეც ხდებოდა, მაგრამ არა იმ დოზით, როგორითაც ისტორიას შემორჩა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აგებენ ღვთისა და ერის წინაშე.

ახლა ესენი კი ამბობენ, აღნიშნული კანონი ეკლესიას არ ეხება და მღვდელს არ ეკრძალება, ქადაგებაში ცოდვად მოიხსენიოს სექსუალური გადახრებიო, მაგრამ ხვალ-ზეგ რა სახეს მიიღებს ეს კანონი ან კიდევ რას მოითხოვენ ე. წ. უმცირესობები, ვიცით?! ვფიქრობ, ეს ასე მარტივად არ ჩაივლის. აქ იქნება სერიოზული დაპირისპირება ქართულ მენტალიტეტთან და ამას შეეწირება ხელისუფლების რეიტინგი.

**— საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ კოალიციაში დღითიდღე მეტ ყოფილ „ნაციონალს“ ვხედავთ. წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე კალაძემ კი თქვა, „ოცნების“ სიაში მათი ჭაჭანება არ იქნებაო, მაგრამ დაპირება ფუჭი აღმოჩნდა...**

— ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და ბუნებრივია, ხალხს აღიზიანებს. მერწმუნეთ, ყველაფერს მოითმენდნენ ადამიანები — უმუშევრობასაც, უგზოობასაც, სიღარიბეს და ა. შ., დამნაშავეების პარპაშს კი ვერა. ამიტომაა ამდენი აგრესია და ბოღმა. ამიტომაა, რომ გაუბედურებული მოქალაქეები უკვე შურისძიებაზე გადავიდნენ... მე პირადად რამდენიმე კაცმა დამირეკა სენაკიდან, აბაშიდან; გაგიჟებულნი იყვნენ, — სააკაშვილს ვებრძოდით, გვეგონა, რეჟიმი დავასრულეთ და გამგებლად ისევ „ნაციონალი“ დაგვინიშნესო. ყველაფერს საზღვარი აქვს, ხალხმა შეიძლება ვერ მოითმინოს და ერთ დღესაც მართლა დიდი მღელვარება მივიღოთ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

---

◀ **შესაძლოა, პროვოკაციის მიზნით ლგბტ-ს წარმომადგენლები 17 მაისს მაინც გამოიყვანონ ქუჩაში, ამიტომ საქართველოს მოქალაქეებს მოვუწოდებ, არ აჰყვნენ პროვოკაციას და ხელი არ აღმართონ მათ წინააღმდეგ. სწორედ ეს არის ბოკერია-ჩერგოლეიშვილის მიზანი — ქვეყანაში იყოს დაძაბულობა, აყალმაყალი და ამით მეტი თანხა მიიღონ გრანტის სახით.**

**გოდერძი ოთარაშვილი:**

— პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის დღედ გამოაცხადა, ეს ძალიან ბრძნული გადაწყვეტილებაა. **17 მაისი გახრწნილ ევროპაში აღინიშნება, როგორც ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე, საქართველოში კი ამ დღეს ოჯახის სიწმინდეს, ღირსებას და ზნეობას დავიცავთ. ოჯახის დღის დაწესებით პატრიარქი შეეცადა დაპირისპირების თავიდან აცილებას და ამის შემდეგ ბინძური ადამიანები თუ ისევ გამოვლენ ქუჩაში, ნიშნავს, რომ ჩვენს სიწმინდეს ებრძვიან, რასაც არ დავუშვებთ!** ოჯახის დღის დაწესებით ჩვენმა ბრძენმა უწმინდესმა არა მხოლოდ ამჟამინდელ პარლამენტს, არამედ ევროპას, ამერკასა და ანტიქართულად განწყობილ ძალებსა და ქვეყნებს აჯობა. ამით მართლაც სერიოზული სვლა გააკეთა.

მოამზადა
**ნინო მაისურაძე**

---

რეზო ჩხეიძე:

# აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი ის საზიზღარი აგრესორია!

**გამოჩენილ ქართველ რეჟისორ რეზო ჩხეიძეზე ცოტა ხნის წინათ ფილმი გადაიღეს. „ჩვენ ჩვენი ფესვებიდან მოვდივართ“ — ასე ჰქვია მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს, რომელშიც დიდი რეჟისორის ცხოვრება და მოღვაწეობაა ასახული. რამდენიმე დღის წინათ კი ბატონი რეზოს ხელის ანაბეჭდის ცერემონიაც გაიმართა. რაც მთავარია, ხელისუფლებამ რეჟისორს ქუთაისში დაუბრუნა სახლი, რომელშიც ბავშვობა გაატარა. მალე ეს სახლი გახდება კინოსკოლა, აგრეთვე, მუზეუმი, რომელშიც გამოიფინება ბატონი რეზოსა და მისი მამის, საზოგადო მოღვაწის — დავით ჩხეიძის, იმავე დია ჩიანელის ნივთები.**



— მამა — დია ჩიანელი, დასავლეთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი, აგრეთვე, პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების პრორექტორი გახლდათ. მამა 1937 წელს დახვრიტეს, 45 წლისა... **რიონის პირას, ოქროს ჩარდახის გვერდით, ე.წ. სამეფო უბანში, თეთრ ხიდთან ვცხოვრობდით. იქ ახლაც დგას უძველესი მაგნოლია, რომელსაც კოლაუ ნადირაძემ მშვენიერი ლექსი მიუძღვნა.** ჩვენს ოჯახში დადიოდა გალაკტიონი, ტიციანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვა უამრავი გამოჩენილი ადამიანი. სხვათა შორის, ლადო ასათიანი მამაჩემის მოსწავლე იყო. როდესაც მამა დახვრიტეს, ლადოს უთქვამს, დია არ არის ქუთაისში და ამ ქალაქში მე როგორ გავჩერდეო და თბილისში გადმოსულა საცხოვრებლად. მამას დაპატიმრების შემდეგ „ხალხის მტრის შვილი“ გავხდი, მაგრამ სკოლის დირექტორმა თამარ დახუნდარიძემ თავის კაბინეტში შემიყვანა, გულში ჩამიკრა და მითხრა, არ ინერვიულო, მამაშენი პატიოსანი კაცია, ძველებურად განაგრძე სწავლა და შენს გვერდით ვიდგებიო. იმხანად ასეთი საქციელი სასწორზე სიცოცხლის დადებას ნიშნავდა. მამას დახვრეტის შემდეგ სახლიდან გამოგვასახლეს და ჩვენთვის უცნობმა ადამიანმა, ვანო მაჭავარიანმა, რომელმაც სახლის წინ, ფუთებზე ჩამომსხდარი დაგვინახა, წაგვიყვანა და 6 თვის განმავლობაში თავის სახლში გვაცხოვრა. **ერთმა ჩეკისტმა კი გამოსახლებისას ნუსხაში არ შეიტანა ჩვენი როიალი,** რომელიც გავყიდეთ და რამდენიმე თვის განმავლობაში ამ თანხით გავიტანეთ თავი. **1938 წელს, თბილისში რომ გადმოვედით საცხოვრებლად, გოგლა ლეონიძემ დედა — „ხალხის მტრის“ ცოლი, ლიტერატურის ინსტიტუტში მიიღო სამუშაოდ. განა ეს საოცრება არ არის?**

1973 წელს ფილმ „ნერგებს“ რომ ვიღებდი, თან მახლდა მეგობარი შოთა ლაფერაძე, რომლის მამაც 37 წელს დახვრიტეს. მოვიძიეთ ის ადგილი, სადაც ჩვენი მამები დახვრიტეს და მე, შოთა ლაფერაძემ და ირაკლი ჭუმბურიძემ დავდგით მემორიალური ძეგლი. 1995 წელს ეს ადგილი უწმინდესმა აკურთხა და ყველა, ვინც იმ ადგილას დახვრიტეს, წმინდანად შერაცხა. სხვათა შორის, **1937 წლების მოვლენებზე რა ფილმი და ნაწარმოებიც არის გადაღებული და დაწერილი, მცდარი ან გაზვიადებულია, რადგან არც კა-გე-ბე იყო ისეთი მონსტრი, როგორადაც წარმოაჩენენ, და არც ადამიანები იყვნენ ისე გადაგვარებულნი, რომ სხვისი ქონების ხელში ჩასაგდებად ანონიმური წერილები ეწერათ. რა თქმა უნდა, ასეც ხდებოდა, მაგრამ არა იმ დოზით, როგორითაც ისტორიას შემორჩა.**

რამდენიმე წლის წინათ შევიტყვე, რომ ქუთაისში, ხახანაშვილის 14-ში მდებარე ჩემი სახლი იყიდებოდა, მაგრამ მის ყიდვას თავი ვერ მოვაბი. **შარშან კი ამ სახლის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა შეიტყო, შეისყიდა და მე გადმომცა. იქ გაკეთდება შემოქმედებითი სახლი „ჯარისკაცის მამა“.** ამ სახლში იმუშავებს კინოსკოლა და ჩემი და მამას მუზეუმი. უზარმაზარი ფილმოთეკა მაქვს, რომელსაც ამ კინოსახლში მივიტან. ეს მართლაც დიდი საჩუქარია ქუთაისისთვის.

**— ბატონო რეზო, საქართველოში შექმნილ ვითარებას როგორ შეაფასებთ?**

— სააკაშვილი ქვეყნიდან გააგდეს, თუმცა „ნაციონალები“ დარჩნენ. **ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატიულად მიუდგეს მათ, მაგრამ მაწუხებს ეს ამბავი, რადგან „ნაციონალებთან“ თეთრი ხელთათმანებით ბრძოლა არ შეიძლება.** ხომ ხედავთ, რა ხდება? **გამწარებული ადამიანები თავის გამამწარებელსა და ამომგდებს თვითონ უსწორდებიან ქუჩაში.** გადამწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო. „ნაციონალებმა“ თავი მას შემდეგ წამოყვეს, რაც ივანიშვილი ჩრდილში გადგა. სიმართლე გითხრათ, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ჩემთვის თავიდანვე გაუგებარი ნაბიჯი იყო. როდესაც ეს გადაწყვეტილება გაახმაურა, ვკითხე, სად და რატომ მიდიხარ-მეთქი, რაზეც მიპასუხა, პირიქით — ახლა მოვდივარო... ცხადად ჩანს, რომ **დღევანდელი ხელისუფლება, ამერიკელების გავლენით, ლიბერალიზმის გზას დაადგა.** ამერიკა მსოფლიოშია გაბატონებული და ცდილობს, ქვეყნები შიშით ან ფულით ჩაიგდოს ხელში. ადრე, ჯონ კენედის პრეზიდენტობის ჩათვლით, აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი საზიზღარი, აგრესორია. ადრეც და ახლაც მრავალჯერ ვარ ამ ქვეყანაში ნამყოფი და, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან ძველი და ახლანდელი. **ცხონებულმა სოფიკო ჭიაურელმა თქვა, ქართველებმა ცურვა არ ვიცით და ოკეანის გადაღმა რა გვესაქმებაო, — ზუსტად ასეა ჩვენი საქმე. მართალია, საქართველო ილიასა და აკაკის ეპოქაში რუსეთის კოლონია იყო, მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც ზოგი წერს.** რუსეთმა ძალიან მნიშვნელოვანი რამ გააკეთა საქართველოსთვის. დავიწყოთ კულტურით. **რომ არა რუსეთი, ილია ჭავჭავაძე და „სამოციანელები“ არ იქნებოდნენ, რადგან ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპული კულტურა საქართველოში აღარ შემოდიოდა. ერთადერთი გზა, რომელიც დაგვრჩა, პეტერბურგი იყო და ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმაც ამ ქალაქის უნივერსიტეტში მიიღეს განათლება.** გაიხსენეთ ჩვენი კლასიკოსები, მეცნიერები, იმჟამინდელი განათლების დონე. **ქართული კინო მსოფლიოში წამყვან პოზიციაზე რომ იდგა, სწორედ რუსეთის დამსახურებაა. ყველა გამოჩენილმა რეჟისორმა ვგიკი (კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი) დაამთავრა...** როდესაც მე და თენგიზ აბულაძე მოსკოვში ჩავედით, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტები ვიყავით და, ვგიკში განცხადება რომ შევიტანეთ, პირველი კურსიდან სწავლის დაწყება მოვითხოვეთ, ამის გამო ვგიკის რექტორმა დაგვიბარა და გვითხრა, ბიჭებო, რა გჭირთ, მესამე კურსის სტუდენტები ხართ, შემიძლია, გამოცდების ჩაბარების შემდეგ აქაც პირდაპირ მესამე კურსზე დაგსვათო. შემავსებინეს სპეციალური ანკეტა, რომელშიც ჩავწერე, რომ თავადიშვილი ვიყავი, რომ მამა მუშაობდა ბიბლიოთეკაში და 37 წელს დახვრიტეს, როგორც ტროცკისტი. **ამ კაცმა აიღო ეს ფურცელი და გადახია. მითხრა, რას შვრებიო? შემდეგ ახალი ფურცელი მომცა და თავისებურად დამაწერინა. დიახ, ეს რუსმა, აბსოლუტურად უცხო ადამიანმა გააკეთა. ამერიკელი ასე მოიქცეოდა?**

**მიმაჩნია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გეზი რუსეთისკენ უნდა აიღოს. ჯერ ერთი, მეზობელი სახელმწიფოა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მეორეც — მართლმადიდებელი ქვეყანაა** და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვიცნობთ რუსეთს. **რომ არა ჩვენი შიში ამერიკისა, უკეთ განვითარდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.** თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთი ახლაც კი აკეთებს ბევრ კარგს ჩვენს დასახმარებლად. ბოლო ფილმი, რომელიც ჩემზე გადაიღეს, რუსეთმა დააფინანსა და არა ამერიკამ. ასეა, დილით რომ ადგები და ფანჯრიდან გაიხედავ, ჯერ მეზობელს დაინახავ და შემდეგ — მზეს.

«ბოდიში და, ვინ ჩემი ფეხებია უსუფაშვილი ან ალასანია?! დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც ენ-დი-აია, ოდესმე სიმართლეს გამოაქვეყნებენ, ძალიან ცდება. ავტორიტეტში კი პატრიარქს ნურავინ გაეჯიბრება, ის ათასი თავით მაღლა დგას ყველაზე!»

**— ენ დი აის კვლევებს როგორ შეაფასებთ. ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პატრიარქის შემდეგ (96 %), ყველაზე მეტად თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მოსწონთ (67%), მას პრემიერი ღარიბაშვილი (64%) და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოჰყვებიან.**

— გამორიცხულია, პატრიარქს და ვიღაცას ლამის თანაბარი რეიტინგი ჰქონდეთ. **ბოდიში და, ვინ ჩემი ფეხებია უსუფაშვილი ან ალასანია?! დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან.** ვინმეს თუ ჰგონია, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც ენ-დი-აია ოდესმე სიმართლეს გამოაქვეყნებენ, ძალიან ცდება. ავტორიტეტში კი პატრიარქს ნურავინ გაეჯიბრება, ის ათასი თავით მაღლა დგას ყველაზე.

**— საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

— **ვიცი, რომ პოლიტიკურად თავისუფლად ცხოვრებას არაფერი სჯობს, მაგრამ არსებულ ვითარებაში, როდესაც ორი დიდი სახელმწიფოს დაპირისპირების ფონზე გვიწევს არსებობა, გვაქვს მთელი რიგი მოუგვარებელი საკითხებისა, მაგალითად, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება და ა. შ.** ამიტომ მგონია, რომ ამ პერიოდისთვის **საჭიროა, უფრო მეტად დავდგეთ რუსეთის მხარეს და თავი დავანებოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ სახელმწიფოების მოფერებას, რომლებიც ამერიკას ყურით უჭირავს. მე მაინც მართლმადიდებელ კერას ვარჩევდი, რუსეთის სახით, იმ კერას, სადაც უმაღლესი განათლება ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ბარნოვმა და უამრავმა გამოჩენილმა ქართველმა მიიღო.** კინემატოგრაფისტები, რომლებმაც ქართული კინოფენომენი შევქმენით, ყველანი ვგიკელები ვიყავით.

**— ბატონო რეზო, დღეს მათ, ვინც ასე ფიქრობს და აზროვნებს, მოღალატეებსა და რუსეთუმეებს უწოდებენ....**

— მათ არ ვაქცევ ყურადღებას, თუმცა ჩემთვის პირში არავის უთქვამს მსგავსი რამ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყველა მომხსენებელი კარგად გამოვიდა, მაგრამ განსაკუთრებით ალექსანდრე ჭაჭიას გამოსვლა მომეწონა. ვეთანხმები მის თავალსაზრისს, რომ ძმური, კარგი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ერთმანეთთან, განსაკუთრებით რუსეთთან. ჩვენ, ყველანი, რუსიც და ქართველიც, ერთად ვიბრძოდით ფაშიზმის წინააღმდეგ, ამიტომ ჩვენ შორის შუღლი და მტრობა არ შეიძლება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა და მას მსოფლიოში ყველა ერიდება“.

# რა მოხდა კურსკში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის სიტყვით გამოსვლისას



**აპრილის ბოლოს რუსეთის ქალაქ კურსკში ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი, რიგით მეოთხე ისტორიულ-კულტურული ფორუმი გაიმართა. ღონისძიებას, ომში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ვეტერანებთან ერთად, ქართველებიც ესწრებოდნენ. ქართულ დელეგაციას ალექსანდრე ჭაჭია ხელმძღვანელობდა, რომლის სიტყვით გამოსვლამაც ფორუმის მონაწილეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. მას სიტყვა რამდენიმეჯერ ტაშით შეაწყვეტინეს.**

როგორც ცნობილია, საქართველომ მეორე მსოფლიო ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო — 300 ათასამდე კაცი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას... ფაშიზმზე გამარჯვების ავტორი ქართველი იოსებ სტალინი გახლდათ და, ალბათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დღესაც, უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლებიდან 70 წლის შემდეგ, რუსეთში, ალექსანდრე პუშკინის სახელობის კურსკის დრამატული თეატრის დარბაზში, სამამულო ომში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ყველაზე მეტი მოწონება და ტაში კვლავ ქართველმა მომხსენებელმა დაიმსახურა.

ისტორიულ-კულტურული ფორუმის — „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი“ — მონაწილეებმა პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს და 70 წლის წინათ მოპოვებული მნიშვნელოვანი ისტორიული გამარჯვება კიდევ ერთხელ გაიხსენეს. გამომსვლელებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ დღეს ზოგიერთი არაფრად აგდებს იმ ადამიანების თავგანწირვას, რომლებმაც უანგაროდ გასწირეს სიცოცხლე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**კურსკში გამართულ ფორუმში მონაწილეობდა სამამულო ომის ვეტერანი შოთა ბუაძე,** რომელიც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ საქართველოში ვეტერანების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას გრძნობს. „კურსკში ძალიან კარგი ღონისძიება გაიმართა, საქართველოში კმაყოფილი დავბრუნდი და მისასალმებელია, რომ ამ ფორუმის ჩატარება რუსეთში უკვე ტრადიციად იქცა. ყველა ძალიან თბილად შეგვხვდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს ღონისძიება, რადგან კიდევ ერთხელ გავიხსენე და განვიცადე ის საშინელი ბრძოლის დღეები და გამარჯვების სიხარული, რაც მაშინ გადავიტანეთ. ამ დღეების გახსენება რთულიცაა და, ამასთანავე, სასიამოვნოც, რადგან ჩვენც გადავრჩით და მსოფლიოც გადავარჩინეთ.

აღვნიშნავ, რომ სამამულო ომის თემა ამოუწურავია და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი. მართალია, ქართული მხარეც ჩართულია ამ ყველაფერში, მაგრამ კარგი იქნებოდა, საქართველო უფრო აქტიურად მონაწილეობდეს.

**ამ ფორუმზე განსაკუთრებით მომეწონა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის — ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვა. ბრწყინვალე მოხსენებით გამოვიდა, მის გამოსვლაში ჩანდა არა მხოლოდ ამ საკითხებში განსწავლულობა, არამედ, საერთოდ, მისი ინტელექტი, ცოდნის გადმოცემის კულტურა. ყველაფერი ისე დასაბუთებულად და არგუმენტირებულად წარმოადგინა თავის მოხსენებაში, რომ რამდენიმეჯერ ტაშითაც შეაწყვეტინეს საუბარი. მეტიც, ვიტყოდი, რომ აღნიშნული საკითხების ანალიზი სახელმწიფოებრივ დონეზე იყო მოცემული.**

ამას გარდა, მინდა, ერთი შენიშვნაც ვთქვა: **ყველა ლაპარაკობს დიდი სამამულო ომის მნიშვნელობაზე; ამბობენ, რომ იმხანად საბჭოთა კავშირმა მსოფლიო ცივილიზაცია იხსნა ფაშიზმისგან, ტირანიისგან, მაგრამ ადამიანზე, რომელიც ამ დიდ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა, გამარჯვების მთავარ სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორ იოსებ სტალინზე, დღეს ძალიან ცოტას საუბრობენ.**

მისი ღვაწლი მხოლოდ ალექსანდრე ჭაჭიამ აღნიშნა მოკრძალებულად.

პიროვნების როლი ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ეპოქალური მნიშვნელობის ადამიანის — სტალინის როლი, არ შეიძლება ასე მიჩქმალული და გადახაზული იყოს. სტალინი რომ არ ყოფილიყო, არც გამარჯვება იქნებოდა და დღეს არც ჩვენ ვიქნებოდით“.

**«ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს ღონისძიება, რადგან კიდევ ერთხელ გავიხსენე და განვიცადე იმ საშინელი ბრძოლის დღეები და გამარჯვების სიხარული, მაშინ რომ გადავიტანეთ. ამ დღეების გახსენება რთულიცაა და, ამასთანავე, სასიამოვნოც, რადგან ჩვენც გადავრჩით და მსოფლიოც გადავარჩინეთ»**

**ტარას იჩქიტიძე,** ომის ვეტერანი:

— რუსეთში ომის ვეტერანებს ძალიან აფასებენ და გულდასაწყვეტია, რომ საქართველოში ასე არ არის. მე ძალიან კმაყოფილი ვარ. ღონისძიება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული.

**ყველა მომხსენებელი კარგად გამოვიდა, მაგრამ განსაკუთრებით ალექსანდრე ჭაჭიას გამოსვლა მომეწონა. ვეთანხმები მის თავალსაზრისს, რომ ძმური, კარგი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ერთმანეთთან, განსაკუთრებით რუსეთთან. ჩვენ, ყველანი, რუსიც და ქართველიც, ერთად ვიბრძოდით ფაშიზმის წინააღმდეგ, ამიტომ ჩვენ შორის შუღლი და მტრობა არ შეიძლება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა და მას მსოფლიოში ყველა ერიდება. მას მტრული ენით ვერაფერს დავაკლებთ, სჯობს, დიპლომატიურად გავაგებინოთ ჩვენი სათქმელი და ყველაფერი მოგვარდება. სხვა გზა არ არის... რუსეთზე ძლიერი უნდა იყო, რომ ბრძანების ტონით ელაპარაკო. რაც უფრო ცუდი რიტორიკა გვექნება, მით უფრო გადმოსწევს მავთულხლართებს, მაგრამ ეს არ ესმის ჩვენს მთავრობას. ალექსანდრე ჭაჭიამ შესანიშნავი ანალიზი გააკეთა, მაგრამ საკითხავია, ვინ როგორ გაიგებს ამ ანალიზს.**

**სერგო მირზოიანი,** ომის ვეტერანი:

— ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც კურსკში გაიმართა, ძალიან მომეწონა. **მომეწონა თავად რუსი ხალხის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ, კარგად მიგვიღეს და გვიმასპინძლეს. საქართველოზე ერთი ცუდი სიტყვის თქმაც არ უკადრებიათ, პირიქით — ყველა თბილად ხვდებოდა ქართულ დელეგაციას.**

ასევე **ძალიან მომეწონა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის — ალექსანდრე ჭაჭიას მოხსენება. ძალიან ჭკვიანი კაცია და ზღაპრული გამოსვლა ჰქონდა. ფაქტია, რომ ამდენი ტაში და ყვავილები არც ერთ გამომსვლელს არ რგებია.** ჭაჭია, ისაუბრა რა სამამულო ომის მნიშვნელობაზე, შეეხო საქართველოს, რუსეთის, გერმანიისა და ამერიკის თემატიკასაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან, ფაქტობრივად, მსოფლიო მნიშვნელობის ანალიზი წარმოადგინა.

**ფორუმზე სიტყვით გამოვიდა ქართული დელეგაციის წევრი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელი გიორგი მდივანი:**

— კურსკში გამართული კონფერენცია ძალიან საინტერესო და საჭიროც კი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ *ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დასავლეთი და აშშ აქტიურად იბრძვიან მეორე მსოფლიო ომი ხსოვნის წინააღმდეგ და ყველანაირი ხერხით ცდილობენ ფაშიზმისა და საბჭოთა იდეოლოგიების გათანაბრებას.* **განსაკუთრებით გამოვყოფ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას გამოსვლას. მან მეორე მსოფლიო ომის საკითხების შესანიშნავი ანალიზი გააკეთა. აღნიშნა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად გაცილებით განვითარებულ ევროპაში, ალბათ, არავინ ელოდა მოვლენების ისე განვითარებას, როგორის მომსწრეც გავხდით. ფაშიზმი ხომ ტიპური ევროპული ფასეულობაა! დღეს დემოკრატიაზე გვესაუბრებიან დასავლეთიდან, მაგრამ ხანდახან ავიწყდებათ, რომ მათ შავი ლაქა უკვე დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში.**

**«დღეს დემოკრატიაზე გვესაუბრებიან დასავლეთიდან, მაგრამ ხანდახან ავიწყდებათ, რომ მათ შავი ლაქა უკვე დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში»**

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

მოკლედ

## ნინო შუბლაძემ «რუსთავი 2» დატოვა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნინო შუბლაძემ ტელეკომპანია დატოვა.

**„მივიღე გადაწყვეტილება, დროებით შევაჩერო ჩემი საქმიანობა მედიასივრცეში. ამ გადაწყვეტილებას არანაირი პოლიტიკური სარჩული არ აქვს და ძალიან ვთხოვ ყველას, არ აქციონ ეს პოლიტიკური სპეკულაციების თემად. ჩემი გადაწყვეტილების ერთადერთი მოტივაცია პირადი და ოჯახური მდგომარეობითაა ნაკარნახევი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს თანამშრომელს, გენერალურ დირექტორს და „რუსთავი 2“-ის გუნდს ამდენი წლის განმავლობაში წარმატებული მუშაობისთვის. ვრჩები ამ არხის ყველაზე დიდ გულშემატკივრად და მჯერა, რომ პროფესიონალების დიდი გუნდი, რომელიც ამ ტელევიზიაში მუშაობს, შეინარჩუნებს პირველობას ქართულ მედიასივრცეში. დიდი მადლობა ჩემს ერთგულ მაყურებელს, რომელიც მთავარი სტიმული იყო ჩემს პროფესიულ საქმიანობაში“,** — დაწერა ნინო შუბლაძემ „ფეისბუქში“.



არავითარი ცალმხრივი დათმობა არ დაიცავს ამ ქვეყნებს ვაშინგტონის დამანგრეველი გავლენისგან. ამგვარმა დათმობებმა ვერ უშველა იანუკოვიჩს. უახლოესი მოკავშირეების ღალატი ამერიკელებისთვის არც ადრე იყო უცხო. ასე იყო ნგო დიმ დიემის, მანუელ ნორტეგას, ფერდინანდ მარკოსის, აუგუსტო პინოჩეტის შემთხვევაში და, საეჭვოა, რომ რამე შეიცვალოს უახლოეს მომავალში.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ, როგორც საფრთხე ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთვის, ანუ სად მოეწყობა შემდეგი მაიდანი



**საქართველოში ყველა წინაპირობა არსებობს დასავლეთის მიერ ევრომაიდნის მსგავსი გადატრიალების მოსაწყობად. უკრაინა სულ უფრო ღრმად ეფლობა სამოქალაქო ომში. ბევრი პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი, ეკონომისტი შექმნილ ვითარებას აფასებს, როგორც უკრაინის სახელმწიფოებრიობის კრიზისს. ისინი მართლები არიან, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. სინამდვილეში უკრაინაში განვითარებული პროცესები პირდაპირი გამოწვევაა ყაზახეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის, სომხეთისთვის, მოლდოვისთვის, უზბეკეთისთვის, ტაჯიკეთისთვის, ყირგიზეთისთვის, თურქმენეთისთვის. ამ ქვეყნებში არის წინაპირობები იმისა, რომ დასავლეთმა მოაწყოს ევრომაიდნის მსგავსი გადატრიალება. ვაშინგტონი მხოლოდ უკრაინით რომ არ შემოიფარგლება, ნათელია.**



## ეროვნული საკითხი

რუსეთის იმპერიაშიც და საბჭოთა კავშირშიც ბევრი რამ გაკეთდა ეროვნული კულტურების განსავითარებლად. მაგალითად, სლავიანოფილები აქტიურად მხარს უჭერდნენ უკრაინის იდეის შემოქმედთ — ტარას შევჩენკოსა და პანტელეიმონ კულიშს. **საბჭოთა პერიოდში გამოიცა ტარას შევჩენკოსა და ივან ფრანკოს თხზულებათა სრული კრებულები. უდიდეს მხარდაჭერას გრძნობდნენ ახალგაზრდა უკრაინულენოვანი მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, მეცნიერები. მასობრივი ტირაჟებით გამოიცემოდა ოლეს გონჩარის, პაველ ზაგრებელნისა და სხვათა ნაშრომები. მსგავსი სიტუაცია იყო ერთიანი ქვეყნის ყველა ეროვნულ რესპუბლიკაში.**

დამოუკიდებელ უკრაინაშიც ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ეროვნული იდენტურობის შესახებ, მაგრამ ვერ მოიძებნა სახსრები და არც სურვილი გამოჩნდა თუნდაც უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პერიოდში დაგეგმილი ტარას შევჩენკოს დამატებითი ტომის გამოსაცემად. **პოლიტიკოსები და ოლიგარქები ამჯობინებდნენ, ეძარცვათ თავიანთი ქვეყანა და კაპიკს არ ხარჯავდნენ ახალი ტალანტების მხარდასაჭერად კულტურისა და მეცნიერების სფეროში.**

საბჭოთა პერიოდში უკრაინის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკვეთრი დაპირისპირება არ არსებობდა. ლვოვში მცხოვრებთა ერთი მესამედი ეთნიკური რუსები იყვნენ — ძირითადად, ინჟინრები, მასწავლებლები, მეცნიერები. დონბასსა და ყირიმში მცხოვრებ ადამიანებს კარპატებში დასვენება უყვარდათ. გალიჩელები სიამოვნებით ჩადიოდნენ ოდესასა და ყირიმში შავი ზღვის პლაჟებზე გასარუჯად, კულტურისა და ისტორიის ადგილობრივი ძეგლების გასაცნობად.

**განხეთქილება დაიწყო მაშინ, როცა პერესტროიკის დროს კანადასა და აშშ-ში მცხოვრები უკრაინის დიასპორის წარმომადგენლებმა დაიწყეს ქვეყანაში ნაციონალისტური ლიტერატურის შემოტანა, რადიკალური დაჯგუფებების შექმნა, რუსეთისადმი ზიზღის გაღვივება. შედეგად, 1990 წელს აქტიურად დაიწყეს დასავლეთ უკრაინიდან რუსულენოვანი მოქალაქეების გამოდევნა. და დღეს ლვოვში ეთნიკური რუსების მხოლოდ 4 პროცენტი დარჩა.**

უკრაინის ყველა ახალი პრეზიდენტი (კრავჩუკიც, კუჩმაც, იუშჩენკოცა და იანუკოვიჩიც) ამა თუ იმ მოსაზრებით მხარს უჭერდა ნაციონალისტურ, რუსოფობიურ განწყობილებებს. შედეგად, სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ ისე შეარყია ერთ დროს აყვავებული ქვეყნის საფუძვლები, რომ უკრაინა ფაშიზმამდე და სამოქალაქო ომამდე მიიყვანა.

დონბასის, ოდესის, ხარკოვის მცხოვრებთა დღევანდელი თაობა არასოდეს აპატიებს გალიჩელებს იმ სისხლს, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში დაიღვარა. ვერ დაიჯერებს, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი თანაცხოვრება ლვოვთან და ივანო-ფრანკოვსკთან. გალიჩელთა დღევანდელი თაობაც ვერასოდეს გათავისუფლდება დამოუკიდებლობის წლებში მისთვის ჩანერგილი ნაციონალისტური იდეებისგან, დონეცკელ მეშახტეებსა და მეტალურგებს არ მოეპყრობიან, როგორც ადამიანებს.

**მაგრამ ყველაზე საშიშია, რომ ეს ყოველივე შეიძლება განვითარდეს სხვა ქვეყნებში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში — აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, მოლდოვაში, ბელარუსში, ყაზახეთსა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებში.**

რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში ძალიან ფრთხილად ეკიდებოდნენ ნაციონალურ საკითხს. სწორედ ამიტომ სომხები მშვიდად და მეგობრულად ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელებთან, დნესტრისპირელები — მოლდოველებთან, ყირგიზები და ტაჯიკები — უზბეკებთან, რუსები — ყაზახებთან და უკრაინელებთან.

მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრმა პოლიტიკოსმა უღალატა ასეთ მიდგომას და ნაციონალისტური იდეების გაღვივების ხელშეწყობა დაიწყო.

საქართველოში საააკაშვილის დროს გამეფდა ეთნიკური ნაციონალიზმი, ბელარუსში — ეკონომიკური.

**იანუკოვიჩი და აზაროვი სამი წლის განმავლობაში აქტიურ ანტირუსულ კამპანიას ეწეოდნენ გაზმომარაგების საკითხში, რამაც ხელი შეუწყო ულტრანაციონალისტური იდეების ზრდასა და გავრცელებას.**

**რუსეთის ლიდერები თავს უფლებას არ აძლევდნენ ამგვარი გამოხდომები ეკადრებინათ მოძმე ქვეყნებისთვის.**

მტრობა და დაპირისპირება მომგებიანია ვაშინგტონისთვის, რომელიც მოქმედებს პრინციპით „გათიშე და იბატონე“. აშშ-მა ასეთი ტაქტიკა გამოიყენა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა შეიარაღებასა და საკვებ პროდუქტებს მიჰყიდდა ორივე მხარეს, რითაც აღრმავებდა კონფლიქტს.

შედეგად, თუ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აშშ-ის ევროპის ქვეყნების ვალი ჰქონდა (XX საუკუნის დასაწყისში ეს ვალი დაახლოებით სამი მილიარდი დოლარი იყო), 1919 წელს აშშ ევროპის ძირითადი კრედიტორი გახდა: ევროპის ქვეყნებისთვის მიცემული სესხის რაოდენობამ 11 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამასთან, ამერიკული მონოპოლიების საერთო სუფთა მოგებამ 1914-1919 წლებში 34 მილიარდი დოლარი შეადგინა.

**სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის დროს განმეორდა. იარაღი, ტყვია-წამალი, საკვები პროდუქტები და ნედლეული ლენდ-ლიზის პროგრამით, რომლის საერთო ღირებულება 50 მილიარიდი დოლარი იყო, გაიგზავნა დიდ ბრიტანეთში, სსრკ-ში, საფრანგეთსა და ჩინეთში. ამას გარდა, ლენდ-ლიზის პროგრამა ითვალისწინებდა, რომ მის ფარგლებში გადაცემული საქონელი, რომელიც ომის შემდგომ დარჩებოდა, ანაზღაურებული იყო სრულად ან ნაწილობრივ აშშ-ის მიერ წარდგენილი ხანგრძლივვადიანი, როგორც წესი, უპროცენტო კრედიტებით, ე. ი. დაუყოვნებლივი და მკვეთრი გამდიდრება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის კორპორაციებმა ვერ მოახერხეს.**

თუმცა ქვეყანამ მიიღო კერძო კაპიტალის ევროპიდან გამდინარე ნაკადი, პლიუს რამდენიმე ევროპული ქვეყნის ოქროს მარაგები, რომლებიც ფორტ-ნოკსის საცავებში აღმოჩნდა.

**ომის დამთავრებისთანავე აშშ-მა ევროპას შესთავაზა სესხები მკაცრი პირობით — მათი დახარჯვა შეიძლებოდა მხოლოდ ამერიკული საქონლის საყიდლად. შედეგად, სანამ ევროპა მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, ამერიკა მსოფლიოს ეკონომიკური, ფინანსური და ტექნოლოგიური ლიდერი გახდა.**

ამასთან, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ვაშინგტონი ევრაზიულ სივრცეში ნაციონალიზმის პოლიტიკის გავრცელებას უწყობდა ხელს. ამერიკელი პრეზიდენტის — ვუდრო ვილსონის მიერ მომზადებული მშვიდობიანი ხელშეკრულების პროექტით (ე. წ. ვილსონის 14 პუნქტი), რომელიც საფუძვლად დაედო ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას, პირველად დაუფარავად გაცხადდა სახელმწიფოთა (მაგალითად, ოსმანთა იმპერიის) დანგრევის მიზანი მათი წვრილ ნაციონალურ სახელმწიფოებად დაყოფის გზით. **აშშ-მა განაგრძო სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის წახალისება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, იუგოსლავიაში, უკრაინაში, ერთმანეთთან დაპირისპირების, შიგნიდან რღვევის გზით: სახელმწიფოთა რღვევა პოსტსაბჭოთა და მთლიანად ევრაზიულ სივრცეში, რომლითაც ჩამოიწერებოდა მრავალრიცხოვანი ვალი. ამ ტაქტიკას ვაშინგტონი დღესაც აგრძელებს.**

**აშშ-მა განაგრძო სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის წახალისება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, იუგოსლავიაში, უკრაინაში, ერთმანეთთან დაპირისპირების, შიგნიდან რღვევის გზით: სახელმწიფოთა რღვევა პოსტსაბჭოთა და მთლიანად ევრაზიულ სივრცეში, რომლითაც ჩამოიწერებოდა მრავალრიცხოვანი ვალი. ამ ტაქტიკას ვაშინგტონი დღესაც აგრძელებს**

მთავარი დარტყმა რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული, ერთადერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა და წინ აღუდგა ამერიკის ადმინისტრაციის დღევანდელ პოლიტიკას, მაგრამ მცდელობა — შიგნიდან აეფეთქებინათ ქვეყანა თეთრბაბთიანი ოპოზიციის გამოყენებით, წარუმატებელი გამოდგა, ამიტომაა, რომ რუსეთზე ზემოქმედებისთვის დღეს მის პერიმეტრს გამოიყენებენ.

**უკრაინის შემდეგ აშშ-ის სამიზნე, როგორც ვვარაუდობ, არის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი. ამერიკელთა დამანგრეველი გავლენისგან თავის დაცვას ისინი შეძლებენ მხოლოდ მაშინ, თუ სრულად გამორიცხავენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაციონალიზმს, ეროვნულ სათემოებს (რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, აფხაზებს, ტაჯიკებს, უზბეკებს, ყირგიზებს) მისცემენ კულტურულ-ეროვნული განვითარების გარანტიას; იმ ქვეყნებში, რომლებშიც არის მსხვილი რუსულენოვანი სათემოები, არ დაუწყებენ დევნას რუსულ ენას, დასასრულ, რუსეთს მოეპყრობიან, როგორც მოკავშირეს.**

არავითარი ცალმხრივი დათმობა არ დაიცავს ამ ქვეყნებს ვაშინგტონის დამანგრეველი გავლენისგან. ამგვარმა დათმობებმა ვერ უშველა იანუკოვიჩს. უახლოესი მოკავშირეების ღალატი ამერიკელებისთვის არც ადრე იყო უცხო. ასე იყო ნგო დინ დიემის, მანუელ ნორტეგას, ფერდინანდ მარკოსის, აუგუსტო პინოჩეტის შემთხვევაში და საეჭვოა, რომ რამე შეიცვალოს უახლოეს მომავალში.

**იური გორდიენკო,**
**ახალი ამბების სააგენტო**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დაუყოვნებლივ განხილვას საჭიროებს პორტის შექმნის საკითხი. უძლიერესი გარეცხვისგან სანაპიროს გადარჩენა მხოლოდ კანიონის სათავის ჯებირებით შემოზღუდვას შეუძლია. ამასთან დაკავშირებით და ამისგან დამოუკიდებლადაც, სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის გადაჭრითაც დაინტერესებული არის საზღვაო ფლოტი და თევზსაჭერი მრეწველობა, უფრო მარტივად, საიმედოდ და შედარებით იაფად გადაწყდებოდა“.

# ანაკლიაში პორტის აშენება აუცილებელია!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ზუგდიდში ვიზიტისას მოსახლეობას სასიხარულო და რეგიონისთვის მეტად სასარგებლო ინფორმაცია მიაწოდა, — ანაკლიაში ყველაზე ღრმაწყლიანი პორტი აშენდებაო... მაგრამ, როგორც საქართველოს მინისტრთა საბჭოს მშენებლობის განყოფილების ყოფილი გამგე, ჯუნა მხეიძე, ამბობს, ანაკლიის პორტის მშენებლობა არ იგეგმება. „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, მოეძიებინა მასალები ანაკლიის პორტის შესახებ, რადგან ანაკლიის პორტის აშენება, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ქვეყნისთვის სასიცოცხლო ბევრ პრობლემას მოაგვარებს. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ იაპონელ სპეციალისტებს 5 მილიონად დაუკვეთა სანაპირო შელფის კვლევა, არადა, ეს შელფი ქართველი მეცნიერების მიერ დიდწილად შესწავლილია, არსებობს შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნაც. დასტურად გთავაზობთ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, ნაპირთა გეომორფოლოგიის საერთაშორისო კომისიის წევრის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის სანაპირო ზოლის ლაბორატორიის გამგის, პროფესორ ვსევოლოდ პავლეს ძე ზენკოვიჩის სტატიაში — „ზღვის სანაპიროს მოსალოდნელი ცვლილებები კოლხეთის ჩრდილოეთში“ — გამოთქმულ მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებებს, რომლებიც დღესაც მეტად აქტუალურია. ეს ნაშრომი ეხება მდ. ენგურის მაღლივი კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებული ბუნებრივი პირობების მოსალოდნელ მკვეთრ ცვლილებებს, რომლებიც უარყოფითად აისახებოდა ზღვის ნაპირის მდგომარეობაზე. სტატია ჯერ კიდევ 1976 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“ (№ 83, გვ. 637-640) და გვათავაზობს ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზებს.**



## ზღვის სანაპიროს მოსალოდნელი ცვლილებები კოლხეთის ჩრდილოეთში

ეჭვგარეშეა, რომ მდ. ენგურის მშენებარე ჰესთან კავშირით გადაკეტვა შესართავის მიმდებარე ზღვის სანაპიროს მონაკვეთზე ნატანის დეფიციტს შექმნის. მდ. ენგურის წლიური მყარი ჩამონატანი შეადგენდა 2775 ტ-ს, რომელთაგან 60 %-ზე მეტი მოდიოდა 0,2 მმ-ზე მსხვილი პლაჟშემქმნელი ფრაქციების წილზე. ასევე ცნობილია, რომ ნატანის უდიდესი ნაწილი უშუალოდ შესართავის პირდაპირ მდებარე წყალქვეშა კანიონის სათავეში მიდიოდა.

პლაჟისა და წყალქვეშა სანაპირო ფერდის ნატანის შემადგენლობა შესართავის ჩრდილოეთით მოწმობს, რომ ის უმეტესად მდ. კოდორის მიერ გამოტანილი მასალითაა წარმოქმნილი. ოჩამჩირის ჯებირის **(მოლო)** აგებამდე (1939 წ.) ეს მასალა, სანაპირო ნატანის ნაკადის სახით ტალღებისა და უპირატესი მიმართულების დინების გავლენით, შორს, სამხრეთით გადაადგილდებოდა. მდ. ენგურის შესართავის სამხრეთით ნატანის შემადგენლობა მკვეთრად იცვლება. ქრება კოდორის კენჭები, ქვიშა ძალიან წვრილი ხდება და მასში მატულობს ენგურისეული მინერალების (მაგნეტიტი, ქარსი, ეპიდოტი და სხვ.) კონცენტრაცია.

შემდგომ გაყოლებაზე ნაკადი არ არის საგრძნობი, მაგრამ ნატანი შემხვედრი მიმართულებით გადაადგილდება. განვლილი ათწლეულის მანძილზე, მდ. ენგურის შესართავის ჩრდილოეთი ნაპირი წელიწადში დაახლოებით 0,7 მის სიჩქარით იხევდა უკან. ბოლო წლებში გარეცხვა წელიწადში 5 მ-მდე აჩქარდა, რაც, როგორც ჩანს, პლაჟებიდან ქვიშის დიდი რაოდენობის ამოღების შედეგია.

ცნობილია, მდ. ენგურის 20 კმ-ით უფრო ჩრდილოეთით, ახალ კალაპოტში (მდ. ერისწყალი) გადაყვანის შემდეგ მის შესართავთან ნაპირის უკან დახევის სიდიდის გამოთვლის მცდელობა. ტ. ვოინიჩ-სიანოჟენცკის ფენომენოლოგიური მეთოდის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ შესართავის ახლოს სანაპიროს გარეცხვის საერთო სიდიდე 100 მ-ზე მეტს არ შეადგენს და ის მისგან ორივე მხარეს მხოლოდ 8-9 კმ-ზე ვრცელდება. მაგრამ შესრულებულ აგებაში მთლიანად უგულებელყოფილია ჰოლოცენის პერიოდში მოცემული მონაკვეთის გეომორფოლოგიური განვითარების ქვემოთ მოყვანილი ძირითადი ეტაპები, ისევე, როგორც ზღვის სანაპირო ზონის დინამიკის საერთო კანონზომიერებები.

სანაპირო ზოლის წინ წამოწევა შესართავის მონაკვეთზე ჩრდილოეთიდან შემოზღუდავს სანაპიროს სწორ რკალს, რომელიც აქამდე მდ. რიონის დელტიდანაა გადმოჭიმული. მსგავსი მრუდი გამომუშავდა ასევე მდ. რიონის დელტიდან სამხრეთით და ის ქობულეთის მონაკვეთამდე ვრცელდება. ასწლეულების განმავლობაში მითითებული რკალების სტაბილობა ადვილი ასახსნელია. მათი გამომუშავებისას სანაპირო ზოლი ყველა წერტილში ტალღური რეჟიმის **ტოლქმედის** მიმართ ნორმალზე განლაგდა. ამ უკანასკნელთა მიმართულება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ზოგადი **მოხაზულობით** განისაზღვრება.

ენგურის შვერილის ფორმირება შეიძლება აიხსნას ან ზღვაში ჩამდინარე მდინარის ნაკადის “ბუნის ეფექტით” ან ბოლო ასწლეულების განმავლობაში ენგურის წყალქვეშა კანიონის სათავის შეჭრით სანაპიროს წყალმარჩხ უბანში. ამ შემთხვევაში კანიონს უნდა **შთაენთქა** არა მარტო მდ. ენგურის ალუვიონის უმეტესი ნაწილი, არამედ სანაპირო ნაკადის მასალაც.

როგორც ცნობილია, წყალქვეშა კანიონის უახლესი შეჭრა ფსკერში და მისი სათავის მიახლოება ნაპირთან, მდ. რიონის შესართავის პირდაპირაც ხდებოდა. აღწერილი ორი მონაკვეთის რელიეფის, მოხაზულობებისა და გეოლოგიური აგებულების სრული ერთობის გამო, კანონზომიერია, რომ ენგურის კანიონისთვისაც ვივარაუდოთ ანალოგიური პროცესი. ამ შემთხვევაში, ენგური შესართავის უშუალოდ სამხრეთი ნაპირის შეზნექილობის წარმოქმნა, სანაპირო ნატანის დეფიციტს უნდა უკავშირდებოდეს.

ცნობილია, რომ მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაყვანის შემდეგ კანიონმა კვდომა დაიწყო. მისი წინსვლა შეჩერდა და ამჟამად კანიონის სათავე ნელ-ნელა ნატანით ივსება. ადგილობრივი ვითარების პირობებში (იგულისხმება ფოთის პორტი), ერთადერთი წყარო შეიძლება იყოს კუნძულ დიდის სანაპიროს გარეცხვის პროდუქტები. მიგრაციის დროს ეს მასალა კანიონში ხვდება და სანაპირო ზონის ნატანის საერთო ბიუჯეტიდან ამოიღება.

ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროს განვითარების ტენდენციის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მის პირდაპირ არსებული ფსკერი განსაკუთრებით **წყალმარჩხია** და ოჩამჩირეს შელფის საზღვრებში მდებარეობს. ამიტომ, სანაპირო ნატანის ზღვის სიღრმეში წასვლა აქ სრულიად გამორიცხულია **მთელს გაყოლებაზე**, გარდა ენგურის ხსენებული **კანიონისა.**

**მდ. ენგურის ჩადინების შეწყვეტის შემდეგ ნაპირგანვითარებისთვის ახალი პირობები შეიქმნება. ჯერ ერთი, წყალქვეშა კანიონი, როგორც ადრე, მდინარიდან ნატანით აღარ შეივსება. მეორე, ნაპირის არსებული შვერილი შემცირებას დაიწყებს ტალღებისა და მათი თანმხლები დროებითი დინებების ზემოქმედებით.** როგორც ჩანს, ნატანის ნაკადის სიმძლავრე საკმაოდ მცირეა ამ რაიონში, მაგრამ მისმა საპირისპირო მიგრაციამ არანაკლებ მნიშვნელობას უნდა მიაღწიოს, ვიდრე ფოთში. ენგურის უზარმაზარი კანიონი დაიწყებს სანაპირო ნატანის მასის შთანთქმას, სანამ სანაპირო მისი სათავიდან მნიშვნელოვან მანძილზე არ დაიხევს.

ელემენტარული გეომეტრიული აგება (რკალის გასწორება) გვიჩვენებს, რომ ნაპირის გასასწორებლად, ამ უკანასკნელმა ენგურის შესართავის მონაკვეთზე უნდა დაიხიოს არანაკლებ 2 კმ-ით. ეს პროცესი თანდათან შესუსტდება და ორივე მხარეს ისე გავრცელდება, რომ მოსალოდნელი ნგრევების საერთო სიგრძემ შეიძლება 40 კმ-ს მიაღწიოს.

როგორ ავიცილოთ თავიდან ასეთი დიდი ტერიტორიის დაკარგვა? სანაპიროს ამ მონაკვეთის შესახებ ახალი მონაცემების ერთობლიობის საფუძველზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი იბადება. ავტორის აზრით, აღნიშნული მიზნისათვის საკმარისია ენგურის კანიონის სათავის პირდაპირ მდებარე მონაკვეთის სტაბილიზება. ამის გაკეთება მარტივად შეიძლება: კანიონის სათავიდან ორივე მხარეს, ნაპირიდან, საკმაო სიგრძის მოლოები უნდა აიგოს. **მათ უნდა გადაკვეთონ ნატანის ნაკადის ტრასა და გავიდნენ** ფსკერის რელიეფის აქტიური ცვლილებების (დაახ. 10 მ) სიღრმის ფარგლებს გარეთ. ასეთი ამოცანა ტექნიკურად ადვილი შესასრულებელია, მაგრამ კონსტრუქციების ღირებულება ძალიან დიდია.

ამოცანა მხოლოდ ნაპირის დაცვას რომ ითვალისწინებდეს, შესაბამისი ხარჯები გამართლებული არ იქნებოდა. კოლხეთის სანაპიროებთან უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს კვლევები მსხვილი თევზსაჭერი პორტის ასაგებად და ყველაზე ხელსაყრელ მონაკვეთად მდ. ხობის შესართავი ითვლება. ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. მდ. ენგურის ჩადინება წყდება, მაგრამ რჩება კანიონის ღრმა სათავე, რომლის ზემოთაც ნაპირსაც შეიძლება მიადგნენ ნებისმიერი წყალწყვის გემები. ახალი მონაცემების ფონზე, ენგურის კალაპოტის ქვედა მონაკვეთზე ფსკერის ჩაღრმავების გზით შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ზომის საპორტო აკვატორია, რომლის **მოლამვა** ან სრულიად გამოირიცხება, ან ძალიან მცირე იქნება (ზღვიდან შემომავალი **ატივნარებული ფრაქციები**).

მოლოების აგებით სანაპირო ოჩამჩირედან ფოთამდე ორ დინამიკურად იზოლირებულ მონაკვეთად დაიყოფოდა. სამხრეთ მონაკვეთზე, სადაც ნატანის ნაკადი პრაქტიკულად არ არის, კონტურის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ადგილობრივი გადარეცხვები, რომლებიც აუთვისებელი და დაჭაობებული ტერიტორიების გასწვრივ პირველი ათეული მეტრებით იზომება.

რამდენადმე უფრო რთული მდგომარეობაა ჩრდილოეთ მონაკვეთზე. შეიძლება ველოდოთ, რომ **ჩამონადენი ერისწყალის არხიდან**, თუნდაც სეზონურად **გადანაწილებული,** გარკვეულ ბუნურ **(ანუ შემაფერხებელ)** ეფექტს იქონიებს და შესართავის პირდაპირ ნაპირის, თუმცა თანამედროვე ენგურისაზე უფრო მცირე ზომის, მაგრამ ახალი შვერილის წარმოქმნას გამოიწვევს. ასეთი შვერილი გარკვეულად შეაფერხებს ნატანის ნაკადს. ამგვარად, სანაპიროს ჩრდილოეთი ნაწილი ასევე ორად გაიყოფა. უეჭველია, ეს შეასუსტებს გარეცხვას ახალი შვერილიდან სამხრეთით, ხოლო უფრო ნაკლებად — ერისწყლის შესართავსა და ენგურის ძველ შესართავს შორის მონაკვეთზე. თუმცა, ისიც მოსალოდნელია, რომ ნატანის ნაკადი განაგრძობს მასალის წაღებას ოჩამჩირეს მონაკვეთიდან ერისწყლისკენ. ამის თავიდან არიდება მხოლოდ საინჟინრო ზომების შეცვლით და ასევე, ნატანის ხელოვნურად **შეტანით,** შეიძლება.

**მოყვანილ ვარაუდებში საკვანძო მომენტს წარმოადგენს ენგურის კანიონის რეაქცია მდ. ენგურის ჩადინების შეწყვეტის გამო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულია სანაპიროს თანამედროვე მდგომარეობისა და ფსკერის რელიეფის 40 მ სიღრმემდე ფიქსაციისთვის აუცილებელი სამუშაოები**. განმეორებითი კვლევები უკვე უახლოეს 2-3 წელიწადში გვიჩვენებს მოცემული პროგნოზის საფუძვლიანობის ხარისხს და მოგვცემს მასალას მთლიანობაში სანაპიროს ცვლილებების მოსალოდნელი სიჩქარის შესახებ. **მაგრამ დაუყოვნებლივ განხილვას საჭიროებს პორტის შექმნის საკითხი. უძლიერესი გარეცხვისგან სანაპიროს გადარჩენა მხოლოდ კანიონის სათავის მოლოებით შემოზღუდვას შეუძლია. ამასთან დაკავშირებით და ამისგან დამოუკიდებლადაც, სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის გადაჭრითაც დაინტერესებული არის საზღვაო ფლოტი და თევზსაჭერი მრეწველობა, უფრო მარტივად, საიმედოდ და შედარებით იაფად გადაწყდებოდა.**

**აქვე გთავაზობთ, ამ დარგის ცნობილი ქართველი სპეციალისტების თვალსაზრისს. გვესაუბრებიან გეოგრაფიის დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის განყოფილების გამგე გიორგი ლომინაძე** და შპს „გამა კონსალტინგის“ საზღვაო ჯგუფის ხელმძღვანელი **ირაკლი პაპაშვილი:**

▶

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ახალი საზღვაო პორტის მშენებლობა მდ. ენგურის შესართავში, სოფ. ანაკლიასთან, ნაპირდაცვითი პრობლემების გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს. კერძოდ, შესაძლებელი იქნებოდა მდ. ენგურის მკვეთრად შემცირებული ნატანის პირობებში და, აქედან გამომდინარე, გამწვავებული უარყოფითი პროცესების შედეგად წარეცხილი ნაპირების აღდგენა და შემდგომში ზღვის სანაპირო პროცესების ხელოვნურად რეგულირება“

**გიორგი ლომინაძე:**
— მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, გამოჩენილი გეოლოგის, ალექსანდრე ფერსმანის მოწაფის, ვსევოლოდ ზენკოვიჩის (1919-1994), წინამდებარე ნაშრომი – „Ожидаемые изменения морского берега на севере Колхиды“ — ჯერ კიდევ 1976 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბე“-ში. ის დღესაც მეტად აქტუალურ პრობლემას ეხება, კერძოდ, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ადამიანის (ტექნოგენური) ზეგავლენის შედეგებს. მისი **გამოყენების** შესაძლებლობას ადამიანის სასარგებლოდ. ვ. ზენკოვიჩმა XX საუკუნის 50-60-იან წლებში სათავე დაუდო ახალ მეცნიერებას – ზღვის ნაპირების დინამიკასა და მორფოლოგიას. მან ერთობლიობაში განიხილა ხმელეთისა და ზღვის საკონტაქტო ზონაში ინტენსიურად მიმდინარე ბუნებრივი პროცესები. გამოჩენილი მეცნიერის კვლევების ძირითადი სფეროები იყო ოკეანოლოგია, გეომორფოლოგია და ე.წ. კონსტრუქციული გეოგრაფია. ვ. ზენკოვიჩი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჩაერთო სამეცნიერო კვლევებში, კერძოდ, მიიღო მონაწილეობა ბარენცის ზღვის ფსკერის ლითოლოგიური რუკის შედგენაში. თუმცა შემდგომში მისი ძირითადი ფუნდამენტური კვლევები შავი ზღვის სანაპიროებს ეძღვნებოდა. ამასთანავე, როგორც იუნესკოს ექსპერტი, ფართო კვლევებს აწარმოებდა ჩრდილოეთის, ბალტიის და ხმელთაშუა ზღვების სანაპირო ზონებში. მუშაობდა ეგვიპტეში, ვიეტნამში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში. მოპოვებული მდიდარი საველე კვლევებისა და არსებული მეცნიერული მასალის გაანალიზების საფუძველზე ვ. ზენკოვიჩმა 1962 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური გამოკვლევა „Основы учения о развитии морских берегов“. ნაშრომი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და მაშინვე სამაგიდო წიგნად იქცა მსოფლიოში ამ დარგში მომუშავე ყველა მკვლევრისათვის.

1974 წელს ვ. ზენკოვიჩი კონსულტანტად მიიწვიეს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში იმჟამინდელი დირექტორის, აკად. თეოფანე დავითაიასა და ვ. ზენკოვიჩის მოწაფის, კოლეგისა და თანამოაზრის, პროფესორ არჩილ კიკნაძის ინიციატივით. ამავე წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ზღვის ნაპირების შემსწავლელი ლაბორატორია, რომელსაც ა. კიკნაძე და ვ. ზენკოვიჩი ხელმძღვანელობდნენ. ა. კიკნაძის უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე საველე-კვლევითი სტაციონარების დაარსება (ბათუმი, ფოთი, ოჩამჩირე, ბიჭვინთა). ინტენსიური კვლევების შედეგად – რეჟიმული დაკვირვებები, ფსკერის მსხვილმასშტაბიანი აგეგმვები, ლითოლოგიური კვლევები და ა.შ. — დაგროვდა უნიკალური მასალა სანაპირო ზონაში მიმდინარე **რთული** პროცესების შესახებ.

**თავისი დეტალურობითა და სხვა პარამეტრებით, ამ კვლევებს ანალოგი დღესაც არ მოეძებნება, ხოლო წლების მანძილზე წარმოებულმა პრაქტიკული მნიშვნელობის სამეცნიერო-საველე მუშაობის შედეგებმა თავისი ნაყოფი გამოიღო**: 1981 წელს გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის სანაპირო ზონის შემსწავლელი ლაბორატორიის ბაზაზე, შესანიშნავი მეცნიერისა და ორგანიზატორის, არჩილ კიკნაძის ძალისხმევის შედეგად შეიქმნა მსოფლიოში პირველი გარემოს დაცვითი პროფილის ინსტიტუტი და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება — „საქნაპირდაცვა“. ამ ორგანიზაციის ფარგლებში შესაძლებელი გახდა საქართველოს შავი ზღვის ნაპირების არა მხოლოდ კვლევა, არამედ აღდგენითი სამუშაოების სწორად დაპროექტება-დაგეგმვა, და რაც მთავარია, ნაპირების აღდგენითი სამუშაოების განხორციელება. ამგვარად, გამოირიცხა ამ პროცესებში ზოგიერთი ორგანიზაციის სუბიექტური და ხშირად არაკომპეტენტური ჩარევა. ჩამოყალიბდა ქართველი სპეციალისტების სანაპიროების შემსწავლელი ჯგუფი. ა. კიკნაძის თვალსაზრისით, სსგ „საქნაპირდაცვა“ სხვა გარემოს დამცავი ორგანიზაციებისთვისაც მაგალითი უნდა გამხდარიყო. სსგ „საქნაპირდაცვის“ თანამშრომლების მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად 1981-დან 1990 წ-მდე ბუნებრივი სახით იქნა აღდგენილი 100 კმ-ზე მეტი ძლიერ გადარეცხილი და ავარიულ მდგომარეობაში არსებული პლაჟები. აღნიშნული გაერთიანების დევიზი და მიზანი იყო აღდგენილი ნაპირის მაქსიმალური მიახლოება არა მხოლოდ თავის პირვანდელ ბუნებრივ მდგომარეობასთან, არამედ სანაპირო ზონასთან ახლომდებარე ლანდშაფტთანაც. საინჟინრო და სხვა ხელოვნური ნაპირდამცავი ნაგებობები უნდა აშენებულიყო მხოლოდ **გამოუვალ** შემთხვევაში. ქართველი სპეციალისტები ნაპირაღდგენითი სამუშაოების ჩატარების თავის გამოცდილებას უზიარებდნენ ბალტიისპირელებს, კუბელებს, ბულგარელებს და რუსებს. ვ. ზენკოვიჩმა ასე შეაფასა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ნაპირაღდგენითი სამუშაოების თითქმის ათწლიანი პერიოდი — „მე ჩემი თეორია და ძირითადი თეორიული დასკვნები 60-იან წლებში შევიმუშავე, საქართველოში კი ჩემმა ქართველმა კოლეგებმა პრაქტიკით დაადასტურეს ჩემი თეორიული წანამძღვრების სწორი მიმართულება და გვირგვინი დაადგეს ჩემს კვლევებს. ეს დიდი ბედნიერებაა მეცნიერისათვის.

**ირაკლი პაპაშვილი:**
— 1976 წელს გამოქვეყნებული ვ. ზენკოვიჩის ნაშრომი — „Ожидаемые изменения морского берега на севере Колхиды“, კონსტრუქციული გეოგრაფიის სფეროს მიეკუთვნება. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სანაპირო ზონა არსებული ბუნებრივი პირობებისა და ანთროპოგენური **ფაქტორების** მეტად რთულ ნაზავს ქმნის. ამიტომ შეზღუდული მოცულობის სტატიაში ავტორი სრულყოფილად ვერ დაახასიათებდა მდ. ენგურის ძველ შესართავში შექმნილ ვითარებას იქ ენგურჰესის მაღლივი კაშხლის მშენებლობის შემდეგ. ცნობილია, რომ ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, 1978 წლიდან, მდ. ენგურის ძირითადი ნაკადი ჩრდილოეთით



«სუფსაზე გაზის ტერმინალის აშენება მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რადგან იქ უკვე არსებობს ნავთობის ტერმინალი, ხოლო, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნავთობისა და გაზის ტერმინალების გვერდიგვერდ არსებობა მიზანშეუწონელია»

მდ. ერისწყლის არხის მეშვეობით (ზღვაში მდ. ენგურის ძველი შესართავიდან **ჩრდილოეთით** 23 კმ) გადაისროლეს, რამაც ზღვის ნაპირის მაფორმირებელი პარამეტრების მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. ახლად შექმნილ პირობებში ავტორმა მონიშნა პრობლემის ძირითადი მომენტები: კერძოდ მდინარის მყარი ნატანის მკვეთრი გადაწშემცირება და ნაპირის მოსალოდნელი კატასტროფული წარეცხვა ბუნებრივი წონასწორობის დარღვევის შედეგად, აგრეთვე მდ. ენგურის წყალქვეშა კანიონის მოსალოდნელი გააქტიურება. ვ. ზენკოვიჩმა ვითარებიდან გამოსვლის ყველაზე რაციონალური გზა შემოგვთავაზა. **ეს არის ანაკლიაში ღრმაწყლიანი გემებისთვის საზღვაო პორტების მშენებლობის იდეა. რადგან საქართველოში არ გვაქვს ზღვის კლასიკური ღრმა უბეები წყლის ისეთი დიდი სიღრმეებით, როგორიც მეზობელი ეგეოსისა და ადრიატიკის ზღვის სანაპირო ზოლის სიახლოვეს არსებობს, ამიტომ, ახალი საზღვაო პორტის მშენებლობა მდ. ენგურის შესართავში, სოფ. ანაკლიასთან, ნაპირდაცვითი პრობლემების გადაწყვეტასაც შეუწყობდა ხელს. კერძოდ, შესაძლებელი იქნებოდა მდ. ენგურის მკვეთრად შემცირებული ნატანის პირობებში და, აქედან გამომდინარე, გამწვავებული უარყოფითი პროცესების შედეგად წარეცხილი ნაპირების აღდგენა და შემდგომში ზღვის სანაპირო პროცესების ხელოვნურად რეგულირება.**

როგორც სტატიიდან ჩანს, მდ. ენგურზე მაღლივი კაშხლის მშენებლობის შედეგად მეცნიერები სამართლიანად ვარაუდობდნენ ზღვის ნაპირზე მდინარის მყარი ნატანის შემოდინების მკვეთრ შემცირებას, რაც არა მხოლოდ ნაპირების მასშტაბურ გადარეცხვას გამოიწვევდა, არამედ იქ არსებული მდ. ენგურის **წყალქვეშა** კანიონის გააქტიურებასაც. ვ. ზენკოვიჩმა შემოგვთავაზა მდ. ენგურის ძველ, თითქმის გაუწყლიანებულ კალაპოტში პორტის აკვატორიის მოწყობა და მისი ტალღებისაგან დასაცავად შესართავის (პორტის) ჩრდილო და სამხრეთ ნაპირებზე **მოლოების (სპეციალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა)** მშენებლობა, ხოლო დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდებოდა აკუმულაციის შედეგად მოლოებთან დაგროვილი მნიშვნელოვანი **ნატანი** მასალის ნაპირის დაზიანებულ მონაკვეთებზე დაყრა **ან** მისი სამშენებლოდ გამოყენება. ამის გარდა, მოლოები შეაფერხებდნენ წყალქვეშა კანიონის მოსალოდნელ გააქტიურებასაც — შესაძლებელი გახდებოდა ბუნებრივი პროცესების რეგულირება. ამასთან, მეტად მომგებიანი იქნებოდა გემებისთვის მისასვლელი ღრმაწყლიანი არხის მშენებლობაც, რადგან იქ **ზღვის შელფში ღრმად შეჭრილ წყალქვეშა კანიონსა** და დაპროექტებული პორტის აკვატორიას შორის არსებული მანძილი მეტად მცირეა და დაახლოებით 100 მ-ს შეადგენს; ასევე დიდია მომავალი საპორტო აკვატორიისათვის არსებული სივრცე. ყველა ეს ფაქტორი პორტის მშენებლობის ღირებულებას ამცირებს და ძალიან მნიშვნელოვანს ხდის მის მშენებლობას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ა. კიკნაძისა და არქიტექტორ გ. მეტრეველის თანაავტორობით დამუშავდა ანაკლიის პორტის პირველი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, სადაც წარმოდგენილია ნავსადგურის მოწყობის რამდენიმე ვარიანტი. ერთერთ ვარიანტად შემოთავაზებულია ნავსადგურის მოწყობა მდ. ენგურის **წყალქვეშა** კანიონის სამხრეთი სათავის მახლობლად. მას შემდეგ ამ საკითხზე. კიდევ ბევრი წინადადება იქნა შეთავაზებული. **დღეს აუცილებლად მიგვაჩნია ღრმაწყლიანი დიდი ტვირთბრუნვის შესაძლებლობის პორტის მშენებლობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.**

**ამ საკითხზე ასევე გვესაუბრება საქართველოს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე.**

**— ქალბატონო ნინო, გვაქვს ინფორმაცია, რომ ანაკლიის პორტის ნაცვლად სუფსაში გაზის ტერმინალი უნდა აშენდეს. გამართლებულია სუფსაში მსგავსი ტერმინალის აშენება?**

**— სუფსაზე გაზის ტერმინალის აშენების თემა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რადგან იქ უკვე არსებობს ნავთობის ტერმინალი, ხოლო, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნავთობისა და გაზის ტერმინალების გვერდიგვერდ არსებობა მიზანშეუწონელია.**

სუფსაში პორტიც კი ვერ გაკეთდა, იქ სამამულო ომის დროს ნაღმები ჩამარხეს და ტერიტორია შემოწმებულ არ არის, ამიტომ მცირე ზომის გემის შემოსვლაც კი რისკია. ტერიტორია შესამოწმებელია. იქ ნავთობის ტერმინალი კი არის, მაგრამ მილები ძალიან შორს გადის, რადგან გემი ნაპირს ვერ უახლოვდება.

**— ქალბატონო ნინო, ანაკლიის პორტის აშენების ორ ვარიანტს განიხილავენ: ერთი — თიკორი – ჭურიის მხარე და მეორე — ანაკლია-განმუხურის მხარე.**

— ჭურიასთან ახლოს პორტის აშენება არ შეიძლება, უფრო ჩრდილოეთისკენ უნდა გადაიწიოს, ანუ განმუხურისკენ. ჭურია ეროვნული პარკია და მისთვის ხელის ხლება არ შეიძლება, თანაც იქ სიღრმეები არ არის. განმუხურუსკენ არის კანიონი, რომელიც ძალიან საინტერესოა.

ანაკლიის პორტის თემაზე საუბარი შესაძლებელია, პოლიტიკურად დღეს გამართლებულად არ მიაჩნიათ, მაგრამ ეს თემა მომავალში აუცილებლად განიხილება.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. აუცილებელია აღინიშნოს ერთ–ერთი უმთავრესი საკითხი, 1986 წლის 21 ნოემბერს გამოვიდა დადგენილება მდინარე ენგურის გაუწყლოებული ჭალის ათვისების გენერალური სქემის დამტკიცების შესახებ. ამ დადგენილებაში გათვალისწინებული იყო 62კმ სიგრძის არხის მშენებლობა ენგურის კაშხლიდან ზღვამდე. დადგენილების თანახმად, 2010 წლის ბოლომდე უნდა აშენებულიყო არხი 32კმ სიგრძის 100მ სიგანისა და 3,5მ სიღრმის. ეს პროექტი უნდა გაეკეთებინა ინსტიტუტ „გრუზგიპროვოდხოზს“, დარჩენილი 30კმ კი სიგანეში 300მ–მდე უნდა გაფართოებულიყო წყლის ხარჯის გადიდებასთან დაკავშირებით 2000მ3/წმ, სიღრმე კი იგივე რჩებოდა. წყლის კატასტროფული ვარდნის მიმართულება იყო მდინარე ტიკორისა და ზღვის შესართავთან, ვინაიდან პირდაპირ ქალაქი ანაკლიაა მარჯვნივ კი აფხაზეთი, სადაც დგას რუსეთის ჯარი. ერთადერთი გამოსავალია, წყლის დინება მიემართათ მდინარე ტიკორისა და ზღვის შესართავთან, სადაც, სამწუხაროდ, აპირებენ პორტის აშენებას. ეს არხი აუცილებლად უნდა აშენდეს, თუ საჭირო იქნება მსოფლიო ორგანიზაციების დახმარებაც კი. ღმერთმა არ ქნას, თუ სხვადასხვა გარემოებით მოხდება წყლის კატასტროფული ვარდნა, აღმოსავლეთ საქართველო და თურქეთის ნაწილი წაილეკება წყლით. ეს იქნება არნახული კატასტროფა. პორტი ანაკლია–განმუხური უნდა აშენდეს, რათა ზღვით შთანთქმისაგან შევინარჩუნოთ კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილი, სადაც ჩქარი ტემპით მიმდინარეობს პროცესი. გვყავს ინვესტორი, მაგრამ მთავრობა არ იღებს გადაწყვეტილებას. მიუხედავად ჩვენი არაერთი წერილისა, პასუხს არავინ გვცემს. არ შეიძლება ასე დიდხანს გაგრძელდეს, შემოვლითი 4კმ-იანი არხის მშენებლობა გათვალისწინებულია ანაკლია-ენგურის პორტის მშენებლობაზე, დრო არ იცდის, რაც შეიძლება სწრაფად მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## იაპონიის სახელმწიფო ვალმა 10 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა

**2013 წლის ბოლოს იაპონიის სახელმწიფო ვალმა 2015 ტრილიონი იენი (დაახლოებით 10,08 ტრილიონი დოლარი) შეადგინა.** იაპონიის ფინანსური უწყების პროგნოზით, ვალი კიდევ უფრო გაიზრდება და 2014 წლის ფინანსური წლის ბოლოს (2015 წლის 31 მარტი) 11,32 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. ამჟამად იაპონიის ვალი ორჯერ აჭარბებს შიგა ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელს და განვითარებული ქვეყნების შვიდეულს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, კანადა, საფრანგეთი და იაპონია) შორის ყველაზე მაღალია.



## მარკ ფაბერი: დროა, ინვესტორებმა აშშ დატოვონ

**ცნობილმა საერთაშორისო ინვესტორმა მარკ ფაბერმა, რომელიც საფონდო ბირჟასა და ფიუჩერსულ ბაზარზე ცნობილია თავისი შემზარავი წინასწარმეტყველებებით, ახლახან კიდევ ერთი პროგნოზი გამოაქვეყნა: „ინვესტორებმა უნდა შეისყიდონ ფიზიკური ოქრო და სეიფში შეინახონ, სასურველია — აშშ-ის ფარგლებს გარეთ...**

დღევანდელ მშფოთვარე მსოფლიოში მნიშვნელოვანია დივერსიფიკაცია (გამოსაშვები პროდუქციის მრავალფეროვნება და გასაღების ბაზრის ორიენტაციის შეცვლა გაკოტრების თავიდან ასაცილებლად) და არა მხოლოდ აქტივების, არამედ სხვადასხვა იურისდიქციისა...

ჩვენ ფულის უზარმაზარი მასა დავბეჭდეთ, ბეჭდვის კიდევ უფრო დაჩქარება სხვა პრობლემებსაც შექმნის და ბუშტი გასკდება არაუგვიანეს უახლოესი სამი წლისა“.



## აშშ-ში სკოლის მოსწავლეს ბიბლიის კითხვა აუკრძალეს

**ფლორიდის ქალაქ ფორტ-ლორერდეილის პარკ ლეიკის სკოლაში მასწავლებელმა მოსწავლეს წიგნის კითხვისთვის სპეციალურად გამოყოფილ დროს ბიბლიის წაკითხვა აუკრძალა. ახალი ამბების სააგენტო Fox New Network ასე აღწერს მომხდარს:**

„12 წლის ჯოვანი რუბეოს მასწავლებელმა რამდენიმეჯერ აუკრძალა ბიბლიის წაკითხვა კლასში და ბიჭიც ყოველთვის ემორჩილებოდა მასწავლებლის ბრძანებას. როდესაც ჯოვანის მამამ ამ აკრძალვის შესახებ შეიტყო, შვილს სთხოვა, ტელეფონის ნომერი მიეცა მასწავლებელი ქალისთვის, მშობლისთვის რომ დაერეკა და ამ საკითხზე ემსჯელათ.

8 აპრილს ბავშვები წიგნების კითხვას შეუდგნენ, მასწავლებელი მიუახლოვდა ჯოვანის, და, როდესაც მის ხელში ბიბლია დაინახა, ყველას თვალწინ დაამცირა. ჯოვანიმ მასწავლებელს სთხოვა, მამას დალაპარაკებოდა. მშობლები სახლში არ იყვნენ და მასწავლებელმა თავისი თვალსაზრისი ავტომოპასუხეზე დატოვა: **„თქვენი ბიჭის ხელში რელიგიური წიგნი შევნიშნე, მან ასეთი წიგნი არ უნდა წაიკითხოს ჩემს კლასში“.**

სწორედ ამ ჩანაწერით მივიდა იურისტებთან ჯოვანი რუმეოს მამა და ახლა ის მასწავლებლისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს, აგრეთვე, — ბავშვისთვის ბიბლიის კითხვის უფლების მიცემას“.

# დასავლეთი უკრაინის გაყოფაზე ალაპარაკდა



**უკრაინის გაყოფა „მცირე ბოროტება“ იქნება სამოქალაქო ომთან შედარებით. ეს მოსაზრება ეკუთვნის კარნეგის ფონდის რუსულ-ევრაზიული პროგრამის დირექტორ იუჯინ რუმერს.**







გამოცემა Financial Time (FT)-ში გამოქვეყნდა სტატია: „სჯობს, გაიყოს უკრაინა, ვიდრე ნაწილებად გაიგლიჯოს“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქვეყნის გაყოფის სცენარი უკიდურესი ვარიანტია, მაგრამ ის სამოქალაქო ომზე უკეთესია“.

„ოდესაში დაწყებული ქაოსის შემდეგ, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, აგრეთვე, შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე, უკრაინა სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა. ამ ვითარებაში მარტივი გამოსავალი არ ჩანს. **დადგა დრო, თვალებში შევხედოთ მწარე სიმართლეს: შექმნილი კრიზისიდან უკრაინა შეიძლება უნიტარულ სახელმწიფოდ ვერ გამოვიდეს.**

აშშ-ის პოლიტიკა რუსეთისადმი აქამდე მხოლოდ სანქციების დაწესების მუქარაში გამოიხატებოდა, თუმცა კრემლს საერთაშორისო არენაზე რეპუტაციის შელახვისა და ამ სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის არ ეშინია. რუსეთის უკრაინასთანსიახლოვე მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩატარების უპირატესობას აძლევს. **რუსეთისთვის უკრაინა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აშშ-სა და ევროპისთვის და, გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთი მზად არის, სამხედრო ძალა გამოიყენოს.**

ჟენევის შეთანხმებამ, რომელსაც ხელი 17 აპრილს მოაწერეს, ვითარების გაუმჯობესება ვერ შეძლო. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გააფრთხილეს რუსეთი, რომ ახალ სანქციებს დაუწესებდნენ, თუკი ის აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციაში მონაწილეობას არ შეწყვეტდა და 25 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის მცდელობისგან თავს არ შეიკავებდა.

ამ მუქარას შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტაზე რეალურად არ უმოქმედია. **შეიძლება კი უკრაინის გადარჩენა ოფიციალური კიევისა და რეგიონების ურთიერთდამოკიდებულების რადიკალურად შეცვლით — ეროვნული რეფერენდუმის ჩატარებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქვეყნის გაყოფით? ცხადია, ბოლო ვარიანტი რადიკალურია და მისი რეალიზება ძალიან რთული იქნება, მაგრამ იქნება კი ის სამოქალაქო ომზე უარესი?**

გაყოფის პროცესი შეიძლება ნელ-ნელა განხორციელდეს. პრეზიდენტის არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების კონტროლით უნდა წარიმართოს. მომავალი რეფორმები კი უკრაინის ყველა რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით უნდა დაიწყოს, ეროვნული შერიგების მცდელობის პარალელურად. ეს გზა, აუცილებელი არ არის, გაყრით დასრულდეს: აღმოსავლელმა სეპარატისტებმა შეიძლება მიაღწიონ რეგიონების ფედერალიზაციასა და ფართო ავტონომიის მიღებას.

ვითარების სტაბილიზაციას ხელს შეუწყობს ახალი საპარლამენტო არჩევნებიც. ამჟამად ვერავინ აკონტროლებს სიტუაციას აღმოსავლეთ უკრაინაში — ეს უკრაინის დღევანდელმა ხელისუფლებამაც აღიარა. **აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული განწყობის გაღვივებას დიდწილად ხელი შეუწყო რეგიონებში ადამიანების დამოკიდებულებამ ხელისუფლების მიმართ. ისინი თვლიან, რომ ხელისუფლება მათი ინტერესების გამტარებელი არ არის და, ამასთანავე, ძირითადად ნაციონალისტებისგან შედგება, რომლებმაც ძალაუფლება მაიდნის საპროტესტო აქციების შედეგად მოიპოვეს.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთი უკრაინა ბევრი ასპექტით — მათ შორის, კულტურული და რელიგიურით — განსხვავდება ქვეყნის აღმოსავლეთისგან. უკრაინაში სამოქალაქო ომის გაჩაღება არავის უნდა. რუსეთს, როგორც ჩანს, არ სურს იქ ტანკების შეყვანა, რადგან უფრთხის ქაოსს, რომელიც მომავალში შეიძლება დაიწყოს. არც ევროპასა და აშშ-ს სურს მორიგი კონფლიქტი ბალკანეთის სცენარით. უკრაინელი ხალხი საკმარისად დაიტანჯა.

**დროა, მხარეებმა შეწყვიტონ საკუთარი თავისთვის ორმოს თხრა და დაიწყონ ამ კრიზისის მოგვარების გზების ძიება, რადაც უნდა დაუჯდეთ. უკრაინის გაყოფა ჯერჯერობით შესაძლებელია, კრიზისის მოგვარების პრიორიტეტული ვარიანტი არ არის, მაგრამ სამოქალაქო ომის თავიდან აცილებასა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, ყველა ვარიანტი უნდა იქნას განხილული, მათ შორის, 25 მაისის არჩევნების სხვა დროისთვის გადატანა, კონსტიტუციური რეფერენდუმი და ახალი საპარლამენტო არჩევნები“,** — წერს იუჯინ რუმერი.

# მონიკა ნანობს, რომ ბილთან რომანი ჰქონდა

**თეთრი სახლის ყოფილმა სტაჟიორმა მონიკა ლევინსკიმ აღიარა, რომ ნანობს რომანის გაბმას აშშ-ის ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონთან. ამ თემაზე მონიკა ლევინსკის წერილს ჟურნალი Vanity Fair აქვეყნებს.**




„ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც ჩემსა და პრეზიდენტ კლინტონს შორის მოხდა. რა თქმა უნდა, ჩემმა შეფმა გამომიყენა, თუმცა ვიტყვი, რომ ჩვენი ურთიერთობა ურთიერთთანხმობაზე იყო აგებული“, — წერს ლევინსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ბოროტი განზრახვა გაჩნდა მოგვიანებით“, როდესაც ის „კლინტონის მაღალი მდგომარეობის დაცვის მიზნით“ დაადანაშაულეს. **თეთრი სახლის ყოფილი თანამშრომელი ამტკიცებს, რომ კლინტონის ადმინისტრაციამ, სპეციალური პროკურორის „დამქაშებმა“ და პრესამ მას „სირცხვილის დაღი“ დაასვეს, რამაც მის მომავალზე ცუდად იმოქმედა.** დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარი იყო, რადგან შელახული რეპუტაციის გამო კომპანიებს მასთან საქმის დაჭერა არ უნდოდათ. 42 წლის ლევინსკიმ უარყო ხმები იმის შესახებ, რომ მას კლინტონების ოჯახმა ფული გადაუხადა გასაჩუმებლად და ამიტომ არ იძლეოდა ინტერვიუს ათი წლის განმავლობაში. ლევინსკი წერს, რომ შეეძლო უამრავი გამოცემისთვის გაეზიარებინა თავისი მოგონებები და ამით მილიონები ეშოვა, მაგრამ ეს „სწორ ქმედებად არ ჩათვალა“.

**აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და თეთრი სახლის ყოფილ სტაჟიორ მონიკა ლევინსკის რომანის შესახებ სკანდალი 1998 წელს აგორდა და კინაღამ 42 წლის პრეზიდენტის იმპიჩმენტით დასრულდა. სახელმწიფოს მეთაურმა დაიფიცა, რომ ლევინსკისთან ინტიმური ურთიერთობა არ ჰქონია, თუმცა მოგვიანებით იძულებული შეიქნა, ყველაფერი ეღიარებინა. კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ მხარი დაუჭირა კლინტონის ჩამოშორებას თანამდებობიდან, მაგრამ სენატმა პრეზიდენტი გაამართლა.**

**ნორვეგიელების აზრით, ნატო ისეთ გაბერილ და არათანმიმდევრულ ორგანიზაციად იქცა, რომ დღეს ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც სურს, აშშ-ის მხრიდან სამხედრო დახმარების გარანტია მიიღოს, რაღაც უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე ნატოს წევრობის დამადასტურებელი ბარათის აფრიალებაა. ამიტომ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებმა — ნორვეგიამ და დანიამ თავიანთი ძალისხმევა მიმართეს სამხედრო ხარჯების შემცირებასა და ნატოს ეგიდით წარმოებულ ისეთ ოპერაციებში მონაწილეობისკენ, როგორიც იყო, მაგალითად, ლიბიაში. ეს კარგად ესმოდათ უკრაინასა და საქართველოშიც, ამიტომ მორჩილად გაგზავნეს თავიანთი რაზმები „ერაყის თავისუფლების“ ოპერაციაში მონაწილეობისთვის. მიუხედავად ამისა, აშშ-მა მათ მხარი ვერ დაუჭირა იმ მომენტში, როცა რუსულმა დათვმა გაიღვიძა.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გთავაზობთ პორტუგალიელი ანალიტიკოსის — მიგელ ნუნიეს სილვას წერილს, რომელიც მან აშშ-ის გამოცემა The American Conservative-ში გამოაქვეყნა. მიგელ ნუნიეს სილვა მუშაობდა ევროპის სისხლის სამართლის სასამართლოსა და საგარეოპოლიტიკური ურთიერთობის სამსახურში, მისი წერილები ქვეყნდება ისეთ გამოცემებში, როგორიცაა Small Wars Journal და Asia Times. სილვა ანალიტიკოსად მუშაობს კონსალტინგურ ფირმა Wirstrat-ში.**

# ნორვეგიის გაკვეთილი ნატოსთვის



მიგელ ნუნიეს სილვა

ინტერნაციონალისტებს, თავიანთი იდეალიზმიდან გამომდინარე, ავიწყდებათ, რომ სამხედრო ალიანსები საერთო ინტერესებზე დგას.

აპრილში ატლანტიკური საბჭოს წევრმა იენ ჰანსენმა განაცხადა, რომ რეალისტები ცდებიან, როცა ნატოს გაფართოებას რუსეთთან უთანხმოების წყაროდ მიიჩნევენ. ის ამტკიცებს, რომ, თუკი ნატო კიდევ უფრო გაფართოვდება და უკრაინასა და საქართველოს წევრებად მიიღებს, აღმოსავლეთ ევროპის მთლიანობა გაცილებით უსაფრთხო იქნებოდა.

**ჰანსენის მოსაზრებას საფუძვლად უდევს ემპირიული იდეა, რომ რუსეთი არასოდეს დასხმია თავს ნატოს წევრ სახელმწიფოს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობით, უკრაინა დასაქართველო ომს თავიდან აიცილებდნენ. ამ მტკიცებას შეიძლება ვუწოდოთ ნატოსა და რუსეთის შესაძლებლობებისა და ინტერესების უცოდინარობა.**

აპრილის ბოლოს ვმონაწილეობდი ოსლოში გამართულ კონფერენცია Norsec-ში, რომლის ორგანიზატორიც იყო ატლანტიკური შეთანხმების ნორვეგიის ახალგაზრდული ასოციაცია (Norwegian Youth Atlantic Treaty Association). ამ კონფერენციაზე ბევრი გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი გამოვიდა სიტყვით და გულწრფელად მომინდა, მას იენ ჰანსენიც დასწრებოდა იმისათვის, რომ შეეტყო, როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ ნორვეგიის — ნატოს დამფუძნებელი ერთ-ერთი სახელმწიფოსა და ცივი ომის აქტიური მონაწილის — წარმომადგენლებს. **ვაშინგტონელი, პარიზელი თუ ლონდონელი ატლანტისტებისგან განსხვავებით, ამ კონფერენციაზე არავის უხსენებია რუსეთთან კონფრონტაცია, ზოგიერთი მონაწილის აზრით კი, ბუდაპეშტის სამიტზე უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოს წევრობაზე უარის თქმა ბრძნული გადაწყვეტილება აღმოჩნდა.**

ნორვეგია, რუსეთთან სახმელეთო და საზღვაო საზღვრებისა და ამ ქვეყანასთან არქტიკაში კონკურენციის მიუხედავად, ყოველთვის მოხერხებულად ინარჩუნებდა სტაბილურობას ჩრდილოეთში. უფრო მეტიც, კონცეფცია, რომელზეც ოსლოში მსჯელობდნენ, გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ჰანსენის მსოფლმხედველობას. **ნორვეგიელების აზრით, ნატო ისეთ გაბერილ და არათანმიმდევრულ ორგანიზაციად იქცა, რომ დღეს ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც სურს, აშშ-ის მხრიდან სამხედრო დახმარების გარანტია მიიღოს, რაღაც უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე ნატოს წევრობის დამადასტურებელი ბარათის აფრიალებაა.** ამიტომ **ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებმა — ნორვეგიამ და დანიამ თავიანთი ძალისხმევა მიმართეს სამხედრო ხარჯების შემცირებასა და ნატოს ეგიდით წარმოებულ ისეთ ოპერაციებში მონაწილეობისკენ, როგორიც იყო, მაგალითად, ლიბიაში.**

**ეს კარგად ესმოდათ უკრაინასა და საქართველოშიც, ამიტომ მორჩილად გაგზავნეს თავიანთი რაზმები „ერაყის თავისუფლების“ ოპერაციაში მონაწილეობისთვის. მიუხედავად ამისა, აშშ-მა მათ მხარი ვერ დაუჭირა იმ მომენტში, როცა რუსულმა დათვმა გაიღვიძა.**

ჩნდება კითხვა: იქნებოდა კი ვითარება სხვაგვარი, ეს ქვეყნები ნატოს წევრები რომ ყოფილიყვნენ?

**ოსლომ სწრაფად გააცნობიერა რომ ნატო თავისი სრულუფლებიანი წევრებისთვისაც კი რჩებოდა ალიანსად, რომლის წევრებსაც სხვადასხვა, ზოგჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აქვთ. ეს მტკიცებულება, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს გაფართოების შემდეგ, ორზე უნდა გავამრავლოთ.**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელშიც 28 სახელმწიფოა გაერთიანებული, საკმაოდ არაორდინარულია: **აღმოსავლეთევროპელებს რუსეთის ეშინიათ, სამხრეთევროპელებს — ჩრდილოეთი აფრიკის, საბერძნეთი და თურქეთი კი, საერთოდ, მტრები არიან. სწორედ ამიტომ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ალიანსი შეეცადა, თავისი არსებობისთვის გამართლება მოეძებნა მცირემასშტაბიანი, მცირე დანახარჯების მქონე და ხშირად უმნიშვნელო ოპერაციების განხორციელებით. დროდადრო ნატო ისეთ სამხედრო ოპერაციებსაც ახორციელებს, როგორიც იყო კოსოვოსა და ლიბიის, მაგრამ ამ ოპერაციების შედეგები ნატოს გათიშულობაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ერთიანობაზე.**

ავიღოთ, მაგალითად, კოსოვო: ასეთი მასშტაბის ოპერაციაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მისი მომხრეები იყვნენ ნატოს წევრები, რომლებიც ბალკანეთიდან უფრო შორს არიან, ვიდრე სხვები. ბალკანეთიდან ნატოს წევრი-სახელმწიფოა საბერძნეთი, რომელმაც არა მხოლოდ უარი განაცხადა იუგოსლავიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე, არამედ ცდილობდა, მწვავე ვითარება განემუხტა. აშშ რომ არა, ეს ოპერაცია საერთოდ არ განხორციელდებოდა. **გაიხსენეთ ლიბია: იქ მოკავშირეთა დიდი ნაწილი საერთოდ არ გამოჩენილა, ხოლო სამხედრო ჩარევის მომხრეებმა დაუფიქრებლად მიიტანეს სამსხვერპლოზე ამ ქვეყანაში გერმანიისა და იტალიის ეკონომიკური ინტერესები.**

რეალისტებს გამოაქვთ დასკვნა, რომ მსგავსი უთანხმოება კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება ისეთ სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში, როგორიც რუსეთია, რომელიც მსოფლიოში პირველია ატომური შეიარაღების მხრივ. **ბუდაპეშტის სამიტზე უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოს წევრობაზე უარის თქმას რეგიონში დესტაბილიზაცია არ გამოუწვევია, უფრო — პირიქით.**

**უარმა სწორედაც რომ ხელი შეუწყო ვითარების სტაბილიზაციას (ძალიან უცნაურია, რომ ახლა აღმოსავლეთ ევროპაში სტატუს კვოს დარღვევის გამო პასუხისმგებლობას რუსეთს ვაკისრებთ. არადა, სწორედ ჩვენ, ანუ დასავლეთი გულმხურვალედ მივესალმებით რევოლუციებსა და, როგორც საქართველოს შემთხვევაში, სამხედრო ესკალაციას).**

**თუკი უკრაინა და საქართველო დაიწყებენ ნატოში შესვლისთვის მზადებას, რუსეთი უეჭველად, დაუყოვნებლივ შექმნის ახალ ტაქტიკურ ვითარებას რეგიონში.**

რუსეთის პერიფერიებთან არსებული სახელმწიფოების მცდელობას, გაწევრებულიყვნენ ნატოში, ხელს უშლიდნენ გერმანია და საფრანგეთი. ამით მათ ალიანსი დაიცვეს რთული გადაწყვეტილების მიღებისგან, რადგან არ იყო გამორიცხული, ამ ორგანიზაციაში განხეთქილება დაწყებულიყო. ეს იყო შედეგი იმ გაკვეთილისა, რომელიც ნატომ ერაყის ომში მიიღო, როდესაც ვაშინგტონელი პოლიტიკოსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნატოს წევრები ხმისამოუღებლად დაყაბულდებოდნენ აშშ-ის გეგმას. არადა, იმხანად ნორვეგიამაც კი არ დაუჭირა მხარი აშშ-ს.

ავღანეთი კი ნატოსთვის ნეგატიური გაკვეთილია — მოტივაციის თვალსაზრისით თუ არა, შესრულების თვალსაზრისით მაინც. **ნატოს მისიამ ავღანეთში ვერ შეძლო დასახული ამოცანების შესრულება და ახალი სახელმწიფო ვერ ჩამოაყალიბა. პირიქით — იმის ნაცვლად, რომ შეერიგებინა, კიდევ უფრო წააჩხუბა ავღანეთი და პაკისტანი. ასეთია რეალობა.**

ნატო ბევრ ამოცანას ასრულებს, ამიტომ მოწოდებები მისი დაშლის შესახებ, შესაძლოა, გაუმართლებელი იყოს, მაგრამ, საღი აზრიდან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ალიანსი ფართოვდება პოლიტიკური (ეს არის ევროკავშირის წევრობის საფეხური) და არა სტრატეგიული მიზნებით.

სტრატეგიული თვალსაზრისით კი, ნატოში ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღება გაუმართლებელი ნაბიჯია, რომელმაც უფრო მეტი ვალდებულებები მოიტანა და სარგებელი — არაფერი. ეს ეწინააღმდეგება ლოგიკას, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ალიანსის შექმნის იდეას. იმხანად, სსრკ-ის შეკავების პროცესში, ქვეყნებს მათი სტრატეგიული ფასეულობის მიხედვით ირჩევდნენ, რეჟიმის შინაარსისგან დამოუკიდებლად. შედეგად, ალიანსის წევრები გახდნენ ისეთი დიქტატორული რეჟიმის სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ პორტუგალია, საბერძნეთი და თურქეთი.

ისინი, ვინც ახლა ისტორიის განმეორებასა და უხეში ძალის მიმართ საპასუხო დარტყმაზე ლაპარაკობენ, გონივრულად მოიქცევიან, თუ გაიხსენებენ, როგორ შეიძლება მტრის დამარცხება პრაქტიკულად: არ შეიძლება, ბრმად მისდევდე ფასეულობებს, პირველ რიგში, საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვა. **ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჰიტლერზე გამარჯვება სტალინის დახმარებით და ფინეთის სურვილის საწინააღმდეგოდ მოვიპოვეთ?!**

**მიგელ ნუნიეს სილვა**

The American Conservative




**ბუდაპეშტის სამიტზე უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოს წევრობაზე უარის თქმას რეგიონში დესტაბილიზაცია არ გამოუწვევია, უფრო — პირიქით**

**თუკი უკრაინა და საქართველო დაიწყებენ ნატოში შესვლისთვის მზადებას, რუსეთი უეჭველად, დაუყოვნებლივ შექმნის ახალ ტაქტიკურ ვითარებას რეგიონში**

იუბილარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 50 წუთის განმავლობაში ცდილობდა, დაერწმუნებინა ოთარ ფაცაცია, ამ მძიმე დროს, როცა დაიწყო აფხაზეთის ომი, როცა გრძელდება სამოქალაქო დაპირისპირება, სწორედ იგი უნდა ჩადგომოდა სათავეში საქართველოს მთავრობას.**

# ოთარ ფაცაცია — 85



**ოთარ ფაცაცია 1929 წლის 15 მაისს დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში. დაამთავრა ზუგდიდის მეხუთე საშუალო სკოლა. სწავლობდა მონდომებით — „ოთხებზე“ და „ხუთებზე“. საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივისტი იყო, ქართულ ცეკვებში განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა და, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვერ ჩაირიცხა (ორი ქულა დააკლდა), მამას განუცხადა, რომ დარჩებოდა თბილისში და მომავალი წლის გამოცდებისთვის მოემზადებოდა.**
**დაუჯერეს მშობლებმა. ოთარი კი ფილარმონიაში წავიდა, წარდგა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის წინაშე.**
**მოიწონეს. მიიღეს.**
**შემოდგომაზე მამამისი — ბატონი ამბაკო ჩავიდა თბილისში შესამოწმებლად, თუ როგორ ემზადებოდა შვილი გამოცდებისთვის...**
**ოთარი შეეცადა თავის მართლებას.**
**არაფერი გამოუვიდა.**
**მამამ შვილი ზუგდიდში დააბრუნა და ასე დამთავრდა ოთარის, როგორც მოცეკვავის, კარიერა.**

## ნევის ნაპირებზე

მისი ბედი ქაღალდკომბინატმა გადაწყვიტა: ლენინგრადის მოლოტოვის სახელობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები — მომავალ ინჟინერს ზუგდიდის ქაღალდის საწარმოში გარანტირებული ჰქონდა ადგილი.

მძიმე წლები იყო. სტუდენტებს ფული, მაშასადამე, ცხოვრებაც განსაკუთრებით უჭირდათ. ფულს მშობლები უგზავნიდნენ, მაგრამ საფოსტო გზავნილის ლენინგრადში ჩაღწევას საკმაო ხანი სჭირდებოდა. სულ მთლად მშრალზე რომ არ დარჩენილიყო, მუსიკალური კომედიის თეატრში მოცეკვავედ დაიწყო მუშაობა — ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც ერთგვარი ფინანსური შეხიდება იყო.

„ერთხელ ნევის პროსპექტზე ვსეირნობთ მე და ბორის პაჭკორია, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშიდან იყო და საფეიქრო ინსტიტუტში სწავლობდა, — იხსენებს ოთარ ფაცაცია, — ჩვეულებრივ, შევდიოდით სასოსისეში, რომელიც ანიჩკას მახლობლად იყო. იმ დღეს გვერდი ჩავუარეთ, ჯიბეები ცარიელი გვქონდა. მივდივართ და ვხედავთ, განცხადებაა გამოკრული ალექსანდრეს თეატრის კედელზე: „ვყიდულობთ თმებს პარიკებისთვის“. შევხედე ბორიას — ხშირი თმები აქვს, ხუჭუჭა, როგორც პუშკინს. „მოდი, ჩავაბაროთ!“ — ვუთხარი. „შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალე?“ — მიპასუხა. მოვილაპარაკეთ, მაინც გვეჩვენებინა თავი, შეიძლება, არც არაფერი ღირდა. შევედით თეატრში, შეხედეს ბორიას კულულებს და 750 მანეთად შეაფასეს“. „უთმებოთ რა მეშველება?“ — გაკვირვებით შემომხედა ბორიამ. „ისევ გაგეზრდება“, — ვუპასუხე დაბეჯითებით. და წავედით ლენინგრადის საუკეთესო რესტორანში, რომელიც სასტუმრო „ევროპეისკაიასთან“ იყო... მშვენიერი საღამო გავატარეთ“.

თავიდან ოთარ ფაცაცია საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, შემდეგ კომუნალურ ბინაში ერთი კუთხე დაიქირავა თვეში 150 მანეთად. 18-მეტრიან ოთახში ფიცრის საწოლზე ეძინა, რომელსაც ფიცრისავე სასთუმალი ჰქონდა. „ბევრი ადამიანი ცხოვრობდა ამ სივიწროვეში, აბაზანაში შესასვლელად რიგში უნდა ჩამდგარიყავი...“

ბატონი ამბაკო შესამოწმებლად კვლავ თავს დაადგა, ამჯერად — ნევის ნაპირზე. „რევიზიის“ შედეგებით კმაყოფილი დარჩა. მოელაპარაკა დიასახლისს, რომ 500 მანეთს გამოუგზავნიდა, თუ მის ვაჟს სადილსაც მოუმზადებდა და ტანსაცმელსაც გაურეცხავდა: „შენ დრო მხოლოდ სწავლაზე უნდა დახარჯო“, — უთხრა შვილს.

დიასახლისი, ევდოკია ანდრიას ასული სიზოვა, კეთილი გულის ადამიანი გამოდგა. გადაიტანა ბლოკადა, ღრმად მორწმუნე იყო და სტუდენტს, როგორც საკუთარ შვილს, ისე უვლიდა. ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელიც სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა და უქმე დღეებში შინ მოდიოდა. მაგიდასთან დასვამდა ორივეს სიზოვა და ჩვეულებრივ უფრო დიდ ულუფას შესთავაზებდა სტუმარს შორეული საქართველოდან. ეს თვალშისაცემი იყო და ოთარი ყოველთვის შენიშნავდა ევდოკია ანდრიას ასულს, რომ თანაბრად გაეყო საჭმელი. „ჭამე, ოთარიკო, ჭამე, — უპასუხებდა დიასახლისი, — ჩემი უქნარა სასწავლებელშიც შეჭამს“.

...ორი ათეული წლის შემდეგ ოთარ ფაცაცია ჩავიდა ლენინგრადში და ესტუმრა სიზოვას, შევიდა ოთახში და შირმის უკან ის ფიცრის საწოლი დახვდა, რომელზეც ორწელიწად-ნახევარი იწვა. წაიყვანა ევდოკია ანდრიას ასული ავეჯის უახლოეს მაღაზიაში და ყველაზე უკეთესი ტახტი უყიდა.

## ჯიქის ნახტომი

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ოთარ ფაცაცია ინგირის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში გაანაწილეს. დაიწყო საქონელმცოდნიდან, იყო ნორმადარი, ინჟინერი. ნახევარ წელიწადში ფაბრიკის პროფკავშირულ კომიტეტს ჩაუდგა სათავეში.

შემდეგ ზუგდიდის პარტიის რაიკომში მიიწვიეს სამუშაოდ. ორ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს იმუშავა მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებაში ინსტრუქტორად. ამას მოჰყვა არაჩვეული ნახტომი საკარიერო კიბეზე, ისეთი, როგორიც მხოლოდ ჯიქს შეუძლია: ინსტრუქტორობიდან განყოფილების გამგის და მესამე მდივნის თანამდებობებისთვის გვერდის ავლით, რაიკომში მეორე კაცის სავარძელი დაიკავა. მალე მხარეში პირველი კაცი გახდა: 1963 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის პარტიის სამრეწველო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს.

1965 წელს გარდაიცვალა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის დირექტორი ბესარიონ ჯანაშია. ოთარ ფაცაცია საქართველოს კომპარტიის ცკ მეორე მდივანთან — პეტრე როდიონოვთან მივიდა და უთხრა, რომ სურს სპეციალობით მუშაობა, რადგან უმაღლესი განათლების მქონე მექაღალდეა. როდიონოვმა მოუწონა და თქვა, რომ პირველად ხედავს ადამიანს, რომელიც პარტიული სამუშაოდან სამეურნეოზე გადადის.

> **ოცი წლის შემდეგ ბედმა ინება, რომ ოთარ ფაცაცია მეორედ შესულიყო ერთსა და იმავე მდინარეში. კომუნისტური პერიოდისგან განსხვავებით, პირველ პირს ევალებოდა კონფლიქტური მხარეების — მხედრიონელებისა და ზვიადისტების მშვიდობიანად დაშორიშორება**

> **ენგურის კომბინატს ნიწვოვანი ხეტყის მასალას სვანეთიდან აწვდიდნენ, უფრო ზუსტად, მოჭრილ მორებს ენგურით ზუგდიდამდე ჩამოაცურებდნენ. ახალმა დირექტორმა შეძლო სვანეთის ტყეების — ბუნების ამ უნიკალური ძეგლის — გაჩეხვის მინიმიზება**



ლტოლვილების გადასვლა ჭუმბერზე

## ოთარ ფაცაციას „ატომური ბომბი“

უინსტონ ჩერჩილმა სტალინზე თქვა, — ჩაიბარა კავის რუსეთი და დატოვა ატომური ბომბითო. ზუგდიდის რაიონის მასშტაბით სწორედ ასეთი გმირობა ჩაიდინა ოთარ ფაცაციამ. მან ჩაიბარა საწარმო, რომელის სულს ღაფავდა, რომელშიც 700 ადამიანი მუშაობდა და რომელიც წელიწადში 7 მილიონი მანეთის ზარალს იძლეოდა. ორი წლის შემდეგ სამუშაო ადგილების ოდენობამ უკვე 4500 შეადგინა და საწარმოს მოგებამ 25 მილიონს გადააჭარბა.

ენგურის კომბინატს წიწვოვანი ხეტყის მასალას სვანეთიდან აწვდიდნენ, უფრო ზუსტად, მოჭრილ მორებს ენგურით ზუგდიდამდე ჩამოაცურებდნენ. ახალმა დირექტორმა შეძლო სვანეთის ტყეების — ბუნების ამ უნიკალური ძეგლის — გაჩეხვის მინიმიზება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სვანეთის ტყეები შეტანილ იქნა კაცობრიობის მემკვიდრეობის ობიექტების იუნესკოსეულ სიაში. 1976 წელს მერქნის ჩამოტანა დაიწყეს უდმურტეთიდან, 1980 წლიდან კი ენგურის კომბინატში საერთოდ უარი თქვეს მერქნის ეკოლოგიურად მავნე გადამუშავების მეთოდზე და გადავიდნენ ბრატსკიდან და არხანგელსკიდან გამოგზავნილი ცელულოზიდან ქაღალდის ნაკეთობათა დამზადებაზე.

ენგურის კომბინატი გახდა საბჭოთა კავშირში პირველი საწარმო, რომელშიც მუშებისთვის შემოიღეს კვების შვედური სისტემა — „შვედური მაგიდა“.

ოთარ ფაცაცია იხსენებს: „შუა 1980-იან წლებში ჩვენი საწარმოს თანამშრომლების საკუთარი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის იდეა დაგვებადა. მოსკოვში, დარგობრივ სამინისტროში მხარი დაგვიჭირეს, გამოგვიყვეს საჭირო სახსრები. საკითხი დადგა, თუ ვინ უნდა დაგვენიშნა ჩვენთვის ახალი სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ხელმძღვანელად.

ადგილობრივი კადრებიდან არავინ გამოგვადგებოდა. ვეძებე და ვიპოვე თემურ ქარჩავა. გაგვიმართლა ამ კაცმა: რამდენიმე წელიწადში, არ მოვერიდები ასეთ შეფასებას, ჩვენს რეგიონში რევოლუცია მოახდინა — გამოუსადეგარი, ჭაობიანი მიწები, რომლებიც ჩვენ გამოგვიყვეს, ნაყოფიერ სავარგულებად აქცია. ავაშენეთ მეცხოველეობის კომპლექსები, მათ შორის, კამეჩების ფერმა, ჰოლანდიური ტიპის სათბურები და ასე შემდეგ. შედეგად, ჩვენი მუშები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით მოვამარაგეთ. „შვედური მაგიდა“ ჩვენს მუშას ერთი მანეთი უჯდებოდა“.

კომბინატის ირგვლივ ახალი, თანამედროვე ქალაქი გაშენდა, რომელსაც ხუმრობით ოთარგრადი უწოდეს.

## პრემიერის სავარძელი მას ელოდებოდა

1992 წლის აპრილი იდგა. ოთარ ფაცაციას კაბინეტში ედუარდ შევარდნაძემ დარეკა: „გამარჯობა, ბატონო ოთარ, როგორ ხარ?“. „ვემზადები პენსიაზე გასასვლელად“, — უპასუხა ოთარმა. „რომელ პენსიაზე ლაპარაკობთ, იპოვეთ დრო, საქართველოს ახლა რომ უღალატოთ?“ — ხმამაღლა წარმოთქვა შევარდნაძემ და ყურმილი დააგდო. მეორე დილით ზუგდიდში ჩავიდა სახელმწიფო საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე თემურ ფიფია და ჩაიტანა ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერილი განკარგულება ოთარ ფაცაციას ზუგდიდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე.

ასე, ოცი წლის შემდეგ ბედმა ინება, რომ ოთარ ფაცაცია მეორედ შესულიყო ერთსა და იმავე მდინარეში. კომუნისტური პერიოდისგან განსხვავებით, პირველ პირს ევალებოდა კონფლიქტური მხარეების — მხედრიონელებისა და ზვიადისტების მშვიდობიანად დაშორიშორება. ერთი ▶

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროს ლევან ქარდავას „არ ახსოვს“, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს

◀ წლის განმავლობაში ხუთჯერ ესროლეს ზუგდიდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მანქანას, ერთხელ დაიჭრა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ცაცა შელია, რომელიც ოთართან ერთად მგზავრობდა.

1993 წლის აგვისტოში ოთარ ფაცაცია სასწრაფოდ მიიწვიეს თბილისში სახელმწიფო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. ქუთაისში ჩასასვლელად ვერტმფრენი გამოუგზავნეს (სამეგრელოს ტერიტორიას მაშინ ლოთი ქობალიას რაზმები აკონტროლებდნენ).

ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში ფაცაცია პირისპირ შეხვდა შევარდნაძეს. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 50 წუთის განმავლობაში ცდილობდა, დაერწმუნებინა ოთარ ფაცაცია, ამ მძიმე დროს, როცა დაიწყო აფხაზეთის ომი, როცა გრძელდება სამოქალაქო დაპირისპირება, სწორედ იგი უნდა ჩასდგომოდა სათავეში საქართველოს მთავრობას.

პრემიერმინისტრად 26 თვე იმუშავა.

40 დღე ჭუბერში იყო, უზრუნველყოფდა ლტოლვილების უღელტეხილზე გადმოსვლას უმძიმეს პირობებში.

### 30 წუთი ბრძანების შესასრულებლად

აფხაზეთის ომის შემდეგ ასიათასობით ლტოლვილი გაჩნდა საქართველოში, გრძელდებოდა ზვიადისტების თავდასხმები. პრემიერმინისტრს მოახსენეს, რომ ჰუმანიტარული კატასტროფა კარსაა მომდგარი, ფქვილი და ხორბალი მხოლოდ 48 საათისთვის არის საკმარისი, ხოლო გემი, რომელსაც ხორბალი მოაქვს საქართველოსთვის, მხოლოდ 18 დღეში შემოვა ფოთში. მიიღეს სხვა ინფორმაციაც: ფოთიდან ბაქოსა და ერევნისკენ ხორბლით დატვირთული 25-25 ვაგონი დაიძრა. **ოთარ ფაცაციამ კაბინეტში გამოიძახა რკინიგზის უფროსი რემი ვაშაკიძე და უბრძანა: 10-10 ვაგონი ჩამოეხსნა აზერბაიჯანისა და სომხეთისკენ მიმავალი შემადგენლობებისთვის და მიეწოდებინათ საქართველოს საფქვავი კომბინატებისთვის. „ამის გაკეთება შეუძლებელია“, — უპასუხა რემიმ. „მე თქვენ გიბრძანებთ!“. „მაშინ, თუ შეიძლება, ეს ბრძანება წერილობითი ფორმით გადმომეცით“, — სთხოვა რკინიგზის უფროსმა. „წერილობითი ფორმით იქნება განკარგულება თქვენი მოხსნის შესახებ, — უპასუხა პრემიერმინისტრმა, — ოცდაათ წუთს გაძლევთ ბრძანების შესასრულებლად და არც ერთი წუთით მეტს!“.** ერთ უბედურებას მეორე მოსდევდა. რუსეთმა შეწყვიტა გაზის მოწოდება 6 მილიონი მანეთის დავალიანების გამო... იგივე ბრძანება, რომელიც რემი ვაშაკიძეს მიეცა, გაუმეორა ოთარ ფაცაციამ საქართველოს გაზის მრეწველობის სამმართველოს უფროს დავით ელიაშვილს: რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთისთვის გამავალი გაზი გადაემისამართებინა თბილსრესისთვის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე შევიდა ედუარდ შევარდნაძესთან და ვითარების შესახებ მოახსენა. „შეიძლება, ახლა დაგირეკონ ალიევმა და პეტროსიანმა, — უთხრა შევარდნაძეს ფაცაციამ, — მაგრამ მე სხვა გამოსავალი არ მქონდა სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად“.

სამი კვირის შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთს დაუბრუნეს რეკვიზირებული ხორბალი, გამონახეს სახსრები გაზის დავალიანების დასაფარადაც.

მოსკოვში, დსთ ქვეყნების მეთაურების სამიტზე შევარდნაძე და ფაცაცია სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა მიიწვია. ბატონმა ოთარმა მობოდიშება დაიწყო, მაგრამ ტერ-პეტროსიანმა შეაწყვეტინა: „არა უშავს. მე ყველაფერი ვიცი. იმიტომ ვართ მეზობლები, რომ გაჭირვებაში ერთმანეთს დავეხმაროთ“.

### ელცინის არყის ბოთლის სამალავი

1994 წელს ბორის ელცინი თბილისში ერთი დღით ჩამოვიდა. მოსკოვში დაბრუნების წინ იგი და მისი თანმხლები პირები „მეტეხი პალასის“ რესტორანში დაპატიჟეს. 100 კაცამდე შეიკრიბა მდიდრულად გაწყობილ ქართულ სუფრაზე.

ელცინის მარცხნივ ედუარდ შევარდნაძე იჯდა. იგი სუფრას თამადობდა, მარცხენა მხარეს — ოთარ ფაცაცია.

„მე დავინახე კონიაკით ელცინის ჭიქის შევსება, — იხსენებს ექსპრემიერი, — უცებ მის ზურგს უკან გამოჩნდა პრეზიდენტის თანმხლები დელეგაციიდან ერთ-ერთი და ჟესტებით მიმანიშნა, არ დამესხა კონიაკი. გულის ჯიბიდან არყის ბოთლი ამოიღო და რუსეთის პრეზიდენტს ჭიქა აუვსო“. საათ-ნახევარი გაგრძელდა პურის ჭამა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს პრემიერმინისტრი კონიაკს სვამდა, რუსეთის პრეზიდენტს კი არაყს უსხამდნენ გულის ჯიბეში დამალული ბოთლიდან.

### როცა სხვისი ბედნიერებით ხარ ბედნიერი

„ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია, სიცოცხლეა, — წერდა ნიკოლაი ოსტროვსკი, — იგი მას ერთხელ ეძლევა და ისე უნდა იცოცხლო, რომ არ შეგრცხვეს უმიზნოთ გატარებული წლების“. ოთარ ფაცაცია ყოველთვის ცხოვრობდა და ცხოვრობს ნამდვილი ცხოვრებით. ნამდვილი ცხოვრება კი ისაა, როცა ადამიანი სხვისი ბედნიერებითაა ბედნიერი. ოთარ ფაცაციათი, ამ მამულიშვილით, პატრიოტით, დამსახურებული პიროვნებით ამაყობს საქართველო.

**ბესიკ ფიფია,**
**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ბატონ ოთარს 85 წლის იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.**

## რატომ არ იძვრის ადგილიდან საზოგადოებრივი მოძრაობა «სამეგრელოს» ოფისში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურის საქმის გამოძიება


ზურაბ კვარაცხელია

**უკვე რამდენიმე კვირაა, ყველა საინფორმაციო საშუალება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში აღმოჩენილ მოსასმენ აპარატურაზე საუბრობს. მთავრობის წარმომადგენლებიცა და პარლამენტარებიც თითქმის განუწყვეტლივ იმეორებენ, რომ სასტიკად უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე, რომლებმაც ეს ჩაიდინეს და გაბედეს „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელების მოსმენა. სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების აზრით კი, „რუსთავი 2“-ის შეფმა ნიკა გვარამიამ მოსასმენი აპარატურა თვითონ დაამონტაჟა, სკანდალი რომ აეგორებინა და „ღია საზოგადოება — საქართველოს“ აქცია „ეს შენ გეხება“-სთვის ერთგვარი მხარდაჭერა გამოეხატა. უკვე რამდენიმე თვეა, აქცია მიმდინარეობს და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მოსმენების აკრძალვასა და მოსასმენი აპარატურის განადგურებას მოითხოვს.**

ამ საკითხზე პრემიერმინისტრმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „მე ვიცი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში ბევრი პროფესიონალი და ნიჭიერი ჟურნალისტი მუშაობს. უბრალოდ, მათ უნარსა და პროფესიონალიზმს ცუდი მიმართულებით იყენებს ხელმძღვანელობა...“ ამ კომენტარიდან ძალიან მალე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მესამე ნაწილით, კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის უკანონოდ მოპოვებისა და გავრცელების ფაქტზე.

რამდენიმე თვის წინათ, როცა საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს, რომელიც, სავარაუდოდ, ახალი ხელისუფლების პირობებში იყო ჩამონტაჟებული, მაშინვე ხმაური ატეხა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ კვარაცხელიამ. მან პროკურატურაშიც შეიტანა სარჩელი და პრესასაც მიაწოდა ინფორმაცია. ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენეთ ყველა შესაბამისი უწყება, მათ შორის, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსი ლევან ქარდავა, რომელიც დაგვპირდა, რომ პირადად გამოიძიებდა აღნიშნულ საქმეს.

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, უფრო ზუსტად კი, მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე სასწრაფოდ დაიწყო გამოძიება და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, „საქართველო და მსოფლიო“ ზუგდიდში მომხდარი ფაქტით დაინტერესდა — თუ რა პროცესშია ძიება და ახალი გარემოებები ხომ არ გამოიკვეთა.



**«ისინი, ვინც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მოსმენებზე მუშაობდნენ, კვლავ თანამდებობებზე რჩებიან, უფრო მეტიც, დაწინაურდნენ კიდეც, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ საბოტაჟიც კი იყოს»**

გვესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე **ზურაბ კვარაცხელია.**

**— ბატონო ზურაბ, რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენს ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეთ, ვიცი, რომ საქმე პროკურატურაშია. როგორ მიმდინარეობს გამოძიება?**

— პროკურატურაში განცხადება თებერვალში შევიტანე, მაგრამ დღემდე პასუხი არ არის.

**— არანაირი რეაქცია არ მოჰყვა ამ საქმეს?**

— საქმე დაეწერა გამომძიებელ პაატა დარასელიას, მაშინვე დაიკითხა ჩვენი რამდენიმე თანამშრომელი, ნივთმტკიცებაზე თქვეს, რომ ნამდვილად მოსასმენი აპარატურა იყო, მაგრამ ექსპერტიზაზე მაინც წაიღეს; გვითხრეს, რომ ეს აუცილებელი პროცედურაა და ახლა სწორედ ამ ექსპერტიზის პასუხის მოლოდინში ვართ.

**ორი დღის წინათ პირდაპირ განვუცხადე გამომძიებელს, ამ საქმეს არავინ გამოიძიებს-მეთქი. მიპასუხა, მთლად ეგრეც არ არის, პასუხი აუცილებლად მოვა, როგორც კი რამეს შევიტყობ, გაგაგებინებთო.**

**პაატა დარასელია,** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს გამომძიებელი:

**— ბატონო პაატა, საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურის საქმეში ახალი გარემოებები ხომ არ არის?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავს პრესსამსახური და შეგიძლიათ მას მიმართოთ.

**— ვიცით, რომ პრესსამსახური არსებობს, მაგრამ საქმე უშუალოდ თქვენს ხელშია. გაგაფრთხილეს, რომ პასუხი არავის გასცეთ?**

— მიმართეთ პრესსამსახურს...

დავუკავშირდით **ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროს ლევან ქარდავას,** რომელმაც გვითხრა, რომ ასეთი ფაქტი არ ახსოვს და თანაც, ეს მისი პრეროგატივა არ არის. შევეცადეთ, გაგვეხსენებინა მისთვის საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის ფაქტი, რომლითაც, დაპირებისამებრ, პირადად უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ ამაოდ...

**ირმა ჭაადუა,** უფლებადამცველი:

**— ქალბატონო ირმა, მოსმენების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვით, მაგრამ ვერაფერს გახდით. ეს პროცესი კვლავ გრძელდება და თანაც ზოგი საქმე სააშკარაოზე გამოდის, ზოგიც უყურადღებოდ რჩება.**

**— მოსმენები დღეს ისევ გრძელდება, ორი აზრი არ არსებობს. ახლა ერთი საქმე მაქვს აღებული და ზუსტად ვიცი, რომ მისმენენ. ეს არის ლატარიის გახმაურებული საქმე, როგორც კი ჩემი კლიენტი დამირეკავს, ზუსტად ერთ წუთში რეკავს გამომძიებელიც. ისეთი უნიჭოები არიან, რომ იმასაც ვერ ხვდებიან, როდის დამირეკონ, საკუთარ თავს ყიდიან.**

უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრ, უმნიშვნელო ორგანიზაციასაც კი უსმენენ.

**— დიახ, ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციაში რამდენიმე თვის წინათ მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს და ეს საქმე დღემდე გამოძიებული არ არის, „რუსთავი 2“-ის საქმე კი მაშინვე დაიძრა...**

**— ისინი, ვინც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მოსმენებზე მუშაობდნენ, კვლავ თანამდებობებზე რჩებიან, უფრო მეტიც, დაწინაურდნენ კიდეც. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ საბოტაჟიც კი იყოს.**

ასეთი ფაქტების არსებობა ახალი ხელისუფლების ინტერესებში ნამდვილად არ შედის. ვიცი, რომ დღეს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოცადეს მოსმენების სიმწარე.

ვთვლი, რომ უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც მსგავს ქმედებას ჩაიდენს. უკანონო მოსმენა დიდი დანაშაულია, ყველა ასეთი ფაქტი გამოძიებული უნდა იქნას.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ინსპექტორის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ უპილოტო საფრენ აპარატებს 2200 ადამიანი ემსხვერპლა და მათგან 600-მდე სამოქალაქო პირია.**

# 330 უპილოტო დარტყმა — ობამას პრეზიდენტობის მონაგარი



**2009 წლის 23 იანვარს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უპილოტო საფრენმა აპარატმა მიწასთან გაასწორა სახლი პაკისტანის ერთ-ერთ კომპაქტურად დასახლებულ რაიონში. ეს დარტყმა განხორციელდა ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ოფიციალური დასაწყისიდან სულ რაღაც სამი დღის შემდეგ.**



თავდაპირველად გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ამ დარტყმის შედეგად ათი ბოევიკი მოკლეს, მაგრამ მალე გახმაურდა მონაცემები მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვის შესახებაც. ათიდან, სულ მცირე, ცხრა სამოქალაქო პირი იყო და ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. ამ ოჯახიდან ერთადერთი გადარჩენილი ოთხი წლის ბიჭი იყო.

მეორე დღეს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ კიდევ ერთი დარტყმა განახორციელა და არც ის აღმოჩნდა წარმატებული. ამ თავდასხმის შედეგად ხუთიდან ათამდე მშვიდობიანი მოქალაქე მოკვდა.

პირველ დარტყმამდე ზუსტად სამი დღით ადრე ბარაკ ობამამ აშშ-ის პრეზიდენტის რანგში თავისი პირველი გამოსვლისას განაცხადა: „ამერიკა ყველა ერის მეგობარია და ყველა ხალხს აქვს იმ მომავლის იმედი, რომელშიც მშვიდობა, სიმშვიდე და პატივისცემა დაისადგურებს“.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე პაკისტანში, იემენსა და სომალიში კომპაქტურად დასახლებული რაიონები რეგულარულად განიცდიდნენ ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების თავდასხმებს; ამასთან, ვაშინგტონი ირწმუნება, რომ მისი მიზანი მხოლოდ ბოევიკების განადგურებაა. მიუხედავად ამისა, დაბომბვების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვებისა და ქალების დახოცვამ მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობა ვაშინგტონსა და ისლამაბადს შორის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ასევე დაგმო ამერიკული დრონების შეტევები და განაცხადა, რომ ეს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა.

მიუხედავად ამისა, ობამას პრეზიდენტობისას უპილოტო საფრენ აპარატებს გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ოდესმე. გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, **აშშ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილებების ობამას ხელში გადასვლის შემდეგ დრონებმა 330-ზე მეტი დარტყმა განახორციელეს, ობამას წინამორბედი ბუშის პრეზიდენტობისას კი — მხოლოდ 51.**

**ობამას პრეზიდენტობის წლებში უპილოტო საფრენმა აპარატებმა პაკისტანში, იემენსა და სომალიში 390 სხვადასხვა ოპერაცია შეასრულეს, რაც ცხრაჯერ მეტია, ვიდრე იყო ამერიკის წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების მთელი ვადის მანძილზე.** ამ ოპერაციების შედეგად მოკლულ იქნა 2400-ზე მეტი ადამიანი და მათგან, სულ მცირე, 273 სამოქალაქო პირი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ობამას პერიოდში განხორციელებული დარტყმებისას გარდაცვლილთა რაოდენობა ექვსჯერ უფრო მეტია, ვიდრე ბუშის მიერ განხორციელებული დარტყმებისას იყო.

**ობამას პრეზიდენტობის წლებში უპილოტო საფრენმა აპარატებმა პაკისტანში, იემენსა და სომალიში 390 სხვადასხვა ოპერაცია შეასრულეს, რაც ცხრაჯერ მეტია, ვიდრე იყო ამერიკის წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების მთელი ვადის მანძილზე**

იემენში იზრდება შეტევებისას დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა. განსაკუთრებით მკვეთრად მათი რაოდენობა 2013 წელს გაიზარდა, თუმცა დასახული მიზნების განსახორციელებლად ამ ქვეყანაში ობამას მთავრობა ფრთოსან რაკეტებსაც იყენებს. მაგალითად, 2009 წლის 17 დეკემბრის შეტევის შედეგად 41 მშვიდობიანი იემენელი მოკლეს, მათ შორის 21 ბავშვი იყო და 12 ქალი. სხვათა შორის, ამ ოპერაციამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე ბარაკ ობამამ მშვიდობის ნობელი მიიღო. თუ პაკისტანში ბომბებით დარტყმებს მხოლოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ახორციელებს, იემენში იგივე უწყება მოქმედებს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების გაერთიანებულ მეთაურობასთან ერთად და შეტევებისთვის სხვადასხვა სახის ტექნიკას, მათ შორის უპილოტო საფრენ აპარატებს, ფრთოსან რაკეტებსა და საბრძოლო გამანადგურებლებს იყენებს. ამასთან, უკანასკნელ წლებში ამგვარი ოპერაციების ჩატარებისთვის იემენში უპირატესობა უპილოტო საფრენ აპარატებს ენიჭება.



**აშშ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილებების ობამას ხელში გადასვლის შემდეგ დრონებმა 330-ზე მეტი დარტყმა განახორციელეს, ობამას წინამორბედი ბუშის პრეზიდენტობისას კი — მხოლოდ 51**

პრეზიდენტ ბუშის პერიოდში იემენში მხოლოდ ერთი ამგვარი ოპერაცია ჩატარდა და მას ექვსი ადამიანი ემსხვერპლა. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის თანხმად, ობამას პრეზიდენტობისას იემენში შეტევა უკვე 58-ჯერ განხორციელდა და დაღუპულთა რაოდენობა 281-ს აღწევს.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, იემენში ასევე ჩატარდა 11-მდე ოპერაცია, რომელთა შედეგად დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა 24-დან 44-მდეა.

ამგვარი შეტევების გახშირება ხდება თეთრი სახლის სრული დუმილის ფონზე — არავინ აკეთებს რაიმე კომენტარს მსგავსი ოპერაციების ჩატარების მიზეზების თაობაზე. მოცემულ ეპიზოდებთან დაკავშირებით ობამას პირველი განცხადება მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაჩნდა. 2012 წლის იანვარში მან განაცხადა: „უპილოტო საფრენი აპარატების ოპერაციების შედეგად დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელო იყო. შეტევები „ალ ქაიდასთან“ ურთიერთობის მქონე ძალებზე დიდი სიზუსტით ხორციელდებოდა“.

შარშან ამერიკის პრეზიდენტმა ვაშინგტონში ნაციონალური თავდაცვის უნივერსიტეტში გამოსვლისას მისი მთავრობის მიერ დრონების გამოყენების გასამართლებლად აღნიშნა: „ჩვენ ომს ვაწარმოებთ ისეთ ორგანიზაციასთან, რომელიც, თუ ხელს არ შევუშლით, ამერიკელებს გაანადგურებს ყველგან, სადაც კი შეძლებს. როგორც არ უნდა იყოს, ეს ომია. ჩვენს ნაციას ამ დრომდე ემუქრებიან ტერორისტები“.

თეთრი სახლის მიერ ამ თემაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ანგარიშში წერია: „კანონისა და მორალის თვალსაზრისით, „ალ ქადას“ წევრების გასანადგურებლად უპილოტო საფრენი აპარატების მთელ მსოფლიოში გამოყენება სწორია. „ალ ქაიდას“ და ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ოპერაციის ჩასატარებლად ნებართვისთვის სადაზვერვო სტრუქტურებთან მიმართვა საჭირო არ არის, ამიტომ ამერიკის ხელისუფლებას ამ საკითხში დამოუკიდებლად მოქმედება შეუძლია.

სხვა წყაროების ცნობით, ამგვარი ოპერაციების შედეგად 236 სამოქალაქო პირი, მათ შორის 61 არასრულწლოვანი, იქნა განადგურებული. საინფორმაციო საშუალებების მტკიცებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთ საიდუმლო ანგარიშში აღნიშნულია, რომ მრავალი ოპერაციის განხორციელებისას აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნდათ ზუსტი მონაცემები თავდასხმის ობიექტის შესახებ, ამიტომ 2010 წლის სექტემბრიდან დღემდე ამერიკული დრონების თავდასხმებს 482 ადამიანი შეეწირა. თავის მხრივ ამერიკის იუსტიციის სამინისტრო თავის ერთ-ერთ საიდუმლო ანგარიშში აღნიშნავს, რომ აშშ-ს ამგვარი ქმედებების კანონიერი ახსნა აქვს.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში ერთდროულად ორმა ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღნიშნა საკუთარ ანგარიშში, რომ აშშ-ის ოფიციალური პირების განცხადება, რომ მსხვერპლი მცირერიცხოვანი იყო, სიმართლეს არ შეესაბამება. მაგალითად, ამერიკულმა უფლებადამცველმა ორგანიზაცია „Human Rights Watch“-მა მხოლოდ ექვსი შეტევის შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 57-ია და მათ შორის სამი ბავშვია.

**გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ინსპექტორის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ უპილოტო საფრენ აპარატებს 2200 ადამიანი ემსხვერპლა და მათგან 600-მდე სამოქალაქო პირია.**

Jamejam online

მოკლედ

## სიტყვის თავისუფლება ბრიტანულად

**ბრიტანული გამოცემა The Guardian-ის მოდერატორებმა „პრორუსული ტროლების“ (სინამდვილეში — იმ ინგლისელების, რომლებიც ოფიციოზის თვალსაზრისს არ ეთანხმებიან) 500 კომენტარი წაშალეს.**

ევროპა და აშშ, უკვე დიდი ხანია, ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას მიმართავენ — ზოგჯერ ისეთ ზოგადსაკაცობრიო ლოზუნგს წამოაყენებენ, ვერ შეეკამათები, მაგრამ ისე მოქმედებენ, როგორც მათ ხელს აძლევთ. ასე იქცევიან ყბადაღებული სიტყვის თავისუფლების მიმართაც.

რამდენიმე დღეა, ბევრი ბრიტანელი გამოხატავს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ცნობილი ბრიტანული გამოცემის — „გარდიანის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მათი კომენტარი ელვის სისწრაფით იშლებოდა.

„გარდიანის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების რედაქტორმა კრის ელიოტმა აღიარა, რომ მან, უბრალოდ, წაშალა 500 კომენტარი, რომლებიც უკრაინაში მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა, რადგან მიაჩნია, რომ პრორუსულად განწყობილი ადამიანისგან იყო.



**რუსეთში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ჯეკ მეტლოკმა განაცხადა: „ამერიკული ხელისუფლებების ნამსახურეობის ჩანაწერები ადასტურებს, რომ ისინი უგულებელყოფენ ნებისმიერ ტერიტორიულ მთლიანობას, როდესაც ეს ხელს აძლევთ. ისევე, როგორც მაშინ, როდესაც ნატოელ მოკავშირეებთან ერთად დაარღვიეს სერბეთის ტერიტორიული მთლიანობა, შექმნეს და შემდეგ დამოუკიდებლადაც აღიარეს კოსოვო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკა 35 ქვეყანაში უჭერდა მხარს ფაშისტებს, ნარკობარონებსა და ტერორისტებს

**სხვა ქვეყნების შიდა კონფლიქტებში სამხედრო ჩარევა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ეს „ჩვეულებრივი მოვლენა“ ათწლეულების განმავლობაში მუშავდებოდა და ახლა უკვე აქვს მიზნების, მეთოდებისა და იურიდიული საფუძვლების მკაცრად ჩამოყალიბებული სისტემა.**

თავისი სამხედრო მიზნების განხორციელებისთვის აშშ-ს ზემოქმედების შემდეგი ინსტრუმენტები აქვს: მთელი რიგი სამხედრო ბაზებისა მთელ მსოფლიოში (პენტაგონის სიის თანახმად, მათი რაოდენობა 865-ს აჭარბებს, მაგრამ, თუ ერაყსა და ავღანეთში განლაგებულ ბაზებსაც მივათვლით, ათასზე მეტი იქნება); საინფორმაციო მანქანა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ნებისმიერი მიმართულებით შეტრიალება შეუძლია; მსოფლიო სავალუტო ბანკი და სხვა ბანკები, რომლებიც სხვა ქვეყნების ეკონომიკებს კრედიტებით აკაბალებენ და ხელს უშლიან მათი გადახდის სისტემების ნაციონალიზაციას; მთელი მსოფლიოს თვალთვალის სისტემა.

გარდა ამისა, აშშ-ის ყველა უცხოურ ინტერვენციას ნათელი იურიდიული საფუძვლები აქვს: ეს არის თეზისი, საზღვარგარეთ მყოფი ამერიკის მოქალაქეების დაცვის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა წამოაყენა (გრენადა, პანამა); ეს არის მონროს დოქტრინა, რომელიც უფლებას იძლევა, ერთპიროვნულად დაიცვას ამერიკის კონტინენტი, სინამდვილეში კი ჩაერიოს სხვა ქვეყნების საქმეებში, თუ ამერიკელთა ინტერესებს რაიმე საფრთხე დაემუქრება (ერაყი, ავღანეთი) და ეს არის იმ ხალხთა „ჰუმანიტარული“ დახმარება, რომლებიც „სისხლიანი“ რეჟიმების უღელქვეშ „იტანჯებიან“ (იუგოსლავიისა და ლიბიის „ჰუმანიტარული“ დაბომბვა).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან პირველივე წლებში ეს იყო ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნიზმის წინააღმდეგ. კომუნიზმი მაშინ საბჭოთა კავშირის სახით სამხედრო ძლევამოსილებისა და სოციალური დაპყრობის დემონსტრირებას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის ნებისმიერი მცდელობა, მოკავშირეები ეპოვა, ყველა კონტინენტზე მკაცრად იდევნებოდა. ამის შემდეგ ვაშინგტონმა საფრთხე დაინახა მორალურად და იდეოლოგიურად გაცილებით უფრო ძლიერ ისლამურ საზოგადოებაში. გამოგონილ და შექმნილ იქნა ისლამისტური საფრთხე, შიიტები სუნიტებს დაუპირისპირეს, ერთნი მტრებად აქციეს, მეორენი კი — მოკავშირეებად.

ამ ყველაფრის პარალელურად ანადგურებდნენ მეორე ძლიერ მტერს — მართლმადიდებელ ქვეყნებს. ჯერ გაანადგურეს იუგოსლავია მართლმადიდებელი სერბეთით, საბერძნეთი კრედიტებით გააკოტრეს, თითქმის წაეპოტინენ უკრაინას რუსეთზე დამიზნებით. ახლა უკვე კომუნისტური ჩინეთის — მსოფლიო ლიდერობისთვის საკმარისი პოტენციური სიმძლავრის მქონე სახელმწიფოს დრო დგება.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამონახა მიზეზები საიმისოდ, რომ მთელ აზიაში განეთავსებინა სამხედრო ბაზები ისე, რომ სამომავლოდ, საჭიროების შემთხვევაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე დარტყმის საშუალება ჰქონოდა. იქმნება კონფრონტაციის კერები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. როგორც ჩანს, ავღანეთიდან ამერიკული ჯარების გასვლის შემდეგ დადგება დრო, აშშ-მა განსაზღვრული კონტინგენტი შეიყვანოს რომელიღაც კუნძულზე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მოკავშირეების — იაპონიის, სამხრეთ კორეის ან ფილიპინების დასაცავად.

ამ ყველაფრიდან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოები შეძლებენ, დაუპირისპირდნენ ვარსკვლავ-ზოლოვან მანქანას, რომელიც საკუთარ გზაზე ყველაფერს ანადგურებს.

ამერიკამ მსოფლიოს 35 ქვეყანაში დაუჭირა მხარი ნარკობარონებს, ფაშისტებსა და ტერორისტებს. ეს ქვეყნებია: ავღანეთი, ალბანეთი, არგენტინა, ბრაზილია, კამბოჯა, ჩილე, ჩინეთი, კოლუმბია, კუბა, სალვადორი, საფრანგეთი, საბერძნეთი, განა, გვატემალა, ჰაიტი, ჰონდურასი, ინდონეზია, ირანი, ისრაელი, ერაყი, კორეა, ლაოსი, ლიბია, მექსიკა, მიანმა, ნიკარაგუა, პაკისტანი, საუდის არაბეთი, თურქეთი, პანამა, ფილიპინები, სირია, ურუგვაი, იუგოსლავია, ზაირი.

აქ არ ვისაუბრებთ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციებზე ამა თუ იმ ქვეყანაში ლეგიტიმური ხელისუფლებების დასამხობად, რადგან ამ ხელისუფლებებმა ვაშინგტონის დოქტრინას რაღაც დოზით გადაუხვიეს. აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში პრაქტიკულად ყველა სამხედრო გადატრიალება, რომლებიც კი ომის შემდგომ პერიოდში მომხდარა, ამგვარი ქმედებების ტიპიური მაგალითია. შევჩერდეთ მხოლოდ აშშ-ის მიერ განხორციელებულ პირდაპირ სამხედრო ინტერვენციებზე იმავე ომიუს შემდგომ პერიოდში:

**1. ფილიპინები,** 1945-1953 წლები. ამერიკელი კომანდოსების ბრძოლა ჰუკსის (Hukbong Bayan Laban sa mga Hapon — ეროვნული ანტიიაპონური არმია; Huks) ფილიპინების კომუნისტური პარტიის შეიარაღებული ფრთის წინააღმდეგ. კულმინაცია — ხელისუფლების სათავეში დიქტატორ ფერდინანდ მარკოსის მოსვლა (1965-1986);

**2. კორეა,** 1945-1953 წლები. მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია: დაიღუპა ასიათასობით კორეელი, ქვეყანა ორ ნაწილად აღმოჩნდა გახლეჩილი. აშშ ამ დრომდე მოკვეთილად ტოვებს ჩრდილოეთ კორეას და ყველანაირად ეწინააღმდეგება მის ინტეგრაციას მსოფლიო საზოგადოებაში;

**3. ვიეტნამი,** 1961-1973 წლები. ომის წლებში ვიეტნამი 2,5-მა მილიონმა ამერიკელმა ჯარისკაცმა გაიარა. ხო ში მინი უამრავ წერილს სწერდა პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს, სახელმწიფო დეპარტამენტს და ცდილობდა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზისთვის მიეგნო, მაგრამ მისი ყველა მცდელობა, ისევე, როგორც ყველა წერილი, იგნორირებულ იქნა მხოლოდ იმის გამო, რომ ხო ში მინი კომუნისტი გახლდათ;

**4. კამბოჯა,** 1970-1973 წლები. აშშ ორ თვეში გაუსწორდა პრინც სიანუკს. ამან გზა გაუხსნა პოლ პოტს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. მან და მისმა კომუნისტურმა მიმდინარეობამ „წითელმა ქიმერებმა“ კამბოჯელებს აურაცხელი უბედურება და განსაცდელი მოუტანეს. ამერიკული დაბომბვების ხუთი წლის შემდეგ გაქრა კამბოჯის ეკონომიკის ტრადიციული სექტორი — სოფლის მეურნეობა. ქვეყანას დღემდეც არ მოუთქვამს სული ჰუმანიტარული ტრაგედიის შედეგად;

**5. ლაოსი,** 1971-1973 წლები. ამ ქვეყანას უფრო მეტი ბომბი დაუშინეს, ვიდრე ფაშისტურ გერმანიას. ამერიკულ-საიგონური ჯარები ამერიკული ავიაციის მხარდაჭერით სამხრეთ ვიეტნამიდან სამხრეთ ლაოსის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ახალმა მმართველმა — ამერიკის მარიონეტმა ლონ ნოლოიმ უმალ გაგზავნა თავისი ჯარები ვიეტნამში;

**6. გრენადა,** 1983-1984 წლები. რაში სჭირდებოდა მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილ ქვეყანას 110-ათასიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში შეჭრა? ვაშინგტონს კიდევ ერთი კუბისა შეეშინდა;

**7. პანამა,** 1989 წელი. ნარკობარონის — პრეზიდენტ ედუარდო ნორიეგის შეპყრობის საბაბით რამდენიმედღიანი პირდაპირი კონფრონტაციის შედეგად 500-მდე ადამიანი დაიღუპა. არადა, პრეზიდენტ ბუშს მხოლოდ ის სურდა, რომ ნიკარაგუელებისთვის „გაეგზავნა მკვეთრი სიგნალი“, აღარ გაებედათ სანდინისტების არჩევა;

**8. ერაყი,** 2003-2010 წლები. ერაყი არაბულ სამყაროში მძლავრი სამხედრო ძალა იყო და სწორედ ეს წარმოადგენდა მის ერთადერთ „დანაშაულს“. ქიმიური იარაღის განადგურების საბაბით აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს ქვეყნის კანონიერი ხელისუფალი სადამ ჰუსეინის სახით და ქვეყნის ოკუპირება განახორციელეს. შედეგად, ერაყის ნავთობსაბადოები ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიების კონტროლს დაექვემდებარა. ახლა იქ სისხლისმღვრელი შეტაკებები მიმდინარეობს შიიტებს, სუნიტებსა და ქურთებს შორის;

**9. იუგოსლავია,** 1999 წელი. აქ ზემოხსენებულ მიზნებს ახალი დაემატა — მართლმადიდებლობისა და ისლამის დაპირისპირება და იმ „ფერადი რევოლუციების“ ჩატარების მეთოდიკის დამუშავება, რომლებიც შემდგომ პოსტსაბჭოთა სივრცეს შეარყევს;

**10. ავღანეთი,** 2001 წლიდან დღემდე. „ალ ქაიდას“ ბაზებისა და მისი ლიდერის — უსამა ბენ ლადენის განადგურების მიზნით, 2001 წლის განმავლობაში აშშ-მა ავღანეთში ასობით დაბომბვითი და ათზე მეტი სახმელეთო ოპერაცია განახორციელა. უსამა ბენ ლადენი ვერ იპოვეს, თალიბანი ვერ დაამარცხეს, მარიონეტი პრეზიდენტი ხამიდ ყარზაი კი უარს აცხადებს აშშ-თან უშიშროების შეთანხმების ხელმოწერაზე. მიუხედავად ამისა, ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა ამ ომით საგრძნობლად მოიკეთა;

**11. ლიბია,** 2011 წელი. მუამარ კადაფის განადგურება არაერთხელ სცადეს. ლიბიის ომის უნიკალურობა ისაა, რომ საომარ მოქმედებებზე არანაკლებ გამოიყენებოდა ფინანსური მოსყიდვა, ისევე, როგორც ერაყში, რაშიც მთავარი როლი ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეასრულა და სამხედრო ოლქების მეთაურები მოისყიდა. ერაყში რვა სამეთაურო კორპუსიდან მხოლოდ ორმა იბრძოლა კოალიციურ დაჯგუფებად, დანარჩენმა ექვსმა კი უღალატა სადამ ჰუსეინს. ამ ეტაპისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია არმიის კორპუსის გადაცემა ერთ-ერთი ამერიკული ბატალიონისთვის. სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქი კი CNN-ის სატელევიზიო ჯგუფმა აიღო.

თავის მხრივ, კადაფმა ბოლომდე ვერ მოახერხა ქვეყნის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოქმედება — მისი განკარგულებების შემსრულებლები მოისყიდეს.



**ამერიკელები ანადგურებდნენ მეორე ძლიერ მტერს — მართლმადიდებელ ქვეყნებს. ჯერ გაანადგურეს იუგოსლავია მართლმადიდებელი სერბეთით, საბერძნეთი კრედიტებით გააკოტრეს, თითქმის წაეპოტინენ უკრაინას რუსეთზე დამიზნებით**

მთელი არსებობის მანძილზე აშშ-ს საკუთარ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები პრაქტიკულად არასდროს უწარმოებია. სახელგანთქმული პერლ-ჰარბორი, რომელსაც იაპონელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს შეუტიეს, ოკუპირებული ტერიტორიაა, რომელსაც თავად ამერიკელები საკუთარი „მშვიდობისმყოფელების“ ხელით სულ ცოტა ხნის წინათ განახორციელებდნენ. აშშ-ზე სხვა სახელმწიფოთა მხრიდან თავდასხმისა და ომის ერთადერთი შემთხვევები იყო თავისუფლებისთვის ბრძოლა ინგლისთან მე-18 საუკუნის დასასრულს და ინგლისელების შეტევა ვაშინგტონზე 1814 წელს.

იმ დროიდან ვაშინგტონი მთავარი მსოფლიო ტერორისტია, ამისთვის ის არასდროს არავის დაუსჯია. **რუსეთში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ჯეკ მეტლოკმა განაცხადა: „ამერიკული ხელისუფლებების ნამსახურეობის ჩანაწერები ადასტურებს, რომ ისინი უგულებელყოფენ ნებისმიერ ტერიტორიულ მთლიანობას, როდესაც ეს ხელს აძლევთ. ისევე, როგორც მაშინ, როდესაც ნატოელ მოკავშირეებთან ერთად დაარღვიეს სერბეთის ტერიტორიული მთლიანობა, შექმნეს და შემდეგ დამოუკიდებლადაც აღიარეს კოსოვო.** გარდა ამისა, მათ მხარი დაუჭირეს სუდანისგან სამხრეთ სუდანის, ეთიოპიისგან ერითრიის და ინდონეზიისგან ტიმორის გამოყოფას“.

salon.com

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფიქლური გაზის მოპოვების მამებმა შეგნებულად არ გაამხილეს, რომ ბუნების ქიმიური შედევრების ზემოხსენებული პალიტრა პირდაპირ სასმელ წყალში ხვდება. მიწაში ჩატუმბული მომწამვლელი სითხის 70%-ზე მეტი ნიადაგში ჟონავს, ამერიკელებს კი ამის თაობაზე არა მხოლოდ არ აფრთხილებენ, არამედ მათ, ვინც თავად მიხვდება რამეს, დუმილს აიძულებენ.**

# სამმილიონიანი ფიქლური დარტყმა




**ფიქლური საბადოების დამუშავება აბინძურებს გარემოს და ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. თანამედროვე ამერიკის ისტორიაში პირველად ფიქლების დამუშავების შედეგად მიყენებული ზიანის გამო მილიონობით დოლარს გადაიხდიან ჯარიმას. ტეხასელმა ოჯახმა ნავთობმომპოვებელ კომპანიას სასამართლოს გზით სამი მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.**




აშშ-ში კომპანია „Aruba Petroleum“-ის წინააღმდეგ პარების ოჯახის სასამართლო პროცესი აპრილის ბოლოს დასრულდა. ბობ და ლიზა პარებმა, რომლებიც ტეხასის შტატის უაიზის ოლქში ცხოვრობენ, ზემოხსენებული კომპანია, რომელიც ამავე რაიონში ფიქლების დამუშავებითაა დაკავებული, მთელი ოჯახის ჯამრთელობისთვის ზიანის მიყენებაში დაადანაშაულეს.

მოსარჩელეთა მტკიცებით, გრუნტის წყლებისა და ჰაერის დაბინძურებამ, ასევე მათი ფერმის მახლობლად ბუნებრივი გაზის მოპოვების პროცესის ნარჩენი პროდუქტების გამონაბოლქვმა მათ ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ვერდიქტი მათ სასარგებლოდ გამოიტანა და გაამართლა პარების პრეტენზიები „Aruba Petroleum“-ის მიმართ. წაგებული მხარე 2,95 მილიონი დოლარის ოდენობით გადაიხდის კომპენსაციას.

პარების ოჯახის მტკიცებით, მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირველი პრობლემები 2009 წელს შეექმნათ, სწორედ მაშინ დაიწყო კომპანიამ 20-დან პირველი ჭაბურღილის მათი ფერმიდან 3 კილომეტრზე ნაკლები დაშორებით ბურღვა.

სამ წელიწადზე ნაკლებ დროში ოჯახმა ავადმყოფობების მთელი სერია გადაიტანა, დაავადდა მათი საქონელიც.

**ფიქლური გაზი არის საწვავის ალტერნატიული სახეობა — საწვავი ფიქლებისგან მოპოვებული გაზი. თავად ამერიკელები მას სხვა ქვეყნების ნავთობსაგაზო სექტორის მესაფლავედ აცხადებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს პლანეტარული მასშტაბის აფერაა.**

ფიზიკური თვისებებით გაწმენდილი ფიქლური გაზი არაფრით განსხვავდება ტრადიციული ბუნებრივი გაზისგან, მაგრამ მისი მიღებისა და გაწმენდის ტექნოლოგია ტრადიციული გაზის მოპოვებასთან შედარებით ბევრად მეტ დანახარჯებს საჭიროებს.

ფიქლური გაზი და ნავთობი, უხეშად რომ ვთქვათ, დაუსრულებელი გაზი და ნავთობია. ჰიდროგახლეჩის საშუალებით ადამიანს შეუძლია მიწიდან საწვავი მოიპოვოს მანამ, ვიდრე ის ბუნებრივად შეგროვდება ნორმალურ საბადოში. ამგვარ გაზსა და ნავთობს უდიდესი რაოდენობით ნარევები აქვს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათი დამუშავების პროცესს. ფიქლები შეიძლება 30-დან 70%-მდე მეთანს შეიცავდეს. მე-20 საუკუნის დასაწყისში 100 ბარელი ნავთობის მოსაპოვებლად 1 ბარელი ნავთობი იხარჯებოდა. ამჟამად 1 ბარელი ნავთობის დახარჯვის შედეგად მხოლოდ 18 ბარელის მოპოვებაა შესაძლებელი. მთელ მსოფლიოში სულ უფრო რთულ საბადოებს ითვისებენ და, თუ ადრე არავის აინტერესებდა საბადო, საიდანაც ნავთობი შადრევანივით არ ამოჩქეფდა, ახლა მას პირდაპირ მიწიდან ისრუტავენ.

**ფიქლური გაზი არის საწვავის ალტერნატიული სახეობა — საწვავი ფიქლებისგან მოპოვებული გაზი. თავად ამერიკელები მას სხვა ქვეყნების ნავთობსაგაზო სექტორის მესაფლავედ აცხადებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს პლანეტარული მასშტაბის აფერაა...**



ამერიკაშიც იგივე ხდება, ოღონდ გაცილებით უფრო მძიმე ფორმებით. მომხმარებელთა მოთხოვნა არ იკლებს, საბადოები კი დიდი ხანია გამოცარიელდა. ვინაიდან გაზის ყიდვა ქვეყანას სულ უფრო ძვირი უჯდება, გადაწყვიტა, თავისივე ფიქლური საბადოებიდან მოიპოვოს ის. ჯერ კიდევ 2004 წელს აშშ-შიც და მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებშიც ფიქლური გაზის მოპოვება უკანონო ქმედება იყო. მაგრამ 2005 წელს კონგრესმა აშშ-ის ნავთობსაგაზო მრეწველობა ამოიღო სასმელი წყლის უსაფრთხოების აქტიდან, ჰაერის დაცვის აქტიდან და კიდევ ათეულობით კანონიდან, რომლებიც გარემოს დაცვას ეხება. Aმის ინიციატორი დიკ ჩეინი კი ჭაბურღილების გასაჭრელი აღჭურვილობისა და ქიმიკატების მწარმოებელი კომპანია „Halliburton Inc.“-ის ყოფილი მეპატრონეა, 2005 წლის ზემოხსენებული კანონის შემდეგ მისი კომპანიის პროდუქცია ფართოდ გამოიყენება აშშ-ის 34 შტატში.

ფიქლური გაზის მოპოვება ითვალისწინებს ჰორიზონტალურ ბურღვას და პლასტების ჰიდროგახლეჩას. ჰორიზონტალური ჭაბურღილი თავსდება გაზის შემცველი ფიქლების ფენებს შორის. ამის შემდეგ ჭაბურღილში წნევით ასხამენ ათიათასობით კუბურ მეტრ წყალს, სილას და ქიმიკატებს. პლასტების გახლეჩის შემდეგ გაზი ბზარებით გადის ჭაბურღილში და შემდეგ ადის ზემოთ.

აღნიშნული ტექნოლოგია გარემოს კოლოსალურ ზიანს აყენებს. დამოუკიდებელმა ეკოლოგებმა დაითვალეს, რომ სპეციალური საბურღი ხსნარი შეიცავს 596 სახის ქიმიკატს. ყოველი ბურღვისთვის საჭიროა 26 ათასი კუბური მეტრი ხსნარი.

ხსნარში მთელი რიგი კანცეროგენები და სხვა ტოქსიკური ნივთიერებები შედის. კვლევების შედეგების თანახმად, ამ ტექნოლოგიით გაზის მოპოვებისას გამოყენებული ქიმიური ნარევის მთელი მოცულობის მხოლოდ 30-50%-ს იღებენ უკან, მომწამვლელი ნარევის დანარჩენი ნაწილი კი მიწაში რჩება.

ათეულობით ტონა ქიმიური ნარევი გრუნტის წყლებს უერთდება და განაპირობებს არაპროგნოზირებადი ნეგატიური შედეგების წარმოუდგენლად ფართო სპექტრს. სხვადასხვა ნავთობკომპანია ხსნარის სხვადასხვა შემადგენლობას იყენებს. საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ეს ხსნარი, არამედ ის შენაერთიც, რომელსაც ჰიდროგახლეჩის შემდეგ იღებენ მიწიდან. მომწავმლელი პროდუქტებით გაჟღენთილია არა მხოლოდ წყალი, არამედ ჰაერიც. იმ ამერიკელებს, რომლებიც ჭაბურღილების სიახლოვეს ცხოვრობენ, თავისტკივილის, გონების დაკარგვისა და გამონაყარების გარდა, ნეიროპათიები, ასთმა, მძიმე მოწამვლები, სიმსივნეები და სხვა უმძიმესი ან უკურნელები დაავადებებიც შეეყარათ.

სასმელი წყლის ფერი მოპოვების რაიონებში ჩვეულებრივი წყლისფერიდან შავამდე ლავირებს. აშშ-ში ბავშვებს მშობლები უკვე იმასაც ასწავლიან, რომ ონკანიდან მომდინარე წყალს ცეცხლი არ უნდა მოუკიდონ. როგორც ანალიზებმა აჩვენა, მეთანის კონცენტრაცია ამ წყალში 6-ჯერ აღემატება ნორმას, ეთანის კი — 23-ჯერ. მეთანით სავსე სახლში ნაპერწკლიდან ხანძრის გაჩენის საფრთხე ამერიკელებს აიძულებს, წყლის მილები რაც შეიძლება საიმედოდ გადაკეტონ. წყლის ჭების გათხრა არანაკლებ სახიფათოა, რადგან შეიძლება უნებლიეთ გადააწყდე მეთანს, რომელიც ჰიდროგახლეჩის შემდეგ ზედაპირზე გამოსასვლელს ეძებს. ჭის გათხრის ერთ-ერთი ამგვარი მცდელობისას მეთანის შადრევანი სამი დღის განმავლობაში ჩქეფდა, სპეციალისტების გათვლებით, ატმოსფეროში 84 ათასი კუბური მეტრი გაზი გაიბნა.

გაზის მომპოვებლები ამერიკელების წინააღმდეგ შემდეგ შემრიგებლურ მეთოდებს იყენებენ:

„დამოუკიდებელი“ ექსპერტები ასკვნიან, რომ წყალი სუფთაა და ყველაფერი ამით მთავრდება, თუ დაზარალებულები სასამართლოს არ მიმართავენ.

სასამართლომ შეიძლება დაავალდებულოს ნავთობკომპანია, დაზარალებულები სიცოცხლის ბოლომდე მოამარაგოს სასმელი წყლით ან დაამონტაჟოს წყლის გასასუფთავებელი აღჭურვილობა. როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ეს უკანასკნელი მეთოდი ყოველთვის არ ამართლებს. მაგალითად, ეთილენგლიკოლი ყველა ფილტრში აღწევს და ფერმერებს შეუძლიათ ამგვარი გაწმენდილი წყლის გაცხელების შედეგად პლასტიკატი მიიღონ.

ნავთობკომპანიები დაზარალებულებს კომპენსაციებს უხდიან — რამდენიმე ათეულ ათას დოლარს.

კომპენსაციის მიმღებ დაზარალებულებთან აუცილებლად აფორმებენ ხელშეკრულებას კონფედენციალობის შესახებ, რომ სიმართლე არ გამოაშკარავდეს.

შხამიანი ნაზავი მთლიანად გრუნტის წყლებს არ ერევა, მისი ნაწილის უტილიზირებას თავად მომპოვებელი კომპანიები უზრუნველყოფენ. მას ასხამენ სპეციალურად გათხრილ ორმოებში, აორთქლების დასაჩქარებლად კი შადრევნებს რთავენ. კიდევ ქიმიკატებს ზღვებში ასხამენ და შემდეგ ისინი კვლავ მოსახლეობას უბრუნდება ქარიშხლებისა და ტორნადოების შედეგად.

ყველაზე მეტად დაზარალდა პენსილვანია, ლუიზიანა და ტეხასი. სითხის ზუსტი შემადგენლობა კომერციული საიდუმლოებაა, მაგრამ ეკოლოგებმა, დიდი ხანია, გამოიძიეს, კონკრეტულად რით წამლავენ ამერიკის მიწებს და მათზე მცხოვრებ ადამიანებს.

ყველაზე საშინელი ისაა, რომ, როგორც ჩანს, **ფიქლური გაზის მოპოვების მამებმა შეგნებულად არ გაამხილეს, რომ ბუნების ქიმიური შედევრების ზემოხსენებული პალიტრა პირდაპირ სასმელ წყალში ხვდება. მიწაში ჩატუმბული მომწამვლელი სითხის 70%-ზე მეტი ნიადაგში ჟონავს, ამერიკელებს კი ამის თაობაზე არა მხოლოდ არ აფრთხილებენ, არამედ მათ, ვინც თავად მიხვდება რამეს, დუმილს აიძულებენ.**

ბიზნესმენები ყველანაირად ცდილობენ, დამალონ ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ფაქტები და ეს მიდგომა თვით საკანონმდებლო დონეზეც კი ლობირდება. მაგალი- ▶

**დასასრულ, ამერიკული სტრატეგიული კულტურა ირეკლავს იმ ფაქტს, რომ უშუალოდ ამერიკის არსებობას ძალზე შეზღუდული რაოდენობის ნეგატიური ფაქტორები ემუქრება. გარკვეული თვალსაზრისით, ყველა ომი, რომლებშიც აშშ მონაწილეობდა, „არჩეულ ომს" წარმოადგენდა. ამრიგად, მას მუდამ აქვს საშუალება, არ ჩაერიოს კონფლიქტებისა და პრობლემების მოგვარების საქმეში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# შეინარჩუნებს თუ ვერა ამერიკა ზესახელმწიფოს სტატუსს?



**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი ენთუზიაზმის გარეშე აიღო საკუთარ თავზე მსოფლიო ზესახელმწიფოს როლი. ცივი ომის დასრულებისას ამერიკელები უკვე იმდენად იყვნენ შეჩვეულნი ხელისუფლებას, რომ ნებისმიერი სხვა სტატუსი, გარდა ზესახელმწიფოსი, უბრალოდ, წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ამ სტატუსის შენარჩუნება აუცილებელი ბოროტებიდან უშუალო მიზნად იქცა. მაგრამ ახლა ის, რაც ახლო წარსულში წარმოუდგენლად გამოიყურებოდა, კვლავ განხილვის თემად იქცა. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ამერიკელები კვლავ დაუბრუნდნენ კითხვას — სურს და შეუძლია თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს, შეინარჩუნოს მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსი?**

**ამერიკელები ძალას და დიპლომატიას აღიქვამდნენ როგორც ალტერნატივებს, რომლებიც რიგრიგობით უნდა გამოიყენო, და არა როგორც ძალაუფლების კონტინუუმის უშუალო შემადგენლებს**

ეთად, პენსილვანიაში 2012 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაც კომპანიები ვალდებულნი არიან, ექიმებს აცნობონ, თუ რა ქიმიკატები შედის გაზის მოსაპოვებლად გამოყენებულ ნაზავში, მაგრამ ექიმებს უფლება არ აქვთ, გაავრცელონ ეს ინფორმაცია თუნდაც იმ პაციენტებს შორის, რომელთა დაავადებებიც აღნიშნული ქიმიკატების ზემოქმედებითაა გამოწვეული.

პრეზიდენტი ობამა განაგრძობს ახალი „ეკოლოგიური" საწვავის რეკლამირებას და ირწმუნება, რომ ფიქლური გაზის მარაგები ამერიკას ასი წლის მანძილზე უზრუნველად ცხოვრებისთვის ეყოფა. **ზოგიერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი შეგნებულად ამახინჯებს ფაქტებს. საქმე ისაა, რომ ამერიკის ხელისუფლებისთვის მომგებიანია, გაზის მარაგები უწოდოს იმ საბადოებსაც კი, რომელთა დამუშავებაც პრაქტიკულად შეუძლებელია.** ასეთი მარაგები ითვლება „სპეკულაციურად", რადგან მათი გამოყენება შეუძლებელია და მხოლოდ სპელაციისთვის გამოდგება.

ფიქლური საბადოების დამუშავებისთვის მთელი მსოფლიოდან იწვევენ მომპოვებელ კომპანიებს, მაგრამ კომპანია-გიგანტები ამ სფეროში ერთ წელსაც არ მუშაობენ, ისე ტოვებენ ბაზარს დიდი დანაკარგებით. მაგალითად, კომპანია BP-მა გამოაცხადა 4,8 მილიარდი დოლარის ჩამოწერის შესახებ, BG Group-მა კი 1,3 მილიარდი დოლარის ფიქლური კაპიტალდაბანდება ჩამოწერა. სხვებმა დროულად შენიშნეს, რომ რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ობამას ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სარეკლამო კომპანიის დაპირებებისგან და ბიზნესის დროულად შეჩერება არჩიეს. გარდა ამისა, გიგანტი კომპანიებიდან არავის სურს, ეკოლოგიურ კატასტროფებში მონაწილეობის მიღება და შემდეგ ასევე გიგანტური კომპენსაციების გაცემა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**ფიქლური ნავთობისა და გაზის მოპოვების ამერიკული ტექნოლოგია, გარდა ზემოხსენებულისა, მიწისძვრებითაც ემუქრება მოსახლეობას.** ყველაზე დიდ საფრთხეს შეიცავს ქიმიური ნაზავის მიწიდან ამოტუმბვის პროცესი. პლასტების ჰიდრავლიკური გახლეჩა მიწისძვრის პროვოცირებას ახდენს, მხოლოდ ამის გამო ამერიკაში წელიწადში 100-ზე მეტი მიწისძვრა ფიქსირდება. ასე რომ, ფიქლური გაზის მოპოვების რაიონებში მცხოვრები ამერიკელები თუ მოწამლულ ჰაერსაც გადაურჩნენ და შხამიან წყალსაც, შეიძლება მიწამ შთანთქას...

გარკვეული თვალსაზრისით, ამერიკა არც არასდროს ყოფილა მზად იმისთვის, რომ საერთაშორისო უშიშროების სისტემისთვის ეხელმძღვანელა. გეოგრაფიული იზოლაცია ხელს უწყობდა ისეთი ამერიკული სტრატეგიული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად მასშტაბურ კონფლიქტებში ეპიზოდურ მონაწილეობას შეესაბამება, ვიდრე მსოფლიო წესრიგის მუდმივად შენარჩუნებას. იმ ერებისგან განსხვავებით, რომელთაც ზურგს უკან ასწლეულობით ეროვნული ბრძოლები ჩამოიტოვეს, **ამერიკელები ძალას და დიპლომატიას აღიქვამდნენ როგორც ალტერნატივებს, რომლებიც რიგრიგობით უნდა გამოიყენო და არა როგორც ძალაუფლების კონტინუუმის (განუწყვეტელი, მთლიანი) უშუალო შემადგენლებს.**

მეთოდი, რომლის საშუალებითაც ამერიკელები უშიშროების საფრთხეებს ებრძვიან, იმით შემოიფარგლება, რომ თავიდან ცდილობენ, პრობლემა დიპლომატიური გზით ან პოლიტიკური ზეწოლის საშუალებით გადაჭრან. იშვიათი გამონაკლისების გარდა — ისეთების, როგორიც, მაგალითად, მართვის ევროპული სტილის მოყვარული ჰენრი კისინჯერი იყო — ამერიკელი პოლიტიკოსები სამხედრო ძალას თვლიდნენ ერთადერთ გამოსავლად ყველა იმ შემთხვევაში, რომლებშიც დიპლომატია არ ჭრიდა.

ვინაიდან ამერიკელები დიპლომატიას და ძალას ერთმანეთის ალტერნატივად მიიჩნევენ და არა ქცევის განუყოფელ ხაზებად, მათ არასდროს მიუმართავთ შეიარაღებული ძალების დახმარებისთვის „პოლიტიკური გზავნილის" დანიშნულების ადგილამდე მისატანად და მიისწრაფვოდნენ უდავო, დამაჯერებელი გამარჯვებისკენ იმ შემთხვევებში, როდესაც ძალას იყენებდნენ. იმ ეროვნულ ლიდერებს, რომლებიც რაიმე ნაკლებზე თანხმდებოდნენ, ვიდრე ცალსახა გამარჯვებაა, მოგვიანებით ამისათვის დიდი პოლიტიკური საფასურის გადახდა უწევდათ, ხანდახან ეს მთავრდებოდა იმ პარტიის სრული კრახით, რომელსაც ამგვარი ლიდერები განეკუთვნებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დროის ხანგრძლივი მონაკვეთში ის ამერიკული სტრატეგიის არაფორმალურ კომპონენტად ითვლებოდა, დიპლომატიისა და ძალის ეს გამიჯვნა დაფიქსირებული იყო დოკუმენტში, რომელსაც პაუელის დოქტრინა ან უაინბერგერის დოქტრინა ერქვა. მიუხედავად იმისა, რომ ობამას ადმინისტრაციას ოფიციალურად არ გამოუცხადებია ამ დოქტრინის მიმართ საკუთარი მხარდაჭერა, მსოფლიო არენაზე ობამას პოლიტიკა დიდწილად სწორედ ამ დოქტრინის ანარეკლია.

გარდა ამისა, თავად ამერიკული პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა უშლის ხელს ამერიკას, შეასრულოს მსოფლიო ზესახელმწიფოს როლი და სხვადასხვა რეგიონში ძალთა მუდმივად ცვალებადი ბალანსი მართოს. ამერიკული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში ხელისუფლება გაყოფილია. ნებისმიერი ქმედება საჭიროებს ხანგრძლივ და რთულ პროცესს სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ ფიგურებს შორის კონსენსუსის მისაღწევად. ეს სისტემა მშვენივრად მუშაობდა მე-19 საუკუნეში, როდესაც კრიზისები და საფრთხეები ნელ-ნელა ვითარდებოდა. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს პირობებში, როდესაც სახელმწიფოს სრული განადგურება სულ რამდენიმე წუთის საქმეა, ამგვარი სისტემა აბსოლუტურად არაეფექტურია.

**დასასრულ, ამერიკული სტრატეგიული კულტურა ირეკლავს იმ ფაქტს, რომ უშუალოდ ამერიკის არსებობას ძალზე შეზღუდული რაოდენობის ნეგატიური ფაქტორები ემუქრება. გარკვეული თვალსაზრისით, ყველა ომი, რომლებშიც აშშ მონაწილეობდა, „არჩეულ ომს" წარმოადგენდა. ამრიგად, მას მუდამ აქვს საშუალება, არ ჩაერიოს კონფლიქტებისა და პრობლემების მოგვარების საქმეში.**

ცივი ომის პერიოდში აშშ პოულობდა საშუალებებს, გვერდი აევლო ამ წინაღობებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა მუდმივად კამათის თემა იყო ორ პარტიას შორის, რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც მუდამ თანხმდებოდნენ, რომ მხარი დაეჭირათ მსოფლიოში აშშ-ის წამყვანი როლისთვის და ამის გამო მუდამ ახერხებდნენ კონსენსუსამდე მისვლას.

უფრო მეტიც, **ამერიკული გავლენის მასშტაბები ნიშნავდა, რომ ვაშინგტონს სულაც არ სჭირდებოდა რაციონალური სტრატეგია. მთავარია, რომ მისი მოქმედებები ეფექტური იყოს. ხშირად პოლიტიკოსები უბრალოდ გამოყოფდნენ ხოლმე დიდ თანხებს და აჭიანურებდნენ სამხედრო ძალის გამოყენებას იმ დრომდე, როდესაც ის ყველაზე კარგ შედეგს მოიტანდა ყველაზე ნაკლები დანახარჯებით.**

ამგვარი შემოვლითი ილეთები აშშ-ს საშუალებას აძლევდა, დარჩენილიყო მსოფლიო ზესახელმწიფოდ, მიუხედავად იმისა, რომ ის აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა ამ როლს. მაგრამ დღეს ეს ილეთები აღარ მუშაობს. იდეა იმის შესახებ, რომ უნდა არსებობდეს რაღაც ჩარჩოები ორ პარტიას შორის ბრძოლის ინსტრუმენტებად საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებისას, საგრძნობლად მოძველდა. კონგრესის მხოლოდ ზოგიერთ წევრს აქვს საგარეო პოლიტიკის და ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ღრმა ცოდნა და ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკის საზოგადოებას ამ ასპექტებისადმი ინტერესი არ გააჩნია.

ფართო გაგებით ძლიერი თავდაცვისა და საერთაშორისო აქტივიზმისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის ხარისხი განუხრელად იკლებს. როდესაც სხვა ქვეყნებში პრობლემები ჩნდება, ამერიკელები უპირატესობას ანიჭებენ სიმბოლური ზომებით შემოფარგვლას და ამ დროს არ ავლენენ აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავების სერიოზულ განზრახვას. მთავარი ამოცანა, როგორც ჩანს, ისაა, რომ საკითხი პირველი გვერდებიდან გაქრეს და თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტში უშუალო მონაწილეობა. გარდა ამისა, მზარდი ნაციონალური ვალი მოითხოვს, რომ აშშ-ის სტრატეგია ერთდროულად ეფექტურიც იყოს და რაციონალურიც.

ახლა ოპონენტები ცდილობენ, სარგებელი ნახონ აშშ-ის შესუსტებული როლისა და თავდაჯერებულობის ფონზე. ამერიკა კი მათ ერთი ნაბიჯით ჩამორჩება, როდესაც ცდილობს, რეაგირება მოახდინოს ოპონენტების ქმედებებზე და არ გათვალოს მათი შემდგომი ნაბიჯი.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური და სამხედრო სიმძლავრეების გამო ამერიკა კიდევ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე დარჩება მსოფლიო ლიდერის პოზიციაზე, მაგრამ ისინი უყურადღებოდ ტოვებენ მთავარს: ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, ფლობს თუ არა აშშ ზესახელმწიფოსთვის საჭირო რესურსებს, არამედ ის, აქვს თუ არა მას საამისო თავდაჯერებულობა და სურვილი.

2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გადამწყვეტი იქნება. ამ კამპანიაში საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხები ძალზე შეზღუდულ როლს შეასრულებს. ამაში უჩვეულო არაფერია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ორ პარტიას შორის გარკვეული კონსენსუსი არსებობს მსოფლიოში ამერიკის როლის საკითხზე, მაგრამ თუ ერთი ან ორივე კანდიდატი ღიად გამოვა დანარჩენი მსოფლიოსგან ამერიკის განცალკევების იდეით, თუ ჯორჯ მაკგოვერნის 1972 წლის ლოზუნგი „ამერიკა, დაბრუნდი სახლში" კვლავაც დაბრუნდება პოლიტიკური დისკურსის მეინსტრიმში, ეს დაამტკიცებს, რომ აშშ-ს აღარ სურს ზესახელმწიფოდ ყოფნა და რომ ახლა საერთაშორისო უშიშროების აბსოლუტურად განსხვავებული სისტემის ფორმირება მიმდინარეობს, ამერიკა კი მსოფლიო უსაფრთხოებაში შერჩევითი, ეპიზოდური მონაწილეობის ისტორიულ როლს უბრუნდება.



**World Politics Review**

ქვათა ღაღადი

**სრული შთაბეჭდილებაა ობიექტური მიდგომის, რომ არა ის შოვინისტური ჭია, რომელიც ნაშრომის შესავალ ნაწილში შემოგდებული — „თბილისი სომხების ქალაქია“, „თბილისი სომხებმა აუშენეს ქართველებს“. რაც ჩვენი განათლებული მკითხველისთვის ატავიზმი — წარსულის დრომოჭმული გადმონაშთია.**




სამველ კარაპეტიანი

ისტორიული ნარკვევი

# ტიფლისის მერები

დასასრული. დასაწყისი იხ. №15-16 (250-251)

**სამველ კარაპეტიანის წიგნის „ტიფლისის (თბილისის) მერების“ ეს თავი ავტორის მეცნიერული კვლევის შედეგებს კი არ ეყრდნობა, არამედ სხვადასხვა, არაერთგზის გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ამოკრეფილი ციტატების კრებულია, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს მეცნიერული ძიების პრეტენზია, ორიგინალურობით არ გამოირჩევა. სამაგიეროდ თვალში საცემია კარაპეტიანის ენერგიული მისწრაფება აკვიატებული მიზნის მისაღწევად: თბილისი სომხური (ან სომხების) ქალაქია. კომპილაციური ნაშრომია, თანაც მჭლე — გასული საუკუნის საბჭოთა „აგიტპროპის“ დონეზეა.**



ძველი თბილისი, ხიდი მტკვარზე

## ვასაკ არწრუნი

ქართველთა მეფის — დემეტრეს (1125-1156) და მისი მომდევნოს — დავითის (1156) დროს თბილისის ქალაქის თავი (ამირა, შააპი) იყო თავადი ვასაკი, ძე ვაგრამისა მახკანაბერდიელ არწრუნების თავადთა გვარიდან. ვასაკ არწრუნისადმი კეთილგანწყობილი იყო დავითი. ეს გარემოება ქართველი თავადების შურის საგანი იყო, მათ მოწამლეს ქართველთა მეფე: „ხოლო, როცა მოკვდა ქართველთა მეფე დემეტრე, მის ნაცვლად მმართველობდა მისი ვაჟი დავითი, კეთილად განწყობილი, განსაკუთრებით იმ სომეხი თავადების მიმართ, რომლებიც მისი ხელქვეითები იყვნენ და დიდად სცემდა პატივს ტიფლისის შააპს ვასაკს, თავად ვაგრამის ძეს და მის ძმას, სახელად კურდს, და სარქისს, და ისეთ გულითად დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რომ თავისთან იხმო მეფე დავით ბაგრატუნის ძე — მეფე კიურიკე და დაპირდა, რომ დაუბრუნებდა მემკვიდრეობას, რომელიც მას წინაპრებმა წაართვეს, გაუგზავნა მას საჩუქრები და შეხვედრის დღე დაუთქვა. მას სურდა მოეწვია კრება, ეზიარებინა ჭეშმარიტებისთვის და ასე განედიდებინა მართლმადიდებლობა. როცა ქართველმა თავადებმა ეს შეიტყვეს, აღივსნენ შურით, განსაკუთრებით, ორბელიანის გვარისანი, და შეასვეს საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი, და გამოაცხადეს ხანგრძლივი გლოვა საქართველოში და სომხეთშიც და მის ნაცვლად გაამეფეს მისი ძმა გიორგი“ (*აიაპატუმი: სომხეთის ისტორიკოსები და ისტორია, მამა გევონდ ალიშანის მიერ შეთხზული და შეკრებილი, ვენეცია, 1901, გვ. 389*).

სამწუხაროდ, მეფე გიორგი (1156-1184), რომელმაც დავითი შეცვალა, აჰყვა ჭორებს და კიდევ უფრო გაამწვავა უნდობლობის გარემო, რაც ვასაკის ტიფლისიდან წასვლის მიზეზი გახდა: „როცა გიორგი გამეფდა, მოინდომა თავად ვასაკის დაჭერა, რადგან მასზე გაბრაზებული იყო, რადგან ვასაკი, ქალაქის თავად ყოფნისას ისე არ ასხამდა მას ხოტბას, როგორც მის ძმა დავითს, და არ იყო ზრდილობიანი, ძრახავდა სხვა ქართველ თავადებს, და ამ მიზეზის გამო ვასაკი იძულებული იყო, გაქცეულიყო თავის ძმებთან ერთად, და წავიდა ტიოდუპოლისში, რომელიც ამჟამად ქალაქ კარინად იწოდება. და ამირამ, სახელად სალტუხმა სიხარულით და პატივისცემით მიიღო ისინი, რადგან, როცა სალტუხი ტყვედ ჩავარდა ქალაქ ანის ალყის დროს და იგი ტიფლისში, მეფე დემეტრესთან ჩაიყვანეს, მას ვასაკი ბევრ რამეში დაეხმარა. აი, რატომ დაასაჩუქრა ისინი უხვი საჩუქრებით და უბოძა მას მრავალი სოფელი. ვასაკმა იქ რამდენიმე წელიწადი იცხოვრა, გარდაიცვალა და დამარხეს ქალაქის წმ. ღვთისმშობლის ეკლესიაში“ (*იქვე, გვ. 389-390*).

## კურდ არწრუნი

მან შეცვალა ძმა — ვასაკ არწრუნი: „ვასაკსა და კურდს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველთა მეფის კართან და რიგრიგობით იკავებდნენ ტიფლისის ქალაქის თავის თანამდებობას“ (*ა. შახნაზარიანი, ვაგრამიანთა სამთავრო, ერევანი, 1990, გვ. 41, სომხ. ენაზე*).

ამირა კურდი პირველად 1176 წელსაა ნახსენები. წარწერა შემორჩენილია მონასტრის ხის კარზე, რომელიც სევანის ნახევარკუნძულზეა (*ევგინე მუშეღიანი, სომხურწარწერიანი საგნები, ერევანი, 1964, გვ. 60, სომხ. ენაზე*).

კურდ არწრუნის მოღვაწეობა ქალაქის თავის მოვალეობის გარდა, მოიცავდა სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანებს, მათ შორის, — ქვეყნის თავდაცვას.

ცნობილია, მაგალითად, რომ 1178 წელს „მსხვილი სავაჭრო ქალაქის ტიფლისის მბრძანებელი“ ქართველი მეფის ბრძანებით დაედევნა გაქცეული თავადების — ორბელების ჯარს და მოიმწყვდია თავისსავე ტერიტორიაზე მახკანაბერდის ოლქში: „ტიფლისის ნაცვალმა, სახელად კურდმა, შეაღწია ხეობაში, ხელთ იგდო ისინი მათ კუთვნილ მახკანაბერდის ოლქში“ (*ა. მარგარიანი, ჩრდილოეთ სომხეთისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი XII საუკუნეში, ერევანი, 1980, გვ. 187*).

1181 წელს ნაცვალ კურდის დროს გადაკეთდა წმ. მაცხოვრის ეკლესიის სამრეკლო სანაიხში (*კ. კაფადარიანი, სანაინის მონასტერი და მისი წარწერები, ერევანი, 1957, გვ. 104, სომხ. ენაზე*).

მონასტერ მორო-ძოროს დაუთარიღებელ წარწერაში კვლავ არის ნახსენები „ნაცვალი (ამირა) კურდი“, ვისი შუამდგომლობითაც ქართველთა მეფის — გიორგი III-ის წინაშე მონასტერი გათავისუფლდა გადასახადებისგან (*სომხური ლაპიდარული წარწერები“, ტ. 6, ერევანი, 1977, გვ. 139, სომხურ ენაზე*).

1197 წ. ამირა კურდი ნახსენებია წარწერაში, რომელშიც მოთხრობილია ნორ-გეტიკის (გოშავანქის) წმ. ღვთისმშობლის მონასტრის კურთხევის შესახებ. დასტურდება, რომ არზუხათუნის მამის კურდისთვის პატივისცემის ნიშნად გაიმართა ორსაათიანი ლიტურგია... (*იქვე, გვ. 65*).

ნაცვალ კურდის სახელი ნახსენებია აგრეთვე 1214 წელს მონასტერ დადივანკის კათოლიკური ეკლესიის სამშენებლო წარწერაში, რომელიც აგებული იყო კურდის ქალიშვილის არზუხათუნის მიერ: „თავადთა-თავადის კურდისთვის...“ (*ს. კარაპეტიანი, სომხური კულტურის ძეგლების მთიანი ყარაბაღის ზონაში, ერევანი, 1999, გვ. 106*).

ნაცვალი კურდი, რომელიც, ფაქტობრივად, 1180-იანი წლების ბოლოს უნდა მომკვდარიყო ან 1190-იანი წლების დასაწყისში, დასაფლავებულია ახპატის მონასტერში. საფლავის ქვას აწერია „ამირა კურდი“ (*კ. კაფადარიანი, ერევანი, 1963, გვ. 188, სომხ. ენაზე*)...



თბილისის ხედი, XIX ს. ცენტრში სიონის ტაძარი

## შადინი (ბადინი)

მონღოლების წინააღმდეგ საქართველოში მომხდარი აჯანყების დროს (1259-1260) საქართველოს განაგებდნენ გიორგის ვაჟი ლაშა დავით VII ულუ (1247-1270) და რუსუდანის ვაჟი დავით VI ნარინი (1230-1239), ტიფლისის მმართველად ნახსენებია სომხური წარმომავლობის ვინმე შადინი ან ბადინი: „(როცა არღუნი) შევიდა თიფლისში, მას შეეგებნენ საქართველოს ყველა თავადი და ყველა გამგებელი და ვინმე ბადინი, წარმოშობით სომეხი“ (*ლ.მ. ბელქისედბეგი, ქართული წყაროები სომხეთსა და სომხებზე, ტ. 2, ერევანი, 1936, გვ. 59*).

***(ამ პუბლიკაციის — საგაზეთო ვარიანტის — სამეცნიერო ატრიბუტიკით გადატვირთვა-დამძიმების თავიდან ასაცილებლად, ამას შემდგომ თავს შევიკავებთ ციტატების წყაროების დასახელებისგან. მკითხველი, იმედია, გაგებით მოეკიდება ჩვენს ამ გადაწყვეტილებას).***

## ბეიბუდიანი ქალაქის თავები (მერები) XVII-XVIII საუკუნეებში

### მელიქ ენალი

რიგ დოკუმენტებში, რომლებიც ვაჭრობისა და მამულების საკითხებს ეხება, ენალი მელიქად მოიხსენიება 1646 წლიდან 1673 წლამდე, მაგრამ მისი სამსახური წყვეტილი იყო. კერძოდ ცნობილია, რომ 1650 წელს ქალაქის მერის თანამდებობა დაიკავა მელიქ ბაიანდურმა, ხოლო, მაგალითად, 1662 წელს გარდაიცვალა ამ თანამდებობაზე მყოფი მელიქ ბეიბუდი.

მელიქ ენალის დროს მამასახლისი იყო ასლამაზი, მისი ნაცვლები კი შერმაზანი (1646-1658) და დავითი (1666-1678).

იმის გამო, რომ არ გვაქვს მელიქ ენალის ბეიბუდიანთა გვარდიან წარმომავლობის საბუთები, ვერც უარვყოფთ, ვერც დავადასტურებთ ამას.

მელიქ ენალის გენეალოგიასთან დაკავშირებით ყურადსაღებია დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია მისი შვილიშვილების დავა 1717-1719 წლებში აბანოსა და მისი წყალმომარაგების საკითხებს მათ მშობლიურ მამულში და რომელშიც ნახსენები არიან მელიქი ენალის ვაჟები — როსტომი და ქაიხოსრონი (ეს უკანასკნელი მამასახლისის თანაშემწე იყო 1701-1714 წლებში), როსტომის ვაჟი დანიელი და ქაიხოსრონის ვაჟები — კარაპეტი, ბაგინი, ოვსეპი და გევორგი.

### მელიქ ბაინდური

ზაქარია კანაკერცი ადასტურებს, რომ 1650 წლიდან ტიფლისის მელიქი ბაინდური იყო. ქალაქის თავად იგი დანიშნა სპარსმა შაჰ-აბას უმცროსმა (1642-1666): „ეს გაიგო მეფე სანი-აბასმა, ე.ი. უმცროსმა შაჰ-აბასმა, და მიიწვია ბაიანდური და გადასცა მას ტიფლისის ხელისუფლება, ეს იყო 1099 წელს“. ქალაქის მერად ბაიანდურის დანიშვნის წელიწადი (1650), როგორც ვხედავთ, ემთხვევა ჩვენთვის ცნობილი მელიქ ენალის თანამდებობაზე მსახურების პერიოდს (1646-1673), ეს კი მიგვანიშნებს, რომ მელიქ ენალის სამსახური წყვეტილი იყო.

წყაროების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს, ვამტკიცოთ ან უარვყოთ მელიქ ბაიანდურის ბეიბუდიანთა გვარიდან წარმომავლობა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მისი მომდევნონი ბეიბუ- ▶




**მამაკაცმა დედა-შვილი სიცოცხლეს გამოასალმა**

**4 აპრილს არკანზასის შტატის ქალაქ ჯონსბოროს ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში მამაკაცმა სროლა ატეხა, შედეგად დაიღუპა ქალი და მისი 13 წლის გოგონა, ოთხი ადამიანი, მათ შორის ორი ბავშვი (8 და 10 წლის) მძიმედ დაიჭრა. ამის შემდეგ თავდამსხმელმა საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ოფისში მყოფ მამაკაცს ესროლა და ადგილზე მოკლა.** ამ ინციდენტიდან რამდენიმე საათში მკვლელი, რომელმაც სამი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, შოსეზე გაჩერებულ ავტომობილში მოკლული იპოვეს. პოლიციელებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს, რა იყო დანაშაულის მოტივი და მოიკლა თუ არა თავი ბოროტმოქმედმა.



ქვათა ღაღადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ეროვნული ინტერესები ქალაქური ინტერესებისგან სრულიად განსხვავებულია. კიდევ რამდენი, კავკასიის პარიზად ქცეული ტიფლისი უნდა ააშენონ სომხებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და წლების შემდეგ განაზოგადონ და დაწერონ უიდეო მსხვერპლშეწირვის მორიგი ისტორია, რომელსაც ეძღვნება ეს მონოგრაფია“

◀ დიანელთა სათავადო სახლის წარმომადგენლები იყვნენ, გვაფიქრებინებს, რომ მელიქ ბაიანდური, აგრეთვე, იყო ბეიბუდიანების გვარიდან.

### მელიქი ხოჯა-ბეიბუდი

მას ჰყავდა ძმა ხატინი, მეუღლე — ლალინი, ვაჟიშვილები — ასლანი და აშხარბეკი.

მისი ერთ-ერთი პირველად ხსენება 1651 წელს განეკუთვნება: „18 ივლისს ვინმე ზაქარია მოვიდა ტიფლისში, პასუხისმგებელი თბილისის ზარაფხანაზე იყო რსტამხანი, ხაზინადარი კი — ხოჯა-ბეიბუდი“.

1654 წელს საქართველოს მეფე როსტომმა (1638-1658) დააკმაყოფილა ხოჯა-ბეიბუდის თხოვნა ეკლესიის მშენებლობის შესახებ ბეიბუდიანთა არსებულ საგვარეულო სასაფლაოს ტერიტორიაზე, აგრეთვე, არხის მშენებლობის შესახებ მახათის მთის ფერდობზე. ხოჯა-ბეიბუდს, აგრეთვე, სურდა სასაფლაოსთან ბაღის გაშენება.

1655 წელს ხოჯა-ბეიბუდმა ააშენა წმ. ღვთისმშობლის ეკლესია ცირანავორ, რომელსაც შემდგომში მისი დამაარსებლის სახელი — ხოჯივანქი უწოდეს.

ხოჯა-ბეიბუდის შემოწირულობით წმ. ეჩმიაძინმა თავის საკუთრებად ტიფლისში სამი მაღაზია შეიძინა („...იყო სამი მაღაზია, რომელთა შემოსავალს ხოჯა-ბეიბუდი უგზავნიდა... გადაეცა საკუთრებაში“).

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებულ წყაროებში არ არის ცნობები, რომლებიც ეხება ხოჯა-ბეიბუდის მმართველობის პერიოდს, და ერთადერთი საფუძველი იმისა, რომ იგი შეიძლება მივაკუთვნოთ თბილისის ქალაქის თავებს, არის მისი გარდაცვალების ცნობა: 1662 წ. ხოჯა-მელიქ ბეიბუდი (ბებუდა) გარდაიცვალა 7 ივლისს...“

როდის და ვისგან მიიღო მან მელიქობის უფლება, უცნობია, მაგრამ ცხადია, რომ ეს მოხდა მისი სიცოცხლის ბოლო წლებში“.

### მელიქ აშხარბეკი

მელიქი აშხარბეკი იყო ძე მელიქ ხოჯა-ბეიბუდისა და ძმა ასლანისა. ცნობილია, რომ 1664 წელს მელიქის ძმამ ასლანმა წმ. ეჩმიაძინის მონასტერს აჩუქა 3 მაღაზია ტიფლისში. ასეთივე შენაწირი გაილო მანაც — მელიქ აშხარბეკმა.

ამას ადასტურებს კათოლიკოსი სიმეონიც (1763-1780): „ქართულად შედგენილი ნასყიდობის სიგელი ამ 3 მაღაზიაზე ხოჯა-ბეიბუდის ვაჟმა ასლანმა გადასცა წმ. ეჩმიაძინს — კათოლიკოს აკოპ ჯუგაეცის 1664 წელს. აქედან ნორაშენის გზაზე, აშპაზ-ხანის ქუჩაზე არის მაღაზია, რომლისგან ხელმარჯვნივ იყო კარანის მაღაზია, ხელმარცხნივ კი — აპოვენცის მაღაზია. ეს მაღაზია ასევე გადასცა წმ. ტახტს მელიქ აშხარბეკმა, იმავე ასლანის ძმამ“.

შესაძლებელია, რომ მელიქის თანამდებობა მელიქ აშხარბეკმა დაიკავა 1662 წელს, მამის — ხოჯა ბეიბუდის სიკვდილის შემდეგ. რომელ წლამდე მართავდა იგი თბილისს, ჩვენთვის უცნობია. შემდეგი მელიქი იყო მელიქ ამირა, რომელიც ქალაქს მართავდა XVII საუკუნის დასასრულს.

### მელიქ ავთანდილი

წერილობით პირველწყაროებში მელიქ ავთანდილის შესახებ 1678 წლიდან ვხვდებით. რიგ დოკუმენტებში, რომლებიც ვაჭრობისა და ქალაქის მამულების საკითხებს ეხება, მელიქ ავთანდილი მოიხსენიება 1698 წლამდე. გამორიცხული არ არის, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო მელიქ ენალის ერთ-ერთი ვაჟიშვილი. ავთანდილის დროს მშენებლები იყვნენ ნაზარი (1678), გიორგი (1683-1694) და პაპი (1696, 1698), მათი თანაშემწეები კი — დავითი (1678) და გასპარი (1683)...


აბანოთუბანი

## დაგვიანებული შეგონებით, ცდილობს ავტორი, გადაფაროს სომეხი მერების თბილისზე ზრუნვის ჭეშმარიტი მიზანი — სომხურ ქალაქად მისი გარდაქმნის სურვილი

**და ასე გრძელდება მთელი წიგნის მანძილზე თბილისის მერების მოკლე და შედარებით ვრცელი ბიოგრაფიები, რომლებშიც სკრუპულოზურად ასახულია მათი მოღვაწეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტები. არავითარი კომენტარი, მხოლოდ თანამედროვეთა შეფასებები (როცა წყაროები ამის შესაძლებლობას იძლევა). სრული შთაბეჭდილებაა ობიექტური მიდგომის, რომ არა ის შოვინისტური ჭია, რომელიც ნაშრომის შესავალ ნაწილში შემოგდებული — „თბილისი სომხების ქალაქია“, „თბილისი სომხებმა აუშენეს ქართველებს“. რაც ჩვენი განათლებული მკითხველისთვის ატავიზმი — წარსულის დრომოჭმული გადმონაშთია.**

### „მეორე პლანი“ ანუ განადგურებული საფლავები

შეიძლება ამას მეორე პლანი დავარქვათ, მაგრამ ეს „მეორე პლანი“ ზოგჯერ ისე იჩენს თავს, ისე სამსალასავით შემოგვაპარებს სამველ კარაპეტიანი, რომ ყველაფერს გადაფარავს, თუ რამ დადებითი უთქვამს თავის ნაშრომში.

დადებით — ქვემოთ. ახლა კი კუპრის ის კოვზი, რომელიც შხამია და სამსალა.

101-ე გვერდზე ქვეყნდება თბილისის 47 სომეხი მერის გვარ-სახელების, დაბადებისა და გარდაცვალების, მმართველობის წლების, დასაფლავების ადგილების ცხრილი და მითითებულია — შემორჩენილია თუ არა, განადგურებულია თუ უცნობია ეს საფლავები.

კარაპეტიანი წერს:

„ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მკითხველებს, გვინდა, წარვუდგინოთ 34 ქართველი მერის გადაწყვეტილების საფუძველზე (1921 წლიდან დაწყებული) ტიფლისის სომეხი მერების განადგურებული საფლავების სია, იმ ადამიანებისა, ვინც 800 წლის განმავლობაში აშენებდა და კეთილმოაწყობდა თბილისს“.

ამ განმარტებას მოსდევს მითითებული ცხრილი და ავტორის ასეთი რემარკა:

„როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, სამწუხაროდ, გადარჩენილია მხოლოდ იმ ორის საფლავები, რომლებიც ქართველები იყვნენ“ (დ. ყიფიანის და ვ. ჩერქეზოვის).

**კარაპეტიანი წარმოგვიდგენს თბილისის მერების განადგურებული (!) საფლავების სიას, თუმცა ცხრილში მითითებულია არა მხოლოდ განადგურებული საფლავები (მათი რაოდენობა არ აღემატება ცამეტს), არამედ ისეთებიც, რომლებიც უცნობია, არაა შემორჩენილი, ან მოვლილ-მოწესრიგებულიცაა** (პერ ლაშეზის სასაფლაოზე, სინაინის წმ. ღვთისმშობლის ტაძარში). **ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ მოაქცია ავტორმა მთელი ეს ნაირგვარობა მაინცდამაინც განადგურებული საფლავების კატეგორიაში. ყველა განურჩევლად.**

შემდეგ — ცრემლის ღვრის ხანმოკლე სეანსი: „გულდასაწყვეტია, **ნაცვლად იმისა, რომ ქართველ მერებს,** რომლებიც თითქმის 80 წლის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, **მადლიერების გრძნობითა და პატივისცემის ნიშნად მოევლოთ თბილისის შემქმნელი სომეხი მერების საფლავებისთვის, ისინი განახორციელებდნენ ამ საფლავების შეგნებულად ნგრევისა და განადგურების გეგმას“.** და — რჩევა, ანუ მითითება სამოქმედოდ და საყვედური დაუფარავი: „ამასთან, ნაცვლად იმისა, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მათ სახლებსა და მათ მიერ აგებულ შენობებზე დაემაგრებინათ მემორიალური დაფები, ისინი უზრუნველად ანგრევდნენ ამ შენობებს და ცვლიდნენ მათ იერსახეს. როგორ არ უნდა გავიხსენოთ გრიგორ ნიკოგოსიანის გულისტკივილით ნათქვამი სამართლიანი სიტყვები, რომლებითაც მან შეაფასა მატინიანცის მიერ თბილისისთვის და არა მშობელი ხალხისთვის დატოვებული ანდერძი: „უნდა დავლოცოთ ან შევაჩვენოთ ამ სომხის ხსოვნა“. ამასთან ერთად, არ შეიძლება არ გავიხსენოთ „დოლინას“ კორესპონდენტის სიტყვები, რომლებიც მან 1914 წელს წარმოთქვა: **„ეროვნული ინტერესები ქალაქური ინტერესებისგან სრულიად განსხვავებულია. ყველაზე უფრო ჩამორჩენილი პატარა სომხური სოფლის სკოლასა და აბანოს არ გავცვლიდი თბილისის ქალაქის საკრებულოს ყველა სომეხ წევრზე და მათ სრულუფლებიან ხმოსნებზე“.**

ჭეშმარიტად, ის, რაც სამშობლოში არ არის აშენებული, ქვიშაზეა აშენებული.

ისტორია ეს არის ხსოვნა, წარსულის გაკვეთილები, მაგრამ სომხები დღესაც აგრძელებენ უცხო ქვეყნების კეთილმოწყობას და იქ ჰპოვებენ თავიანთ უკანასკნელ ნავსაყუდელს — განისვენებენ უცხო მიწაში. მოუვლელს ტოვებენ თავიანთ ბაღებსა და მიწებს, სომხები დღესაც მთელ თავიანთ ენერგიას ახარჯავენ სხვებს, მსხვერპლად ეწირებიან დროებით, უპერსპექტივო და მოჩვენებით კეთილდღეობას. **კიდევ რამდენი, კავკასიის პარიზად ქცეული ტიფლისი უნდა ააშენონ სომხებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და წლების შემდეგ განაზოგადონ და დაწერონ უიდეო მსხვერპლშეწირვის მორიგი ისტორია, რომელსაც ეძღვნება ეს მონოგრაფია“.**

ამ დაგვიანებული შეგონებით, ცდილობს ავტორი, გადაფაროს სომეხი მერების თბილისზე ზრუნვის ჭეშმარიტი მიზანი — სომხურ ქალაქად მისი გარდაქმნის სურვილი. ასე მთავრდება სამველ კარაპეტიანის თხზულება.


წყლის წისქვილები მტკვარზე

**მაგრამ წერტილის დასმამდე უნდა ვთქვათ, რომ იმ სომეხ მერებს შორის, რომლებიც ასე შერისხა სამველ კარაპეტიანმა, ნამდვილად იყვნენ ღირსეული მოღვაწენი.**

**ამის მაგალითია, თუნდაც პოღოს ალექსანდრიან იზმაილიანცი, რომელსაც აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან — ნიკო ნიკოლაძესთან, სერგი მესხთან, გიორგი წერეთელთან, დაეხმარა მათ მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისთვის ტიპოგრაფიის მოწყობაში, ხელი შეუწყო პარიზში ქართული გაზეთის „დროშის“ გამოცემას (ამ გაზეთის 3 პირველი ნომერი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში ინახება); თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში.**

**სხვა კარგი საქმეებიც უკეთებია. ეს ცნობები კარაპეტიანის წიგნიდანაა ამოკრეფილი.**

## პირველკლასელმა სკოლაში ბებიის ნარკოტიკი მიიტანა

**სამართალდამცველებმა ჩესტერ კაუნთის (პენსილვანია, აშშ) მკვიდრი პაული ბილინსკი-მუნიონი მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც მისმა 7 წლის შვილიშვილმა სკოლაში ჰეროინი მიიტანა.**

56 წლის ქალმა ნარკოტიკი სახლში დაკარგა, ბავშვმა კი შემთხვევით იპოვა და დაინტერესდა.

სკოლის მასწავლებლებმა პირველკლასელ ბიჭუნას ჯიბეში ჰეროინის 9 პაკეტი უპოვეს. პაკეტს კი ტანსაცმლისა და კოსმეტიკის დამამზადებელი, აგრეთვე, სამოდელო ფირმა Victoria's Secret-ის ლოგოტიპი ამშვენებს.

ბავშვმა განაცხადა, რომ პაკეტები შინ, სარეცხ მანქანასთან ახლოს იპოვა.

ბილინსკი-მუნიონი დააპატიმრეს. სამართალდამცველები მას ბავშვის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნასა და ნარკოტიკის შენახვაში ადანაშაულებენ.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კინემატოგრაფისტებს ისიც გვეამაყებოდა, რომ ბატონი ზურაბი ჩვენი „სიძე“ იყო, მეუღლე ქალბატონი ციცინო ციციშვილისა, რომელიც თენგიზ აბულაძემ მონათლა კინომსახიობად და შესანიშნავი სახეც შეაქმნევინა ფილმში „სხვისი შვილები“ (1958); ამას მოჰყვა ლანა ღოღობერიძის „თავადის ასული მაია“ (1961), რომელშიც ახალბედა მსახიობმა ერთ-ერთი მთავარი როლი — დაფინო განასახიერა და კიდევ უფრო გაიმყარა, ასე ვთქვათ, პოზიცია კინოში...**

# გმადლობთ, მაესტრო! ანუ ორიოდე შენიშვნა ზურაბ ნიჟარაძის ახალ ალბომზე

**მომავალ ორშაბათს, 19 მაისს, 19 საათზე კ. მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწის, პროფესორ გოგი დოლიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მიუხედავად საპატიო ასაკისა, ბატონი გოგი დოლიძე ჩვენი გაზეთის ერთობ აქტიური თანამშრომელია და აი, ვაქვეყნებთ კიდეც მის ახალ სტატიას, რომელიც რიგით მეთხუთმეტეა მიმდინარე წელს.**










ციცინო ციციშვილი, კადრი ფილმიდან „სხვისი შვილები“

**ნამდვილი ღვთის წყალობა იყო, ალბათ, ის ამბავი, რომ დაბადების 80 წლისთავზე ისეთი საჩუქარი მივიღე მშვენიერი ნეკა სებისკვერაძისგან (ფორმალობის მოყვარულთათვის ქალბატონი ნეკა შეიძლება მხოლოდ თავმჯდომარე იყოს თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა), რომელსაც ჩემი თაობის ნებისმიერი ადამიანი ინატრებდა – უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ამ შესანიშნავ ალბომს (A4 ფორმატი, 185 გვ., მთლიანად ცარცის ფურცელი) თითქოს სულაც არ აქვს პრეტენზია, ამომწურავად წარმოაჩინოს ჩვენი სახელოვანი ფერმწერის — ბატონ ზურაბ ნიჟარაძის უმდიდრესი მხატვრული მემკვიდრეობა, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი არსებითად მაინც ახერხებს ამას. როგორც ამ შესანიშნავი პროექტის ავტორი და ალბომის უშუალო შემდგენელი, ბატონი გიორგი ჯანბერიძე მიუთითებს შესავალშივე, ფაქტობრივად, მკითხველმა მიიღო დიდი მაესტროს ჭეშმარიტი რჩეული (თუმცა იქ მოკრძალებითაა ნათქვამი – ერთგვარი რჩეულიო...).**

ახლა იმის თაობაზე, ასე რატომ გავუსვი ხაზი, — ჩემი თაობის ადამიანებისათვის-მეთქი – იმ უბრალო და ბედნიერი მიზეზის გამო, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებში ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ვმუშაობდი. ისეთი ინტერესიანი და დაუცხრომელი რედაქტორი გვყავდა — ბატონი ოთარ ეგაძე, რომლის მახვილ თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა და, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა, მაგრამ საზოგადოებრივ ასპარეზზე ერთობ გააქტიურებული, თანაც პიროვნული მომხიბვლელობითა და მოკრძალებით ფრიად გამორჩეული ზურაბ ნიჟარაძე ჩვენი ჟურნალის ხშირი სტუმარი იყო, როგორც პირდაპირი, ისე ფიგურალური გაგებით.

**რაღა დაგიმალოთ და კინემატოგრაფისტებს ისიც გვეამაყებოდა, რომ ბატონი ზურაბი ჩვენი „სიძე“ იყო, მეუღლე ქალბატონი ციცინო ციციშვილისა, რომელიც თენგიზ აბულაძემ მონათლა კინომსახიობად და შესანიშნავი სახეც შეაქმნევინა ფილმში „სხვისი შვილები“ (1958); ამას მოჰყვა ლანა ღოღობერიძის „თავადის ასული მაია“ (1961), რომელშიც ახალბედა მსახიობმა ერთ-ერთი მთავარი როლი — დაფინო განასახიერა და კიდევ უფრო გაიმყარა, ასე ვთქვათ, პოზიცია კინოში...**

ნუ გამიმტყუნებთ და, როგორც კინომცოდნეს, ძალიან დამაკლდა ეს ინფორმაცია ამ მშვენიერ ალბომში, მით უმეტეს, რომ აქ უხვადაა ქალბატონი ციცინოს პორტრეტები, მაგრამ არსად არის მინიშნება, რომ იგი მეუღლეა ბატონ ზურაბ ნიჟარაძისა, თუნდაც იმ ფორმით, როგორიც ესოდენ მიღებულია მხატვრობაში, ვთქვათ, „მხატვრის მეუღლე“ თუ „მეუღლის პორტრეტი“ და მისთ.

ეს პრეტენზია ან კრიტიკული შენიშვნა არ არის ალბომის გამოცემის მესვეურთა მიმართ, მკითხველის სურვილია მხოლოდ, მკითხველისა, რომელსაც, ბატონებო, თავისი ახალგაზრდობის ძვირფასი და საყვარელი მოღვაწეები შეახსენეთ და მადლობასაც გიხდით ამის გამო...

სწორედ ამ თვალსაზრისით, რამდენიმე სხვა სურვილიც უნდა გამოითქვას და, ეგებ, კრიტიკული შენიშვნაც. ცხადია, **ამ მშვენიერ ალბომში ნახატებია მთავარი, თუმცა, რაკი შიგადაშიგ ტექსტებიცაა და, პირდაპირ უნდა ითქვას, მეტად საინტერესო ტექსტებიც, ავტორებს კალამიც უჭრით და არც პოეტური აღმაფრენა აკლიათ, მაგრამ, ცხადია, ურედაქტორობას ვერაფრით მოგიწონებთ, ბატონებო, და სხვა დროისთვის, იმედია, გაითვალისწინებთ ამას.** ოღონდ, ღვთის გულისათვის, კვლავაც ისეთი რედაქტორი არ შეარჩიოთ, როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდი ბატონ თ. უთმელიძის წიგნზე (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, 7.V.2014, გვ. 26-27).

ისეთ ალბომში, რომლის ძირითადი, ანუ, თუ შეიძლება უბრალოდ ითქვას, ნახატებიანი გვერდები მართლაც სავსეა ფერთა სიმფონიით, რაოდენ ტრივიალურადაც უნდა მოგეჩვენოთ ეს გამოთქმა, არ შეიძლება, მოზაიკასავით მიმოფანტული ტექსტები არღვევდეს ამ ამაღლებულსა და ფაქიზ ტონალობას. აკი დელაკრუასაც უბრძანებია, ნახატის ღირსება ისაა, თვალისათვის დღესასწაული შექმნასო... ტექსტს, რა, სხვა დანიშნულება აქვს?! ყველაფერი ხომ სიტყვიდან იწყება?! სამწუხაროდ, **ამ მხრივ ალბომში ერთგვარი დისონანსია, ირღვევა სასურველი კეთილხმოვანება, რომელსაც ვერაფრით მივესალმები...**

მაგრამ, ვიდრე ორთოგრაფიულ (მართლწერის) საკითხებზე გადავალ, ერთ კონკრეტულ პრობლემაზე (სამწუხაროდ, რეალურ პრობლემაზე!) უნდა გავამახვილო ყურადღება — ტრადიციულად რატომ ვიჩენთ დაუდევრობას ისეთი მნიშვნელოვანი, ვიტყოდი, თვალში საცემი სასვენი ნიშნების მიმართ, როგორიცაა: დეფისი და ტირე, რატომ ვურევთ ერთმანეთში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ სკოლაში გვასწავლეს, რომ დეფისი, მარტივად რომ ვთქვათ, პატარა, მოკლე ხაზია (-) და ძირითადად იხმარება სიტყვათა შესაერთებლად (დედ-მამა, ქართლ-კახეთი და მისთ.), სიტყვის გადასატანად მომდევნო სტრიქონზე და ა. შ. ტირე კი (—) სიგრძით ორჯერ მეტია დეფისზე და ა. შ. როგორც ჩანს, ეს ელემენტარული წესი დავიწყებიათ გამოცემის მესვეურებს (რაკი ალბომს არც რედაქტორი ჰყავს და არც კორექტორი, სხვა გზა არ არის, საყვედური ამ მისამართით უნდა გაიგზავნოს), თანაც ყველაზე კომიკური ისაა, რომ იყენებენ ვითომ დეფისს, სინამდვილეში ეს არის ტირე და ამის ნიმუშებით, რომ იტყვიან, გადაძეძგილია ალბომის ქართული ტექსტი (მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არა ინგლისური), რაც, დამეთანხმებით, დამაფიქრებელია. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, ისიც სწორედ ისე, როგორც წიგნშია, ანუ ტირეთი, თუმცა ყველგან უნდა იყოს დეფისი: „ნელ—ნელა“ (31, 37, 39), „ფენა—ფენა“ (33), „ძვალ—რბილში“ (27), „ერთ—ერთი“ (24), „ქართულ—რუსული“ (42), „ცოდვა—ბრალი“ (42) და ა.შ. და ა.შ. გაუთავებლად.

უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, ნაწილაკი „მეთქი“ წინა სიტყვას უერთდება სწორედ დეფისით და არა ისე, როგორც აქ არის, ტირეთი: „მომწიფდეს—მეთქი“ (32) და ა. შ.

ის სიტყვებიც კი ტირეთი წერია, რომლებიც ერთად უნდა იყოს. მაგალითად, ერთ პატარა მონაკვეთში სამჯერაა „პირ—სახე“ (26), მაშინ, როცა იგი ერთად იწერება („პირსახე“), „ჰაი—ჰარად“ (29) — უნდა იყოს „ჰაიჰარად“ და ა. შ.

ერთი სიტყვით, განმეორდა გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ სავალალო გამოცდილება, როცა ცნობილი მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ბატონ რევაზ მიშველაძის თხზულებათა I ტომი (2012 წ.) ისე იქნა აწყობილ-რედაქტირებული, რომ დეფისი თითქმის სრულიად გამოირიცხა და სულ ტირეებით გაიწყო ტექსტი, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სიტყვის მომდევნო სტრიქონზე გადატანის დროსაც კი...

ახლა — ცალკეული სიტყვები:

„შემხედვარე“ კი არა (29), **„შემხედველი“,** როგორც კატეგორიულად ითხოვს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, გვ. 537;

▶

მოკლედ

## 1 ივნისიდან მესამე და შემდეგ ბავშვზე ყოველთვიურად სახელმწიფო 150-200 ლარს გასცემს



**2014 წლის 1 ივნისიდან ჯანდაცვის სამინისტრო ორი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას იწყებს. პირველი ეხება იმ რეგიონებს, რომლებშიც უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსია.**

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ამბობს, რომ ეს პროექტი თავისი შინაარსით არის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების წასახალისებლი და არა სოციალური დახმარება. პროექტის მიზანია, საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებშიც უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსია, ანუ უფრო მეტია გარდაცვალება, ვიდრე დაბადება, განხორციელდეს ფინანსური სტიმულირება.

2014 წლის 1 ივნისის შემდეგ დაბადებულ ყოველ მესამე და შემდგომ ბავშვზე სახელმწიფო გამოყოფს ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რომელიც ამ ბავშვებს მიეცემათ 2 წლამდე. ბიუჯეტიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ გვაქვს შესაძლებლობა, პერიოდულობა მეტად გავზარდოთ. თანხის რაოდენობა იქნება თვეში 150 ლარი თითო ბავშვზე რეგიონებში და 200 ლარი — მაღალმთიან რეგიონებში. რაც შეეხება მეორე პროექტს, ის ორსული ქალებისთვისაა გათვალისწინებული და მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

## ამას ვინ დაიჯერებს, კაცს ტანკმა ორჯერ გადაუარა და ცოცხალი გადარჩა! მაგრამ რაც გიამბეთ, სინამდვილეა.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ „სხვაფრად" კი არა (37), **„სხვაგვარად"**, ესეც კატეგორიული მოთხოვნაა „ორთ. ლექსიკონისა", გვ. 461;

არც „ტექსტუალური" არის სწორი, უნდა იყოს **„ტექსტობრივი",** ისევ „ორთ. ლექსიკონის" კატეგორიული მოთხოვნით, გვ.464;

ამასთან, „თრთოლვა" (48) და „მთრთოლვარე" (37) კი არა, არამედ: **„თრთოლა"** და **„მთრთოლარე"**, როგორც ითხოვს ისევ და ისევ კატეგორიულად „ორთ. ლექსიკონი" (292).

ცალ-ცალკე იწერება: „არცერთი" (3, 49) — **„არც ერთი"**, „შუასაუკუნეებში" (42) — **„შუა საუკუნეებში"**, „ბოლოსდაბოლოს" (50) **„ბოლოს და ბოლოს",** „ახლადმოპოვებული„ (51) „ახლად მოპოვებული" და ა. შ. ვერაფერი შვილია გამოთქმა: „ამის გარეშე" (8) — ქართულად ითქმის: **„უამისოდ"** (გაიხსენეთ, გალაკტიონის ცნობილი „უსიყვარულოდ არ არსებობს..."), „მოდელის გარეშე" (39) — **„უმოდელოდ"** და სხვ.

მოკლედ და უკომენტაროდ სხვა სიტყვებზეც: „ელასტიური კი არა (8) — **„ელასტიკური",** „ახლახანს" (40) — **„ახლახან"**, „ესსე" თუ „ესსეისტი" (36) — **„ესე"** და **„ესეისტი"** და ა.შ.

მაგრამ ეს რაა, ზოგჯერ ისეთი სიტყვების კორიანტელი ატყდება („ექზისტენციური" — არც უნდა არსებობდეს ასეთი ქართული სიტყვა, ისევე, როგორც „ექსისტენცია", გვ. 50 და ა.შ.), რომ, სულო ცოდვილო, ერთი ბრძნული შეგონება მახსენდება, რა საჭიროა სულ „მერანი" და „რაში" ვიძახოთ, ზოგჯერ, უბრალოდ, ვთქვათ „ცხენი"... რაც შეეხება გამოთქმას „სოკრატული მამაცობით" (გვ.49, „Socrates bravery"), ეს უკვე ნამეტანია, მე და ჩემმა ღმერთმა!

ბარემ ერთი ნიმუშიც იმისა, თუ როგორ არ უნდა ვწეროთ ქართულად — მარტო ქართული სიტყვები საქმეს არ შველის, თვით სტრუქტურა უნდა იყოს ქართული ბუნებისთვის დამახასიათებელი:

„ეს ის პიკოა, 1484 წელს მედიჩის, ერთ—ერთ (ისევ ტირე – გ. დ.) ეპისტოლეში უცხადებდა რა პიეტეტს, იმასაც სწერდა, რომ მას აღაფრთოვანებს არა მარტო ის, რაც გამოგონილია ლორენცოს ტექსტებში, არამედ ისიც, რაც აღმოცენებულია მატერიისაგან, რითაც მისი სულია დაკავებული" (24).

მგონი, ლ. ტოლსტოის ბრძნული ფრაზაა სწორედ ამაზე ნათქვამი — „ილაპარაკე რა უბრალოდ, შენ ხომ საკმაოდ გონიერი ხარ საამისოდ".

**გოგი დოლიძე**

**P. S. ისე, სხვათა შორის, სახელი „დავითი" ინგლისურად არის „David" და არა „Davit" (5, 52), ხოლო „ახალი" — „New" და არა „Recent" (5, 107). ეს იმდენად ელემენტარულია, რომ, როგორც ხედავთ, ძირითად ტექსტში არც მიმინიშნებია.**

# დაუჯერებელი სინამდვილე



**ბრძოლის ველზე ამაზე მეტი რამეც ხდება, მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდისა და მთავრობის მოხელისთვის მართლაც დაუჯერებელია, რასაც ახლა მოგითხრობთ. ეს მოხდა 1943 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. კარგად აღარ მახსოვს უკრაინის რომელ ქალაქში, დნეპროპეტროვსკის თუ ზაპოროჟიეს ოლქში, მდებარეობს სოფელი ელენოვკა. საღამო ხანს გამაღლებული ბრძოლით წინ მივიწევდით. რა თქმა უნდა, გერმანელები უკან იხევდნენ. ბრძანება მოვიდა, სოფ. ელენოვკა შტურმით უნდა აგველო. სოფლის ერთ მხარეს ცენტრალური გზატკეცილი გადიოდა.**

სოფელი შემაღლებულ ადგილზედ მდებარეობდა. ამ დროს ჩვენს შენაერთებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ. ჩვეულებრივად სოფლის მისადგომებთან დავიკავეთ საბრძოლო პოზიციები. იმასთან დაკავშირებით, რომ მქონდა სერჟანტის ჩინი, მეტწილად ვიყავი ხოლმე ათმეთაური და ხშირად ოცეულის მეთაურის თანაშემწე, ხან ოცმეთაურიც. როგორც მოგახსენეთ, დავიკავეთ ის საბრძოლო პოზიციები, რომლებიც რამდენიმე საათის წინ გერმანელებს ეკავათ. **საგულისხმოა ის, რომ გერმანელები სანგრებს ძალიან ვიწროდ და ღრმად ჭრიდნენ. ველოდებით ბრძანებას შეტევაზე გადასასვლელად. ამ დროს ტანკი, საბჭოთა კავშირის ნიშნით, გვესვრის. ჩვენ ვუყვირით, რომ ჩვენები ვართ, მაგრამ მათ ჩვენი ყვირილი არ ესმოდათ. ახდიდნენ ტანკის სახურავს, დაგვინახავენ, დახურავდნენ და მუსრს გვავლებდნენ. ვფიქრობდით, ალბათ, ტანკები კია ჩვენი, მაგრამ შიგ გერმანელები სხედან-თქო.** ვხედავთ, რაც დრო გადის უფრო და უფრო გვიტევენ. ჩვენგან მოშორებით ერთი ტანკი დაწვეს, მეორეს სასროლი ლულა მოტეხეს, დარჩა ერთი ლულამოტეხილი ტანკი. ჩვენს ნაწილებს სროლა აღარ შეუძლიათ და ტანკი მუხლუხებით გვთელავს. თუ დაინახავდა, რომ ვიღაც სანგარში შევარდებოდა, მუხლუხების ტრიალით შიგ მარხავდა.

დიდხანს გვანადგურებდა ასე ის ტანკი, ჩვენ რაც შეგვეძლო, ისეთ წინააღმდეგობას ვუწევდით ამ დაზარალებულ ტანკს, მაგრამ კარაბინით ტანკს რას უზამ. რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ ეს ტანკი შემოიჭრა ჩვენი ოცეულის ტერიტორიაზეც და დაიწყო მებრძოლების ხოცვა. სწორედ ჩემ წინ ჩვენი ოცეულის მებრძოლი, გვარად სალამატოვი, დაინახა და დამარხა ცოცხლად. მე მაშინვე ერთ ჩემს თანამებრძოლს დავუძახე, ცოცხლად დამარხულ სალამატოვთან დაწოლილებმა დავიწყეთ მიწის ამოთხრა, მაგრამ ტანკისტმა შეგვამჩნია და ჩვენკენ გამოექანა. დავიმალეთ, ტანკი შედგა ისევ სალამატოვის სანგარზე მიატრიალ-მოატრიალა ტანკი და უკან გაბრუნდა. ჩვენ მაინც არ შევშინდით და ისევ დავიწყეთ ჯარისკაცის შველაზე ფიქრი. ამოვთხარეთ. მოტეხილი და დაჟეჟილი არაფერი ჰქონდა; ჩავუტარეთ ხელოვნური სუნთქვა, მუცელი დავუზილეთ, წყალი ვაპკურეთ... და რამდენიმე ხანში სალამატოვმა თვალი გაახილა.

ამას ვინ დაიჯერებს, კაცს ტანკმა ორჯერ გადაუარა და ცოცხალი გადარჩა! მაგრამ რაც გიამბეთ, სინამდვილეა.

ამასობაში ირიჟრაჟა. დილით დავინახეთ, თეთრხალათიანები დაჭრილებს რომ ეძებდნენ. ფაქტია, ჩვენ მიერ „გაცოცხლებულ" სალამატოვსაც წაიყვანდნენ. ჩვენ ისევ ჩვენი პოზიცია გვეკავა. მოხდა ისე, რომ იმ ღამეს გერმანელებმა ის სოფელი ისე დატოვეს ჩუმად, რომ ჩვენ იერიში აღარ მიგვიტანია. ის ტანკისტები ახალგაზრდა და გამოუცდელები იყვნენ, სოფელში დაგვიანებით შემოვიდნენ და ეგონათ, გერმანელებს ებრძოდნენ, სინამდვილეში კი ჩვენ გაგვავლეს მუსრი. ეს, რა თქმა უნდა, მაშინდელ სარდლობას და სამხედრო ტრიბუნალს არ დაემალებოდა. გავიდა რამდენიმე დღე და ნაწილში მოვიდა ბრძანება, რომ სოფელ ელენოვკაში დანაშაულის ჩადენისთვის იმ ტანკისტებს, როგორც მავნებლებს, მიესაჯათ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

**გავიდა რამდენიმე თვე. უკვე ვიბრძოდით ქალაქ ნიკოლაევში. ახალი შევსება მივიღეთ — ახალი მებრძოლები, ზოგი ჰოსპიტლიდან დაბრუნდა. ჰოსპიტლიდან დაბრუნებული ერთი მებრძოლისგან შემთხვევით გავიგე, რომ მასთან ერთად ჰოსპიტალში იყო ჯარისკაცი, რომელსაც უთქვამს, — მე დაჭრილი არა ვარ, მხოლოდ ტანკი მომიახლოვდა და მის შემდეგ აღარაფერი მახსოვსო. შევეკითხე, გვარად სალამატოვი ხომ არ იყომეთქი, მგონი, კიო.**

იმ გმირებისა და იმ დღეების დავიწყება შეუძლებელია.

**ტარასი იჩქიტიძე,**
ქ. თბილისი ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე

## ბრეჟნევის ვაჟის ცდუნებასა და გადაბირებას ბრიტანელი ჯაშუშების მეშვეობით ცდილობდნენ

**1960-იან წლებში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის — ლეონიდ ბრეჟნევის ვაჟის გადაბირებას შვედეთის სპეცსამსახური ცდილობდა.**

**დაიგეგმა, რომ საბჭოთა ლიდერის ვაჟი — იური ბრეჟნევი უნდა ეცდუნებინათ, შემდეგ კი შანტაჟი მოეწყოთ მაკომპრომეტირებელი ფოტოების მეშვეობით, თუმცა ეს გეგმა კა-გე-ბეში ჩანერგილი აგენტის ღალატის გამო ჩავარდა.**



იური ბრეჟნევის ცდუნების წარუმატებელ მცდელობაზე ბრიტანული ყოველდღიური გამოცემა The Times შვედეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შეფის — ულოფ ფრონშტედტის მემუარებზე დაყრდნობით წერს.

ფრონშტედტი შვედეთის უშიშროების სამსახურს 1966-1978 წლებში ხელმძღვანელობდა. ის ყვება, რომ იური ბრეჟნევი იმხანად სტოკჰოლმში სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენლობაში მუშაობდა.

„შვედები და, საერთოდ, ევროპელები უარს არ ამბობდნენ სექსზე და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ რუსებიც არ იქნებოდნენ გამონაკლისნი," — წერს ფრონშტედტი წიგნში „ჯაშუშებზე მონადირენი. ნაწილი II".

სსრკ-ის ლიდერის ვაჟის საცდუნებლად შვედებმა ბრიტანეთის დაზვერვისგან (Mi-6) „ინათხოვრეს" ლამაზმანი აგენტი, მეტსახელად ენი, რომელსაც, ბრიტანული სპეცსამსახურის წარმომადგენელთა თქმით, არც ერთი დავალება არ ჩაუგდია.

ენს დაავალეს იური ბრეჟნევის ცდუნება, მისი წაყვანა მოსასმენი აპარატურითა და ფარული კამერებით აღჭურვილ ბინაში, მაგრამ, გულმოდგინე მზადებისა და ამ ოპერაციის გასაიდუმლოების მიუხედავად, იური ბრეჟნევმა შვედეთი მოულოდნელად დატოვა.

## ამერიკელი ბავშვები უარს ამბობენ მიშელ ობამას უვარგის საკვებზე

**ჯანმრთელი კვების პროგრამამ, რომელსაც აშშ-ის პირველი ლედის — მიშელ ობამას ინიციატივით, ამერიკის სკოლებში, უკვე ორი წელიწადია, ნერგავენ, მოულოდნელი შედეგი გამოიღო — ბავშვებმა უარი თქვეს, ჭამონ კერძი, რომლის ინგრედიენტებია: მარცვლეული, ცილა, უცხიმო რძე, ხილი და ბოსტნეული.**



აშშ-ის სკოლებში ბავშვები სულ უფრო ხშირად ამბობენ უარს სასადილოში კვებაზე და საჭმელი შინიდან მოაქვთ. მოზარდების აზრით, „ჯანმრთელი საკვები", რომელსაც მათ სკოლების სასადილოებში სთავაზობენ, საჭმელად უვარგისია.

სოციალურ ქსელებში ბავშვების მიერ მრავალი საჩივრის გამოქვეყნების შემდეგ გამოცემა The Wire-მ გამოკვლევა ჩაატარა.

ჩრდილოეთ კაროლინაში მცხოვრები ერთ-ერთი უფროსკლასელი მის სკოლაში „გულისამრევ" კერძებზე საუბრისას პირდაპირ ამბობს: **„ამაში მიშელ ობამას ვადანაშაულებ. მოშიმშილე ბავშვები — ეს არ არის საუკეთესო მეთოდი ბავშვების გასუქების წინააღმდეგ!".**



ჯორჯიის შტატში მცხოვრები მოსწავლე კი ამბობს: **„ადრე კერძები გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა. ვის რაში დაეხმარება კერძები, რომლებსაც არავინ ჭამს?!"**

მიშელ ობამას მიერ ინიცირებული ჯანმრთელი კვების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვების გასუქების წინააღმდეგ ბრძოლას, 2010 წელს აშშ-ის კონგრესმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოიწონეს.

კანონი „ჯანმრთელი და დანაყრებული ბავშვების შესახებ" (The Healthy and Hunger - Free Kids Act) ბოლო ორი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე, მაგრამ ბოლო ხანს რამდენიმე სკოლამ თხოვნით მიმართა კონგრესს, ამ პროგრამის გაუქმების თაობაზე.

## კახა კალაძე : რასაც «რუსთავი 2» აკეთებს, სამარცხვინოა!

**რასაც „რუსთავი 2" აკეთებს, სამარცხვინოა, — განაცხადა „ქართული ოცნების" ლიდერმა კახა კალაძემ სამტრედიაში მოსახლეობასთან შეხვედრისას.**

„დღეს სხვა სიტუაციაა ქვეყანაში, განსხვავებული აზრისთვის არავინ იდევნება, თითოეული მოქალაქე თავისუფალია. თავისუფალია მედია, თუმცა ზოგიერთი ამას ვერ აცნობიერებს, მათ შორის „რუსთავი 2" და, რასაც ის აკეთებს, სამარცხვინოა. ჩანაწერებთან დაკავშირებით, გამოძიება აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან არ არის გამორიცხული, ეს „ნაციონალური მოძრაობის" ჩადენილი იყოს. ვიცით, რომ მოსასმენი აპარატურის ნაწილი დაკარგულია და, სავარაუდოდ, ამით ხდებოდა მოსმენები. არ არის გამორიცხული, რომ დღეს მეც მისმენდნენ. ამიტომ გამოძიება აუცილებლად გაერკვევა მომხდარში და დამნაშავე აუცილებლად დაისჯება", — განაცხადა კახა კალაძემ.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ყველაფერი ტატუს შესახებ

**ტატუირება არის სხეულზე გამოსახულებების გამოყვანა კანქვეშ ნემსით საღებავის შეყვანის საშუალებით. სხეულის ამ გზით მოხატვა მსოფლიოს მრავალ ხალხში ჯერ კიდევ ქვის ხანაში იყო გავრცელებული, ამას აღმოჩენილი რქის, ძვლისა და ქვის სპეციალური იარაღები მოწმობს. პირველყოფილ ხალხებში ტატუირება რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენების ანარეკლს შეიცავდა, განსაზღვრავდა პიროვნების სოციალურ სტატუსს თავის სოციალურ ჯგუფში. განსაკუთრებულ მაღალ ესთეტურ დონეს მიაღწია ამ ხელოვნებამ სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხალხებში, იაპონიაში კი თითქმის გაუსწორდა ფერწერას. სხეულებზე სამგანზომილებიანი სურათების დახატვა სწორედ იაპონელების შემოღებულია. მოგვიანებით შუა საუკუნეების ევროპაში ტატუირებას მიმართავდნენ სამხედრო ტყვეებისა და სხვადასხვა სახის დამნაშავეთათვის ნიშნის დასადებად. ტატუს მოსაცილებლად ქირურგიულ მეთოდს და ლაზერის სხივს იყენებენ.**



**სიტყვა „ტატუს“ მნიშვნელობის ორი ვერსია განიხილება — ერთია პოლინეზიური „ტა“, რაც ჭრილობას ნიშნავს; მეორე ვერსიით კი, ამ სიტყვის ფესვები უნდა ვეძებოთ ტაიტურ ენაში, სადაც „ტატაუ“ მონიშვნას ნიშნავს.**

ტატუ პირველად მოხსენიებულ იქნა ბრიტანელი კაპიტნის — ჯეიმს კუკის დღიურში. ყველაზე ძველი ტატუები აღმოჩენილ იქნა გიზას პირამიდის შესწავლისას, როცა ჩვ. წ. აღ-მდე 2000 წლით დათარიღებული ქალი-მუმიების სხეულზე სხვადასხვა ფორმისა და მნიშვნელობის უამრავი ტატუ აღმოაჩინეს. ეგვიპტელებმა ეს ხელოვნება მემკვიდრეობით მიიღეს, შემდგომში კი ძველ ბერძნებსა და სპარსელებს ასწავლეს.

1769 წელს ტაიტში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ჯეიმს კუკმა მთლიანად მოხატული გვამი ჩამოასვენა, რომლის ტატუირებული სხეულის კადრებით ევროპელები განცვიფრებაში მოიყვანა. ამის შემდეგ მათ მონდომებით დაიწყეს სხვადასხვა სიმბოლოთი სხეულის მოხატვა.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ტატუირება ევროპელებმა ავსტრალიელებისგან ისწავლეს. ბრიტანეთში იორკის უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის მკვლევარი ჯოან ფლეტჩერი აღწერს ტატუს წარმოშობის ისტორიასა და სხვადასხვა ერის კულტურაში მისი დამკვიდრების მნიშვნელობას. ფლეტჩერი ეყრდნობა იტალია-ავსტრიის საზღვარზე 1991 წელს აღმოჩენილ 5200 წლის მუმიას, რომლის გაყინულ სხეულზეც ტატუს უამრავი ნიმუშის შესწავლა მოხდა.

თანამედროვე სამყაროში ტატუირება ხელოვნების დონემდეა აყვანილი. სხეულის მოხატვა განსაკუთრებით პოპულარული გახდა თინეიჯერებში. უამრავ ახალგაზრდას უჩნდება სურვილი, სხვადასხვა ფორმისა და მნიშვნელობის ტატუ საკუთარი სხეულის ნაწილად აქციოს. ამ გზით ისინი ცდილობენ, ხაზი გაუსვან თავიანთ ინტერესებს, მსოფლმხედველობასა და ინდივიდუალობას.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სვირინგის გაკეთებას, სამედიცინო თვალსაზრისით, რისკფაქტორები ახლავს თან. ვინაიდან ტატუირების პროცესი კანზე ზემოქმედებას და მის ქვეშ ფერების დატანებას უკავშირდება, ჯანმრთელობა ერთგვარი რისკის ქვეშ დგება, რადგან წარმოიქმნება ინფექციის შეჭრისა და ალერგიული რეაქციის საშიშროება.

თანამედროვე სალონებში, რისკის თავიდან აცილების მიზნით, იყენებენ ერთჯერად ნივთებს, ხოლო იარაღებს ყოველი გამოყენების შემდეგ სტერილიზაციას უკეთებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ტატუს „საჩუქრად“ ტეტანუსი, ჰერპესი, სტაფილოკოკი, სოკოვანი დაავადებები, ჰეპატიტი, ტუბერკულოზი ან შიდსი მოჰყვეს.

მაჰმადიანური რელიგიის მიხედვით, ტატუირება აკრძალულია. სუნიტების რწმენით, სხეულის მოხატვა ღმერთის ქმნილების ხელყოფაა და ამიტომ ტატუს გაკეთებას ცოდვად მიიჩნევენ. სხეულის მოსვირიგებას კრძალავს იუდაიზმიც. რაც შეეხება ქრისტიანობას, არაერთი მოძღვარი თავის მრევლს ურჩევს, რომ უმჯობესია, ღვთისგან ბოძებული სხეული ხელუხლებელი დატოვონ.



**უნდა გვახსოვდეს, რომ სვირინგის გაკეთებას, სამედიცინო თვალსაზრისით, რისკფაქტორები ახლავს თან. ვინაიდან ტატუირების პროცესი კანზე ზემოქმედებას და მის ქვეშ ფერების დატანებას უკავშირდება, ჯანმრთელობა ერთგვარი რისკის ქვეშ დგება, რადგან წარმოიქმნება ინფექციის შეჭრისა და ალერგიული რეაქციის საშიშროება**

განასხვავებენ ტატუს რამდენიმე მიმდინარეობას. მაგალითად, ტრიბალი ოკეანის სტილია და შესაბამისად, ამ სტილის ნახატებს ოკეანის ნაპირზე მცხოვრებნი იკეთებდნენ. მეკობრეებისა და მეზღვაურებისთვის ეს ერთგვარი თილისმა და წარმატების სიმბოლო იყო. ჩელტის სტილში, ძირითადად, კელტური ფიგურები ჭარბობს. ბიომექანიკური სტილის მიმდევრები სხეულზე ძვალს, ხერხემალს, მალებსა და გარღვეულ კანს იხატავენ, რაც მათთვის ასოცირდება განსაკუთრებულობასთან და ცხოვრების სხვანაირ ხედვასთან. ორიენტალი უფრო კლასიკური სტილია და აღმოსავლურ ურჩხულს, თევზებს, წყლის სიმბოლოს, ყვავილებს, იეროგლიფებს, ვეფხვებს, ბუდისტურ სიმბოლოებს გულისხმობს. მის სამშობლოდ იაპონია, ჩინეთი, ლაოსი, ბირმა, ვიეტნამი, ბუტანი, ბრუნეი, ნეპალი, ინდოეთი და ფილიპინები ითვლება. ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც ტატუს გასაკეთებლად მთელი მსოფლიოდან ჩადიან ადამიანები.

რეალიზმი ტატუს თანამედროვე სტილია. მისი თაყვანისმცემლები სხეულზე ადამიანების პორტრეტებს, ცხოველთა გამოსახულებებს, ქვეწარმალებს იხატავენ. მათი რწმენით, განსაცდელის დროს ტატუს სული ეხმარებათ.

ტრადიციული სტილის მოყვარულებს გულების, სახელების, ხმლების, ყვავილების, იარაღის, ბანქოზე გამოსახული ნახატების გამოსახვა იზიდავთ. ასევე, ნახევრადკომიკურ პერსონაჟებს იხატავენ, რაც, ერთი მხრივ, მათ აზარტულობას უსვამს ხაზს და თან უიღბლო სიყვარულსა და გატეხილ გულთან ასოცირდება.

ფანტაზია კი არის სტილი, რომელიც არარეალური არსებების, ჯადოქრობის, ამფიბიების, ბოროტი სულების, ჩონჩხების, ღამურების უპირატესობას აღიარებს. ასეთი ნახატების გაკეთების მსურველი ადამიანები საზოგადოების მიმართ აგრესიულები არიან. ამ მიმდინარეობის სამშობლო ეგვიპტეა.

ფსიქოლოგები გამოყოფენ ხუთ უმთავრეს მიზეზს, რომელთა გამოც ადამიანები ტატუს იკეთებენ. ეს მიზეზებია: თვითგამორკვევა, დამოკიდებულება საკუთარი შეხედულებებისადმი, კომპლექსებისგან გათავისუფლება, კანის დეფექტების შენიღბვა და სოციალური სტატუსის დადასტურება. ყველაზე ხშირად კი ის მაინც დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს.

ადამიანი, რომელსაც 2008 წლამდე სხეულზე ყველაზე ბევრი ტატუ ჰქონდა, პატარა ქოხში განდეგილად ცხოვრობს. ესაა ინგლისელი ტომ ლეოპარდი, რომელმაც სამხედრო სამსახურში 28 წელი გაატარა, შემდეგ მიხვდა, რომ ცივილიზაციაში ნორმალურად არსებობა აღარ შეეძლო და ლეოპარდად გადაქცევა გადაწყვიტა. ტატუირებაზე მან 10 000 დოლარი დახარჯა და ეშვებიც კი ჩაისვა, რათა ლეოპარდს უფრო მეტად დამსგავსებოდა. სამაგიეროდ, გინესის რეკორდების წიგნმა მას ეს თავგანწირვა დაუფასა და მსოფლიოში ყველაზე მეტი ტატუს მქონდე ადამიანად დაასახელა.

2008 წლიდან ეს სტატუსი ეკუთვნის ავსტრალიელ ლაკი დაიმონდ რიჩს, რომელსაც სხეულის 100% აქვს მოხატული, მათ შორის ქუთუთოებიც, თითებს შორის ადგილიც და ყურების შიდა მხარეც. ამჟამად ის დამატებით იკეთებს თეთრ გაფორმებებს შავ ტატუირებაზე და შემდეგ უკვე სხვადასხვა ფერს თეთრზე.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტატუს გაკეთების იდეა ეკუთვნის ცნობილ სამხრეთ აფრიკელ იუველირს — იაირ შიმანსკის. პროცედურა 8 საათს მიმდინარეობდა და შედეგად მოდელი 612 ნახევარკარატიანი ბრილიანტით „მოასვირინგეს“. ცხადია, ბრილიანტები კანზე სამუდამოდ არ დაუწებებიათ, ეს მხოლოდ საიუველირო ნაწარმის რეკლამა იყო და მთლიანობაში 924,000 დოლარი დაჯდა.

ბოლო დროს ინგლისელ ახალგაზრდებს შორის ძალზე პოპულარული გახდა ტატუ კბილებზე. უახლესი ტექნოლოგიების წყალობით, კბილებზე შესაძლებელია დაიხატოთ თუნდაც პრინცესა დაინას ან დევიდ ბექჰემის სურათი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირ-







ვიდრე ტატუს გაკეთებას გადაწყვეტს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ გაკეთებაზე რთული მისი მოშორებაა. სვირინგი ადრე საერთოდაც მუდმივად ითვლებოდა — ლაზერის გამოგონებამდე ტატუს წაშლა დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







ველად საქართველოში ტატუ იმ ადამიანთა სხეულებზე გაჩნდა, რომელთაც შავ სამყაროსთან ჰქონდათ კავშირი, ან სასჯელი ჰქონდათ მოხდილი. ამიტომ სვირინგი ჩვენს საზოგადოებაში არც თუ პოპულარობით სარგებლობდა. მაგრამ დრო შეიცვალა და შეიცვალა დამოკიდებულებაც. ახლა ახალგაზრდობისთვის ტატუს ფუნქცია მხოლოდ სხეულის გალამაზებაა.

**ვიდრე ტატუს გაკეთებას გადაწყვეტს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ გაკეთებაზე რთული მისი მოშორებაა. სვირინგი ადრე საერთოდაც მუდმივად ითვლებოდა — ლაზერის გამოგონებამდე ტატუს წაშლა დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.**

ტატუ შედგება კანში გაჩერებული ათასობით ფერადი ნაწილაკისგან. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის კანს გააჩნია თვითგანახლების უნარი, სვირინგის შემთხვევაში საღებავის პიგმენტის ნაწილაკები ძალიან დიდია და ამის გამოც რჩება კანქვეშ. პიგმენტი ორგანიზმში რომ არ შევიდეს ადამიანის კანი ქმნის კაფსულებს და აკავებს საღებავს კანთან.

**დღეს ტატუს მოშორება შესაძლებელია ლაზერით. ეს მეთოდი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ფორმაა. ლაზერით იღებენ მიზანში მელნის უმცირეს ნაწილს და მასზე პულსირებით ახდენენ დასხივებას.** რაც უფრო დიდი ზომისა და მუქი ფერისაა ტატუ, მით უფრო მეტი დასხივება სჭირდება კანს, რათა სხივებმა შეაღწიოს კანის სიღრმეში და გაანადგუროს მელანი.

ლაზერული მკურნალობა იწვევს ტატუს ნაწილაკების გახურებას და ფრაგმენტირებას უფრო პატარა ნაწილაკებად. ეს პატარა ნაწილაკები ქრება ჩვეულებრივი ორგანული პროცესის მეშვეობით.

ინტენსიური, პულსირებადი დასხივების თერაპია ან უბრალოდ IPL არის კანისთვის ტატუს მოშორების პროცესის გასამარტივებლად. მსუბუქი დასხივების ნაცვლად გამოიყენება საკმაოდ მაღალი ინტენსივობის დასხივება. სპეციალური გელის გამოყენებით გადასცემენ პულსირებად დასხივებას კანის ტატუირებულ ნაწილზე. ექსპერტების აზრით, ეს მეთოდი ნაკლებ მტკივნეულია და მეტი ეფექტურობით გამოირჩევა, ვიდრე ტრადიციული ლაზერული თერაპია.

არსებობს კიდევ რამდენიმე სამედიცინო მეთოდი ტატუს მოსაშორებლად: როდესაც კანის ტატუირებული ნაწილის ყველა ფენას ხეხავენ ან სვირინგს აჭრიან კანის ნაწილთან ერთად. ეს საშინლად მტკივნეულია და ამიტომ, როგორც კი შესაძლებელი გახდა ლაზერული მოშორებით მათი შეცვლა, ეს მეთოდები პრაქტიკულად აღარ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლაზერული დასხივება რეკომენდებული არაა.



# სილამაზის ნაჭერი

**ათწლიანი სარეკლამო კამპანიის „REAL BEAUTY DOVE"-ის ფარგლებში კომპანიამ ახალი სოციალური ექსპერიმენტი ჩაატარა.**

სპეციალურ ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ქალი მიიწვიეს. მათ დაურიგეს კოსმეტიკური პლასტირები RB-X-ი, რომლებმაც, წესით, მათი განწყობა უნდა შეცვალოს და მონაწილეები უფრო თავდაჯერებულები გახადოს.

ყოველი დღის ბოლოს ქალები ვიდეოდღიურს აკეთებდნენ. პირველი დღის შემდეგ ექსპერიმენტის ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ თავს უფრო თავდაჯერებულად და ლამაზად გრძნობდა.

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ მონაწილეებს Dove-მა საიდუმლო გაუმხილა – მათი ცვლილება ხელზე დაკრული ექსპერიმენტული ფირფიტის შედეგად არ მომხდარა, მონაწილეებმა თვითონ დააჯერეს საკუთარი თავი იმაში, რომ ლამაზები არიან. ერთადერთი რევოლუციური საშუალება, რომელიც ადამიანს ეხმარება საკუთარი თავი სრულფასოვნად აღქმაში, ეს პლაცებოს ეფექტია. კომპანიაც ნამდვილი სილამაზის მხარდასაჭერად, უკვე ათი წელია, სხვადასხვა სარეკლამო კამპანიას მიმართავს.



# ზღვის ლოლო

**ზღვის სიღრმეში მრავალი უჩვეული მოვლენა ხდება, ერთ-ერთი მათგანია — ყინულის სტალაქტიდის იმავე „ბრინიკლის" წარმოქმნა. პირველად იგი 1971 წელს აღწერეს ოკეანოგრაფებმა — პოლ დეიტონმა და სილი მარტინიმ, თუმცა ყინულის სტალაქტიდის ფორმირების ვიდეოზე აღბეჭდვა მხოლოდ 2011 წელს მოხერხდა.**



მეცნიერების აზრით, ბრინიკლები პოლარული ზამთრის დროს წარმოიქმნება, როდესაც ჰაერის ტემპერატურა -18°C-ზე ქვემოთ ეცემა, ხოლო წყლის ტემპერატურა შედარებით ჯერ ისევ მაღალი - 2°C-მდე რჩება. სწორედ ტემპერატურის ცვალებადობით ხდება შესაძლებელი ყინულის სტალაქტიდების ფორმირება.

ზღვის თბილი წყალი ზემოთ — გაყინული ზედაპირისკენ მიემართება. როდესაც ეს წყალი ცივდება, მას არ შეუძლია ზღვის ყინულის ნაწილი გახდეს, რადგან ძალიან მჭიდრო და მარილიანია (ყინულის მასის მარილიანობა დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებია იმ წყლის მარილიანობაზე, რომლისგანაც ის შეიქმნა). ამიტომ გაცივებული წყლის ნაკადი ისევ ქვემოთ მიემართება და გზადაგზა მის გარშემო მყოფ უფრო თბილ წყალს ყინავს.





ამ გზით ჩამოყალიბებული ყინულის სტალაქტიდი მარილიანი წყლის შიგთავსით საათში დაახლოებით 30 სმ სისწრაფით იზრდება. არც ისე იშვიათად ზღვის ფსკერის სხვადასხვა ბინადარი ბრინიკლში ხვდება და მასთან ერთად იყინება.

# ჩინური მართლმსაჯულება

**ხანშიშესულმა ჩინელმა ქალბატონმა თავისი შვილი 13 წელიწადი გალიაში გამოკეტა, რადგან მან 13 წლის ბავშვზე იძალადა, შემდეგ კი სასტიკად აწამა და ბოლოს დანის მრავალჯერადი დარტყმით მოკლა.**

42 წლის მოძალადე ვუი იუანხოგი 2001 სამართალდამცავებმა დააკავეს, თუმცა მტკიცებულებების არქონის გამო მალევე გაათავისუფლეს. დეტექტივებისა და გარდაცვლილი გოგონას მშობლების ძალისხმევის მიუხედავად, დანაშაულში იუნხოგის ბრალეულობა ვერ დაამტკიცეს.

როცა ბოროტმოქმედის დედამ ეს ამბავი შეიტყო, რომ პოლიცია უძლური იყო მისი შვილის სათანადოდ დასასჯელად, საკუთარი შვილი გალიაში თავად გამოკეტა.

ეს ფაქტი სამართალდამცავებისთვის რამდენიმე წლის განმავლობაში უცნობი იყო, თუმცა უკვე რამდენიმე თვეა, მომხდარის შესახებ შეიტყვეს და ზომებს მიმართეს — „დაზარალებული" იუანხოგი გაათავისუფლეს, დედამისს კი ადამიანის მიმართ სასტიკი დანაშაულის ჩადენისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.







www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საბერძნეთში არ ღირს ხელის გაწვდენა ხელისგულით გარეთ იმის ნიშნად, რომ თქვენ მეტის მირთმევა აღარ გინდათ. საბერძნეთში ეს საკმაოდ უხეში ჟესტია და ნიშნავს: „მე გამძვინვარებული ვარ თქვენი უზრდელი საქციელის გამო“.

# რა არ უნდა გააკეთოთ საზღვარგარეთ ყოფნისას

**ვინც ერთხელ მაინც ყოფილა საზღვარგარეთ, აუცილებლად ეცოდინება, თუ რა ძნელია მოძებნო საერთო ენა ადგილობრივ მოსახლეობასთან და რა იოლია, გაანაწყენო განსხვავებული კულტურის ადამიანები. ხანდახან ერთი შეხედვით სრულიად უწყინარმა მოქმედებამ შეიძლება მეტად ცუდ შედეგებამდე მიგიყვანოთ, ამიტომ, სანამ სამოგზაუროდ გაემგზავრებოდეთ, კარგად შეისწავლეთ თქვენთვის მისაღები, მაგრამ უცხოელისთვის მიუღებელი ჩვევები და გაეცანით ადგილობრივების კულტურას და ზნე-ჩვეულებებს.**

## არასოდეს აჩვენოთ «OK» ბრაზილიაში



გასული საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა „ველური მაიმუნების ქვეყანა“ — ბრაზილია მოინახულა. როცა იგი თვითმფრინავის ტრაპიდან ეშვებოდა, მხურვალე მისალმების ნიშნად ორივე ხელით აჩვენა „OK“. ეს ერთი შეხედვით უწყინარი ჟესტი იმ დღესვე მთელი ქვეყნის ტელევიზიებმა აჩვენეს, დასცინოდნენ რა პრეზიდენტის უმსგავსო საქციელს.

აღმოჩნდა, რომ ეს ჟესტი ბრაზილიაშიც იმავეს ნიშნავს, რასაც შუა თითის ჩვენება მთელ რიგ ქვეყნებში. ასე რომ, ნიქსონივით უხერხულ სიტუაციაში რომ არ აღმოჩნდეთ, თუკი ბრაზილიის მონახულებას აპირებთ, ეს კარგად დაიმახსოვრეთ.





## ცერა თითი მაღლა

თუ თქვენ ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთ აფრიკაში ან სამხრეთ ამერიკაში მოხვდებით, არავითარ შემთხვევაში არ გამოხატოთ კმაყოფილება ცერა თითის მაღლა აწევით. ჩამოთვლილ ქვეყნებში ეს საკმაოდ უხეშ და უზრდელ განზრახვას გამოხატავს თქვენი თანამოსაუბრის მიმართ.



## თეთრი ყვავილები

არავითარ შემთხვევაში არ აჩუქოთ ბანგლადეშელ ქალს თეთრი ყვავილები. მისთვის ეს ნიშნავს, რომ სიკვდილს უსურვებთ, რადგან ამ ქვეყანაში თეთრი ფერი სიკვდილთან ასოცირდება.

**საბერძნეთში არ ღირს ხელის გაწვდენა ხელისგულით გარეთ იმის ნიშნად, რომ თქვენ მეტის მირთმევა აღარ გინდათ.**

რა თქმა უნდა, ეს ჟესტი ნიშნავს: „გმადლობთ, მე უკვე დავნაყრდი“, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენთვის. საბერძნეთში ეს საკმაოდ უხეში ჟესტია და ნიშნავს: „მე გამძვინვარებული ვარ თქვენი უზრდელი საქციელის გამო“.

საქმე ისაა, რომ საბერძნეთში ამ ჟესტს დიდი ხნის ისტორია აქვს: გლადიატორებს ცერის ზევით აწევით შეიწყალებდნენ, ხოლო დაბლა დაშვებით სიკვდილით სჯიდნენ. კიდევ ერთი ტრადიცია: მას მუტზა ეწოდება და სათავეს ისიც ბიზანტიის იმპერიის დროიდან იღებს. სწორედ ხელის ამ მოძრაობით გამოჰქონდათ დამნაშავეებისთვის შემდეგი განაჩენი: მათ შესვამდნენ ცხენზე და ქალაქში დაატარებდნენ ყველას დასანახად. დამნაშავეებს სახეზე უკეთეს შემთხვევაში ნახშირს უსვამდნენ, უარეს შემთხვევაში კი — ექსკრიმენტებს.



## თეფშის მოსუფთავება

**ტაილანდში, ჩინეთსა და ფილიპინებში ძალიან უხეშ ჟესტად ითვლება ჭამისას თეფშის ბოლომდე მოსუფთავება.**

ბევრ ქვეყანაში ტრადიციად ითვლება, რომ დიასახლისი აუცილებლად უნდა გაგიმასპინძლდეთ გემრიელი სადილით. მაგრამ იქ, სადაც უბრალო ხორცის სტეიკი ისევე ძვირი ღირს, როგორც ხელოვნური სუნთქვის აპარატი, მასპინძლისთვის მთავარია, რომ სტუმარი მაძღრისად დააპუროს. რაც უნდა გემრიელი მოგეჩვენოთ საკვები, ცოტაოდენი აუცილებლად დატოვეთ თეფშზე, რადგან ამით თქვენ გამოხატავთ, რომ მეტის მირთმევა არ გსურთ, წინააღმედგ შემთხვევაში დიასახლისი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს.

ამავე დროს გასაოცარია, რომ ჩინეთში მიღებულია გამოტენილი პირით ლაპარაკი და ჭამის შემდეგ დაბოყინება. იქ ეს ცუდ ტონად სულაც არ ითვლება.



## მისალმება

**არც კი გაბედოთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან მისალმება საუდის არაბეთში.**

შარიათის კანონების მიხედვით, ქალს სასტიკად ეკრძალება, მიესალმოს ან დაელაპარაკოს მამაკაცს სხვა ადამიანების თანდასწრებით, თუკი ეს მამაკაცი მისი მეუღლე არაა. ეს ამ ქვეყანაში უზნეო საქციელად ითვლება და კანონით ისჯება. არაბეთში ქალების მიმართ კანონი განსაკუთრებით მკაცრია: მათ ეკრძალებათ მანქანის ტარება, ხმის მიცემა არჩევნებში, საკუთარი ბიზნესის წარმოება, სასამართლოში სიტყვით გამოსვლა და ველოსიპედზე ჯდომაც კი.



## ტუალეტის ქაღალდი

მიუხედავად იმისა, რომ ტუალეტის ქაღალდი საუკუნეების წინ გამოიგონეს, ის კვლავ წარმოუდგენელ ფუფუნების საგნად ითვლება შრი-ლანკაში, ინდოეთში, აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებსა და ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ამ ქვეყნებში ქაღალდის ფუნქციას მარცხენა ხელი ასრულებდა. სწორედ ამიტომ მარცხენა ხელი აქ ბინძურად ითვლება. ამიტომ, თუ მარჯვენა ხელი დაკავებული გაქვთ, მისასალმებლად მარცხენა ხელის გაწვდენა ნამდვილად არ ღირს. ამასთან, ამ ქვეყნებში გავრცელებული ლეგენდების მიხედვით, წინასწარმეტყველი მხოლოდ მარჯვენა ხელით ჭამდა, ხოლო სატანა — ცაცია იყო.



## არ აჩუქოთ ჩინელს საათი

იყავით დელიკატურები საჩუქრის არჩევის დროს. არავითარ შემთხვევაში არ აჩუქოთ ჩინელს საათი.

ჩინელისთვის საათის ჩუქება სიკვდილთან ასოცირდება, ამიტომ ეს ძალზე უხეში შეცდომაა. ამ ქვეყანაში არ გირჩევთ, აგრეთვე, თეთრ ქაღალდში საჩუქრის შეფუთვას, ესეც ძალიან ცუდი ტონის მაჩვენებელია.







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# Face Off — საოცარი გრიმები

**სპექტაკლისა თუ ფილმის ყურებისას პერსონაჟი ყოველთვის თავისი შენიღბული სახით გვამახსოვრდება, თუმცა ამ დროს გრიმიორებზე არავინ ფიქრობს. ამერიკაში ყოველ კვირას იმართება American reality show, სადაც გრიმიორებს ეძლევათ ამოცანა, შექმნან ჰიბრიდული ადამიანის, ცხოველის, უცხოპლანეტელის, მანიაკის, ზომბის ზღაპრული ხასიათის გამოსახულება და გამარჯვებული იღებს შესაბამის ჯილდოს.**

გრიმიორების ბევრი არაჩვეულებრივი ნამუშევარი გამოყენებულ იქნა როგორც საშინელებათა, ასევე სხვა ჟანრის ფილმებსა და სპექტაკლებში.






# სად ცხოვრობენ მილიონერი ბოშები?



**რუმინეთში, ბუქარესტთან ახლოს, არის მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი ბუზესკუ, რომელშიც ბოშები ცხოვრობენ. ქალაქში არის დაახლოებით 800 სახლი. მათი ღირებულება 2-დან 30 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ეს არის ბევერლი ჰილსი №2 — მილიონერ ბოშათა დედაქალაქი.**



რუმინელი ბოშების მეფე ფლორიან ჩიოაბას (ეს ტიტული მას მემკვიდრეობით გადმოეცა მამისგან) შემოსავალი წელიწადში 50-დან 80 მილიონ ევრომდეა. მის კლანს — კოლდაშს მიეკუთვნება დაახლოებით 300 ოჯახი და ყოველი მათგანის სახლი მინიმუმ 3 მილიონი ევრო ღირს.

მეფისა და მისი კლანის საერთო წლიური შემოსავალი შეადგენს 300-400 მილიონ ევროს. თანხა გროვდება რიგითი ბოშების მიერ შეტანებით (5-10% მათ შორის კრიმინალური და ნახევრადკრიმინალური შემოსავლებია). ბოშების ძირითად საქმიანობას შეადგენს სიგარეტების კონტრაბანდა რუმინეთიდან დასავლეთ ევროპაში, სასტუმროების ბიზნესი და ვაჭრობა.

მსგავსი სურათია ბოშური „ელიტის" გარემოში ევროპის სხვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში. ღარიბ მოლდავეთშიც კი ბოშათა ბარონს — არტურ ჩერარს და მის კლანს წელიწადში 20-40 მილიონი ევრო აქვთ. ხოლო კოსოვოში ბარონ ნეჯმედინ ნეზირის კლანს აქვს 100 მილიონამდე ევროს შემოსავალი წელიწადში.

ბოშები განზრახ ახდენენ თავიანთი ზღაპრული ცხოვრების დემონსტრირებს, ლამის ოქროში ცურავენ. რუმინელ ბოშათა მეფის — ფლორიანა ჩიოაბას სახლის შიდა მოპირკეთებაზე 55 კილოგრამამდე ოქრო დაიხარჯა. ამ უზარმაზარი შემოსავლებიდან დაბალ ფენას გროშები ხვდება, ისიც ჭუჭყიანი საქმის შესრულებისთვის. ელიტის მდიდრული ცხოვრება არ იწვევს პროტესტს მათზე დაქვემდებარებულ უბრალო ხალხში და გულში ისინი ოცნებობენ, რომ ოდესმე თავადაც გახდებიან ოქროს უნიტაზების მფლობელები.

აღმოსავლეთ ევროპის მილიონერი ბოშები — ეს არის იდეალური მაგალითი ლიბერტარიანელებისთვის. მათ ყველაფერს მიაღწიეს სახელმწიფოს დახმარების გარეშე. გადასახადებს არ იხდიან, სამაგიეროდ არც არაფერს ითხოვენ მთავრობისგან, ტკბებიან სრული თავისუფლებით.

ბუზესკუს მოსახლეობა 5000 ადამიანს შეადგენს. იქ მცხოვრები მილიონერი ბოშების უძრავი ქონების ღირებულება მთლიანობაში 4 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

ბოშები არ იხდიან გადასახადებს და ფორმალურად უმუშევრებად ან ნულოვანი ბალანსის მქონე ფირმების მფლობელებად ითვლებიან. თუმცა არის ერთი გამონაკლისი – ისინი იხდიან ქონების გადასახადს. ვინაიდან ბოშათა ვილები დაუმთავრებლად ითვლება, ეს გადასახადი მინიმალურია — დაახლოებით 200-300 ევრო წელიწადში.

ფულს ბოშები შოულობენ საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში და კაპიტალს მშობლიურ რუმინეთში აბრუნებენ.

საინტერესოა კიდევ ერთი რამ: მდიდრების ნათესავების უმრავლესობა თავისი ტრადიციული საქმიანობის ერთგული რჩება. ბევრი მათგანი სასახლის უკანა ეზოში უვლის ღორებს, შინაურ ფრინველებს, ცხენებს, ქალები კერავენ, მოხუცები კი ჭურჭელს აკეთებენ.









# პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა

**ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის პირველი დღესასწაული მიმდინარე წლის 17 მაისს აღინიშნება, — ამის შესახებ მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 11 მაისს, საკვირაო ქადაგებისას აცნობა.**

ილია მეორე სამღვდელოებას აძლევს ლოცვა-კურთხევას, 17 მაისს, 12:00 საათზე, ტაძრებში ჩაატარონ პარაკლისი, ნაკურთხი წყლით აკურთხონ ტაძრები, სახლები, ოჯახები და ქუჩები. ოჯახებში ნაკურთხი წყლის პკურების კურთხევას პატრიარქი საერო პირებსაც აძლევს.

ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ოჯახის სიმტკიცეზე, მშობლებისა და შვილების ურთიერთობებზე იქადაგა და ბრძანა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ოჯახში იზრდება ადამიანი.

**„ადამიანის ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, ოჯახში ყალიბდება, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ოჯახში იზრდება ის. ადამიანის ხასიათი, მისი თვისებები, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ღვთის ლოცვა-კურთხევაზე, დამოკიდებულია მშობლებსა და წინაპრებზე და დამოკიდებულია თვით ადამიანზე. თუკი ადამიანი ცდილობს, დაინახოს საკუთარი თავი, თუ შეუძლია განიცადოს საკუთარი ცოდვები, ის ბედნიერია, ის გამოსწორდება. მას უფალი აძლევს მადლს და ცოდვებისგან განიწმინდება. ადამიანის ცხოვრება ურთულესი პროცესია, ურთულესი ფერიცვალება. ერთ ადგილზე არც ერთი ადამიანი არ დგას, ყველა ფერისცვალებას განიცდის. ჯოჯოხეთიდან ცამდე აღმართულია კიბე, ამ კიბეზე ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის. შევთხოვ უფალს, მოგვცეს ძალა და მადლი, რომ ვიაროთ მაღლა და სასუფევლის ღირსი გავხდეთ. რამდენიმე წელია, ვფიქრობთ იმის შესახებ და არაერთხელ გვითქვამს, რომ მშობლების კურთხევა — ეს არის ღვთის კურთხევა. ამიტომ თქვენ უნდა დალოცოთ თქვენი შვილები, ნაკურთხი ხატით უნდა დალოცოთ ისინი, ყოველდღე შვილები უნდა ემთხვიონ თავიანთ მშობლებს ხელზე. ამ დროს ზეციდან გადმოდის მადლი სულიწმინდისა. განსაკუთრებით საყურადღეობა ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. შვილებმა ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არ უნდა მოისმინონ; არ უნდა გაიგონონ ცუდი სიტყვა, ლანძღვა-გინება. მათ უნდა ესმოდეთ სიკეთე და ასე გააგრძელებენ ცხოვრებას. ამიტომ ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა ვილოცოთ, როგორ გადავუხადოთ მადლობა მშობლებს. მივიღეთ ასეთი განჩინება, ყოველი წლის 17 მაისს იყოს ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების მოხსენიების, მშობლების პატივისცემის დღე. ამ დროს მთელი ერი უნდა გამთლიანდეს — მშობლები და შვილები. უნდა აღვავლინოთ ლოცვები, ერთი პირით, ერთი ძალით და ერთი გონებით. სამღვდელოებას ეძლევა ლოცვა-კურთხევა, ამ დღეს 12 საათზე ჩაატარონ პარაკლისები ტაძრებში და ნაკურთხი წყლით აპკურონ ტაძარი, ოჯახები, ქუჩები, ასევე ლოცვა-კურთხევა ეძლევა საერო ადამიანებს, რომ ნაკურთხი წყლით აკურთხონ ოჯახი და საკუთარი თავი. პირველი ასეთი დღესასწაული იქნება 17 მაისს. თქვენ ნახავთ, როგორ გაძლიერდება თქვენი სული, გონება, სხეული და როგორ გაძლიერდება საქართველო“**, — ბრძანა პატრიარქმა.

# რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია «ევროვიზიის» შედეგებით შეშფოთებულია



**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოხატეს კონკურს „ევროვიზია 2014“-ში ავსტრიის წარმომადგენლის, წვეროსანი ტრანსვესტიტის — კონჩიტა ვურსტის გამარჯვების გამო.**

**„ეს არის თანამედროვე მსოფლიოში მანკიერების კულტურული ლეგიტიმაციის ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლი, ახალი კულტურული ნორმების დანერგვის მცდელობა. ლეგიტიმაცია პროცესისა, რომელსაც ბიბლია საზიზღრობას უწოდებს, ახალი არ არის თანამედროვე მსოფლიოში. სამწუხაროდ, სამართლებრივ და კულტურულ ველებში ტენდენციები პარალელურად მიმდინარეობს, რასაც მოცემული კონკურსის შედეგებიც მოწმობს“**, — განაცხადა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდთან არსებული საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელმა ვლადიმერ ლეგოიდამ. მისი თქმით, **„ამ მოვლენის კულტურული აღიარება სამართლებრივ აღიარებაზე უფრო სახიფათოა, რადგან მასზე წინმსწრებია: სამართალი აფიქსირებს ან მოწოდებულია, დააფიქსიროს საზოგადოების ფასეული ორიენტირები. თანამედროვე კულტურაში, სამწუხაროდ, საკმაოდ წარმატებითაც, ცდილობენ ზნეობრივი და კულტურული ფასეულობების შეცვლას. ამიტომ ძალიან უცნაურად მეჩვენება ზოგი ექსპერტის ნათქვამი, რომ „განსაკუთრებული არაფერი ხდება“. საქმეც ის არის, რომ ცვლილებები სრულიად ნათელია და არამხოლოდ ტრადიციული რელიგიების პოზიციიდან!“** — ნათქვამია ლეგოიდას განცხადებაში.

**«ეს არის თანამედროვე მსოფლიოში მანკიერების კულტურული ლეგიტიმაციის ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლი, ახალი კულტურული ნორმების დანერგვის მცდელობა. ლეგიტიმაცია პროცესისა, რომელსაც ბიბლია საზიზღრობას უწოდებს, ახალი არ არის თანამედროვე მსოფლიოში»**

ავსტრიელი ტომას ნოივირტი, რომელიც კონჩიტა ვურსტიზე ცნობილია, მუსიკალურ კონკურს „ევროვიზია 2014“-ის გამარჯვებული გახდა სიმღერით „აღსდექ, როგორც ფენიქსი“. კონჩიტამ 290 ქულა მოაგროვა და მეტოქეები შორს ჩამოიტოვა. 11 მაისს კონჩიტას გამარჯვება ავსტრიის პრეზიდენტმა ჰაინც ფიშერმა მიულოცა, აღნიშნა, რომ „ეს არ არის მხოლოდ ავსტრიის გამარჯვება; ეს, უწინარეს ყოვლისა, ტოლერანტობის გამარჯვებაა ევროპაში“.



# რონ პოლი: აშშ-ის მედიდურობა ფართომასშტაბიან ომამდე ხომ არ მიგვიყვანს?

**აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა რონ პოლმა რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ადმინისტრაცია მწვავედ გააკრიტიკა.**

**აშშ-ის ადმინისტრაცია გაკოტრებულია და საკუთარი ეკონომიკისთვის ვერ მოუვლია. ამ ფონზე აშშ-ს სურს უკრაინით მანიპულირება? აშშ-ის ადმინისტრაციის მედიდურობა ხომ არ მიგვიყვანს ახალ, ფართომასშტაბიან ომამდე ევროპაში? ვიმედოვნებ, აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები გააცნობიერებენ ამ სახიფათო თამაშის შედეგებს და გონს მოვლენ,“** — წერს რონ პოლი თავის ინტერნეტ-გვერდზე.

Ronpoulinstitute.ong

# ისრაელის ყოფილ პრემიერმინისტრს პატიმრობა მიუსაჯეს

**ისრაელის ყოფილ პრემიერმინისტრ ეჰუდ ოლმერტს თელ-ავივის სასამართლომ, ქრთამის აღების გამო, 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა და 289 ათასი დოლარითაც დააჯარიმა.**

მარტში თელ-ავივის საოლქო სასამართლომ ისრაელის ყოფილ პრემიერმინისტრს ბრალი წაუყენა იერუსალიმის მერობისას ერთ-ერთი ბიზნესმენისგან 500 ათასი შეკელის ოდენობით ქრთამის აღებისთვის. ეჰუდ ოლმერტი ისრაელის პრემიერი 2006-2009 წლებში იყო. მან თანამდებობა კორუფციაში ბრალდების გამო დატოვა.

# რუსთაველის თეატრის ყოფილი მმართველი ტაქსისტი ქალბატონის ცემისთვის დააკავეს

**გავრცელებული ინფორმაციით, ზაალ ჩიქობავა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა დააკავა და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.**

შსს-ში ადასტურებენ, რომ ზაალ ჩიქობავა პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, დაკითხეს და ხელწერილით გაათავისუფლეს. სისხლის სამართლის საქმე ტაქსის მძღოლი ქალბატონის ცემის გამო აღიძრა. დანიშნულია ექსპერტიზა, რომელიც შეისწავლის, რა დაზიანება მიიღო დაზარალებულმა.

კონფლიქტი ტაქსისტსა და ზაალ ჩიქობავას შორის, სავარაუდოდ, ჩიქობავას მხრიდან ტაქსისტისადმი დაცინვამ გამოიწვია, რაც ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა.



## სიმაღლეში მომატება — სწრაფად და ეფექტიანად

3-5სმ-ით მომატება კურსით 3-25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების ნაკრებით, ვარჯიშებითა და მასაჟით, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება 5-15კგ-მდე თვეში ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით; მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება.

მკურნალობა — მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით.

218-46-08, 558-15-63-33
ექიმი ნინო

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გაზეთი — ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894